სპორტი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 7 მაისი 1999 №83 (856) | ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოჰან WELKOM JOHAN BOSKAMP EN VEEL SUCCES!

იოჰან ბოსკამპი: პირველი უცხოელი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის მორყეულ ტახტზე!

ბაზრი კეთილაძის ფოტო

2 ახალგაზრდები ხურცილავას ანდეს



მურთაზ ხურცილავამ ახალგაზრდული „დინამოდან“ ახალგაზრდულ ნაკრებში გადაინაცვლა

10 იტალიის თასი პარმას

პარმელებმა იტალიის თასი ფრეებით მოიგეს

11 ინგლისელების დაბრუნება

15 დღეიდან სტენლის თასისთვის მებრძოლნი პლეი ოფის მეორე რაუნდს იწყებენ

STANLEY CUP PLAYOFFS

კოლორადო თუ დეტროიტი?

ტრადიციის და სტატისტიკის თანახმად, ჩემპიონი ამათში უძლიერესი უნდა გახდეს

ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

იოჰან ბოსკამპის საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დანიშვნის თაობაზე კომენტარი, აბა, ვისთვის გვეთხოვა, თუ არა ფედერაციის აღმასკომის და თავად ეროვნული გუნდის წევრებისთვის!?

— ვთვლი, რომ აღმასკომმა ნაყოფიერად იმუშავა, გადაწყდა უმნიშვნელოვანესი საკითხები — დაინიშნა ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელები, განვიხილეთ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების ახალ რეგლამენტი, — გვეუბნება საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი *რომან შოთაძე* — იყო დიდი მსჯელობა, რომელშიც აღმასკომის ყველა წევრი მონაწილეობდა. მომავალ ჩემპიონატში ბევრი სიახლე იქნება, რაც, ვფიქრობ, ქართულ ფეხბურთს სასიკეთოდ წაადგება. სამომავლოდ გუნდები შემცირდება, გამკაცრდება მოთხოვნები, რომლის შესრულებაც აუცილებელია.

რაც შეეხება გუნდებისთვის ჩამოკლებული 3 ქულის გაუქმებას, აღმასკომმა ამ საკითხს აცილება მისცა, რადგან მისი განხილვა დაგვიანებულად ჩათვალა. ეს საკითხი ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ომარ გოგიაშვილმა წამოჭრა. ერთის თქმა კი ნამდვილად შეიძლება — მომავალ ჩემპიონატზე გუნდებისთვის ქულების ჩამოკლება გაუქმდება, ამ სეზონის ბოლომდე კი ძალაში რჩება.

ეროვნული ნაკრების მწვრთნელად ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპის დანიშვნის გამო კმაყოფილებას ვერ მალავდა აღმასკომის წევრი გურიის რეგიონიდან, ლანჩხუთის „გურიას“ ტექნიკური დირექტორი *გულსუნდა დუნდუა:*

— ვფიქრობ, იოჰან ბოსკამპის ნაკრებში მოსვლა დიდად წაადგება ქართულ ფეხბურთს. როგორც ეროვნულში, ისე ახალგაზრდულში ფედერაციამ მწვრთნელად ამ ეტაპზე ღირსეული კანდიდატები დაამტკიცა.

გუშინდელ აღმასკომზე მხოლოდ დამტკიცება, ოფიციალურად ბეჭდის დასმა სჭირდებოდა ეროვნულ ნაკრების მწვრთნელად ჰოლანდიელი სპეციალისტის, იოჰან ბოსკამპის დანიშვნას. ჰოდა, ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი *კალერი ჩოლარია* ბოსკამპის კანდიდატურას, ბუნებრივია, კმაყოფილი შეხვდა:

— აღმასკომის ერთსულოვნებით და გადაწყვეტილებით ერთობ კმაყოფილი ვარ. სხვა ალტერნატივა არც გვქონდა. ეროვნულ ნაკრებს პროგრესი აუცილებლად დაეტყობა. მართალია, ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა არარეალურია, მაგრამ არსებობს მეორე ადგილიც, რომელიც ასევე იძლევა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსს.

ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე *გია ფირცხალავა* ჩაფიქრებულიყო, მაგრამ ისიც ეტყობოდა, რომ ნაკრების მწვრთნელად ბოსკამპის დანიშვნას გულგრილად არ უყურებდა.

— რა უნდა ვთქვა. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ქართული ფეხბურთი წელში გაიმართოს. აღმასკომმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი როგორც ბოსკამპის, ისე ხურცილავას კანდიდატურას. მეგონა, დღეს გუნდებს, რომელთაც ჩამოკლებული აქვთ 3-3 ქულა, ჯარიმას გაუუქმებდნენ. ომარ გოგიაშვილმა წამოჭრა ეს საკითხი, რამაც დავა-კამათი გამოიწვია. ამ ეტაპზე მისი განხილვა მიზანშეუწონლად ჩაითვალა, ოღონდ ითქვა, სამომავლოდ ქულათა ჩამოკლების სისტემა აღიკვეთებაო.

ქვემოთ ახალ მწვრთნელზე მათ თქმულს წაიკითხავთ, ვისიც, ჩვენი აზრით, ბოსკამპს უნდა ეიმედებოდეს. თუმცა კი, ყველა შეგულებულ ფეხბურთელთან შეხმიანება, ჩვენი კავშირგაბმულობის გადამკიდეებმა ვერ მოვახერხეთ.

კახა კალაძე, კიევის „დინამო“:

— იოჰან ბოსკამპს საერთოდ არ ვიცნობ. არც მის მწვრთნელობაზე მსმენია რამე, მაგრამ რადგან ეროვნული ნაკრები ჩაბარეს, ვფიქრობ, ურიგო სპეციალისტი არ იქნება. არა მგონია, მასთან ურთიერთობისას პრობლემები შემექმნას. მე ჩემსას გავაკეთებ, დანარჩენი თავად იცის. მთავარია, კარგი მწვრთნელი იყოს, ეგებ მის ხელში მაინც მივაღწიოთ წარმატებას. ჯგუფიდან გასვლის შანსი ხომ ჯერაც არ დაგვიკარგავს.

შოთა არველაძე, ამსტერდამის „აიაქსი“:

— რა ვიცი, აქაურები, ვისთანაც კი მისაუბრია, აქებენ, მცოდნე მწვრთნელია. ალბათ ასეც იქნება, „ანდერლეხტს“ რომ ორჯერ გაჩერმპიონებ, თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია. ღმერთმა ქნას და გვეშველოს, ჩვენც სხვა რა გვინდა. იოჰან ბოსკამპის ნაკრებში მოსვლით, მგონია, ბევრი რამ შეიცვლება, თუმცა ყველაფერი შედეგში აისახება.

გოჩა ჯამარული „ციურიხი“:

— ბევრს ვერაფერს გეტყვით. ბოსკამპზე მხოლოდ ერთი ვიცი, „ანდერლეხტის“ მწვრთნელი ყოფილა და წარმატებებისთვისაც მიუღწევია. თუ გამომიძახებს, ხომ კარგი, ჩამოვალ და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

გიორგი მაშაკიძე
კობა ინასარიძე

მურთაზ ხურცილავა, მერაბ ჟორდანია და იოჰან ბოსკამპი

მურთაზ ხურცილავა ფიქრობს და ემზადება

მურთაზ ხურცილავა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. ყველაფერს მოელოდა ალბათ ბატონი მურთაზი, სულ ორი კვირის წინ, მაგრამ თუ „დინამოდან“ წასვლა და ახალგაზრდულ ნაკრებში გადაბარგება მოუწევდა — ამას არა. ამიტომაც იყო, აღმასკომის სხდომის შემდეგ პრესკონფერენციაზე ხურცილავა სხვებზე თავშეკავებული იყო, მაგრამ, ცოტა არ იყოს, დაბნეულიც ჩანდა.

— ახალი თანამდებობა ჩემს გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა, მაგრამ „დინამოში“ ბოსკამპის მოსვლის შემდეგ ჩემი ფუნქცია ცოტა გაურკვეველი გახდა. „დინამოში“ ორი კაცის სამუშაო არაფერია, ამიტომაც ავდექი და ჩემი ნებით წავედი. სფფ-ს ხელმძღვანელობამაც ახალი პოსტი შემომთავაზა და ვცდი ბედს. იმ საქმისთვის, იმ გეგმებისთვის, რაზეც მე ვფიქრობ, იქნებ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობა უკეთესიც იყოს. ასე რომ, დაველოდოთ მომავალს.

— თქვენ აქამდე გუნდებს წვრთნიდით. ნაკრების მწვრთნელს კი სხვა რამ მოეთხოვება. ამაზე რას იტყვის, როგორ შეეგუებით ამ მეტამორფოზას?

— მე ადრეც მიფიქრია ამაზე. მართალი ხართ. განსხვავება არსებობს, მაგრამ ჩემი გამოცდილება უფლებას მაძლევს, არც ამ სიძნელეს შევუშინდე.

— ბოსკამპის შესახებ რას გვეტყვით? მან ხომ თქვენი ადგილი დაიკავა.

— ამ კაცმა თქვა, რომ მისი შრომა სასიკეთოდ წაადგება „დინამოს“ და ქართულ ფეხბურთს. ვნახოთ, ვაცალოთ, კეთილისმსურველი და მოკეთე ვის გაუგდია. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთ პიროვნებას ხელს არ შევუშლიდი.

— ბოსკამპმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის და თქვენ, მურთაზ ხურცილავა, სხვადასხვა სტილის ფეხბურთის მიმდევრები ხართ. რას იტყოდით, რა სხვაობაზეა საუბარი?

— სხვაობა, რა თქმა უნდა, არის. მაგრამ რამე ძირეულზე და განსაკუთრებულზე არ არის ლაპარაკი. იგი მცველთა ერთხაზზე განლაგებას სცემს პატივს და ამბობს, რომ ეს ახალი ტაქტიკური სქემაა. მე ლიბეროს, თავისუფალი მცველის ინსტიტუტის მიმდევარი ვარ და ვამბობ — ხაზზე მცველები ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინ თამაშობდნენ. ეს თუ განსხვავებაა... არ ვიცი, კაცია და ხასიათი.

— მისი ვარჯიშების შესახებ რას იტყვით. რაც ნახეთ, როგორ მწვრთნელად თვლით?

— მისი ვარჯიშები არ მინახავს. მასზე, როგორც მწვრთნელზე, საუბარს არ ვაპირებ, თავს შევიკავებ.

— მაშინ სამომავლოდ რას აპირებთ, ეს გვითხარით. ვინ იქნება თქვენი თანაშემწე ახალგაზრდულ გუნდში.

— მაპატიეთ, მაგრამ ახლა თითქმის არაფერი მაქვს გარკვეული. მოგვიანებით თანაშემწესაც დავასახელებ და იმ ფეხბურთელებსაც, რომლებიც ახალგაზრდულ ნაკრებში ჩემი ხელმძღვანელობით ითამაშებენ.

— წარმატებებს გისურვებთ.

— გმადლობთ.

კონსტანტინე გოგიშვილი

მეგრული დერბი ხობისწყლის პირას

როდესაც ზუგდიდის „ოდიში“ ამას წინათ საკუთარ მოედანზე თავის ბედში მყოფ, სატურნირო ცხრილში მეზობელ ბოლნისის „სიონთან“ 1:4 დამარცხდა, საკუთარი გუნდის უნიათობის შემყურე მაყურებელმა ჯავრის ამოყრა მსაჯებზე მოიწადინა. შედეგად არბიტრი კრიჭაშვილი შესაცვლელი შეიქნა.

მეორე ტაიმში მისი ადგილი თანამსაჯმა დაიკავა, ხაზზე კი სათადარიგო გამწესდა. ფედერაციას მსაჯებზე ზემოქმედების გამო არაერთი გუნდი დაუსჯია. ბუნებრივია, გამონაკლისი არც ზუგდიდელები იქნებოდნენ. მართალია, ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის მორიგი სხდომა ჯერ არ გამართულა, მაგრამ „ოდიშის“ ხელმძღვანელობა აქედანვე იჭერს თადარიგს. დარწმუნებულნი არიან, ხულიგან ქომაგთა გამო „ოდიშს“ საკუთარ სტადიონზე თამაშს სეზონის ბოლომდე აუკრძალავენ. 9 მაისს, ეროვნული ჩემპიონატის 27-ე ტურში, „ოდიშს“ ინტერტოტოს საგზურისთვის მებრძოლ ფოთის „კოლხეთისთვის“ უნდა ემასპინძლა. გაირკვა, ზუგდიდელები ფოთელებს ნეიტრალურ მინდორზე უმასპინძლებენ. ორივე კლუბის ხელმძღვანელობამ მოითათბირა და ფედერაციასაც აცნობა, რაღა შორს წავიდეთ, ახლოსვე, ხობის სტადიონზე ვითამაშებთო. ფედერაციამაც კვერი დაუკრა. ასე რომ, „ოდიში“ — „კოლხეთის“ მატჩი ხობის „ცენტრალურზე“ 18 საათზე დაიწყება.

გიორგი მაშაკიძე

თბილისის ბოულინგ-ცენტრი

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12 ა, ტელ.: 330-350

გაძლევთ შანსს:

მონაწილეობა მიიღოთ კომერციულ ტურნირებში
ანუ 50 ლარად მოიგოთ 500 ლარი

იასპარეზოთ რეგულარულად გამართულ ჩემპიონატებში და
თავი ისახელოთ როგორც თვის საუკეთესო ბოულერმა

შეეჯიბროთ კლუბს: 5 ლარად ითამაშოთ ერთი გეიმი და
დაჯილდოვდეთ: 210 ქულაზე — 100 ლარით,
220 ქულაზე — 200 ლარით, 230 ქულაზე — 300 ლარით

ივარჯიშოთ სპორტულ სექციაში და გახდეთ
პროფესიონალი მოთამაშე

ბადრი კეთილაძის ფოტო

პრეზიდენტი მოვიდა

ბოსკამპი გაBOSSდა

„შერატონ მეტეხი პალასი“ ქართული ფეხბურთის მექად იქცა. ქება და დიდება ავსტრიელ ლეოპოლდ ბაუსბეკს, ამ სასტუმროს აშენებას რომ დაადგა თავი, თორემ ქართულ ფეხბურთში ამ ბოლო დროს მომხდარი უმნიშვნელოვანესი ცვლილებები გაცილებით ნაკლებეფექტურ ფონზე წარიმართებოდა.

სწორედ „შერატონ პალასის“ საპრესკონფერენციო დარბაზმა უმასპინძლა სფფ-ს აღმასკომის მორიგ სხდომას. ამ სხდომამ კი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ეკლიანი გვირგვინი ჰოლანდიელ იოჰან ბოსკამპს უბოძა.



ბადრი კეთილაძის ფოტო

აღმასკომის სხდომას, ცხადია, იოჰან ბოსკამპიც ესწრებოდა

ბადრი კეთილაძის ფოტო

ალექსანდრე ჩიგაძე, მერაბ ჟორდანია და ვალერი ჩოლარია

ჯეშმარიტად უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა ქართულ ფეხბურთში.

ამას ყველა იქ მყოფი გრძნობდა. მხოლოდ მის უდიდებულესობას, ქართულ სასტუმროთა შორის უპირველესს და ათასგვარი ორდენების („ბანტიკებითა“ თუ „უბანტიკოდ“) მფლობელ „შერატონ პალასს“ არ შეუხრია წარბი — იგი ასევე უშფოთველად შეხვდა ეროვნული ნაკრების მწვრთნელმოცვლას, როგორც, ვთქვათ, ბენჟამენ ღლონტი ხვდებოდა თავის მევალეებს.

სასტუმროს მრავლისმნახველ ფოიეს მხოლოდ ქართული მასმედიის წარმომადგენლების ჟრიამული აცოცხლებდა. ხომ თითქმის გადაწყვეტილი და ადრევე ცნობილი ჩანდა ყველაფერი, ჟურნალისტები მაინც ახალს, მოულოდნელს, უჩვეულოს ელოდნენ და ნებისმიერი მათგანის სახეზე ამოიკითხავდით შინაგან დაძაბულობას.

არაფერი მომხდარა მოულოდნელი. მოხდა ის, რაც 99 პროცენტით იცოდა ყველამ. ექვს მაისს, გიორგობას, ის დარჩენილი ერთი პროცენტიც გამართლდა და იოჰან ბოსკამპი საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელად გამოცხადდა.

მართალია, ჟურნალისტები ხუთიოდე წუთით შეუშვეს სხდომის მონაწილეებთან (ამდენად, მათ ბევრი ვერაფრის გაგება შეძლეს), მაგრამ როცა ყველაფერი დასრულდა, სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ თითქმის სრულად აღადგინა ქართული ფეხბურთის საფიხვნოს სურათი და მსმენელს ისიც აუწყა, სხდომის მონაწილენი ერთსულოვანნი ვიყავითო.

ანუ ქართველმა საფეხბურთო მოღვაწეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ჰოლანდიელ იოჰან ბოსკამპს და მის თანაშემწეს.

ქართველ საფეხბურთო მოღვაწეთაგან კი თითქმის ყველა აღმასკომის წევრი დაესწრო მორიგ შეკრებას. არ ჩანდა ვახტანგ ხაინდრავა, არ ჩანდა დავით ყიფიანიც...

ქართული საფეხბურთო საზოგადოება სწორედ მას უქადდა ნაკრების პირველკაცობას. არავინ იცის, რა და როგორ ითათბირეს მერაბ ჟორდანიამ, დავით ყიფიანმა და იოჰან ბოსკამპმა აღმასკომის სხდომამდე ორი დღით ადრე, მაგრამ, ეტყობა, სწორედ მაშინ გადაწყდა ჰოლანდიელის პირველკაცობა.

სფფ-ს პრეზიდენტის განცხადებით, ყიფიანი უსაქმოდ არ დარჩენილა. ამიერიდან იგი ერთნაირი უფლებებით ისარგებლებს ნაკრებშიც და „დინამოშიც“ და მის ორივე თანამდებობას, სანაკრებოსაც და საგუნდოსაც, ერთი სახელი — სელექციონერი ერქმევა.

ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად, ასევე ერთსულოვნად, მურთაზ ხურცილავა დაინიშნა. ამით ბოლო მოეღო ბატონი მურთაზისადმი „გამოწერილ“ ათასგვარ რეცეპტებს, რომელთა თანახმადაც იგი ხან „ლოკომოტივში“ გაგზავნეს, ხან პირველი ნაკრების მეორე მწვრთნელი გახადეს.

მურთაზ ხურცილავა 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცი გახდა და, როგორც თქვა, ბევრ რამესაც შეცვლის.

სხდომა, რომელიც ორ საათამდე გაგრძელდა, არა მხოლოდ ორგანიზაციული და საკადრო ცვლილებებით გამოირჩა.

დამტკიცდა XI ეროვნული ჩემპიონატისა და თასის X გათამაშების რეგლამენტი. გადაწყდა საქართველოს ეროვნულ და ოლიმპიურ ნაკრებებს შორის საქველმოქმედო-საკონტროლო მატჩის ჩატარება.

დაინიშნა სფფ-ს კომიტეტების თავმჯდომარეები.

დღის წესრიგში დადგა საკითხი „სფფ-ში „ქართული ფეხბურთის მუზეუმის“ შექმნის შესახებ“.

ამის შემდეგ სფფ-ს აღმასკომმა სხდომა დაამთავრა.

საპრესკონფერენციოდან პირველი სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილი გამოვიდა. მას ნიკო ლეკიშვილიც მოჰყვა და მერე ფოიეში ყველაფერი აირია.

ჟურნალისტები საპრესკონფერენციო დარბაზს და სხდომის მონაწილეებს შეესივნენ.

საპრესკონფერენციოში კი ნამდვილქართულად გადაჭიმული სეფე-სუფრები იწონებდა თავს, ეგ იყო, სასუნსავის მაგიერ აღმასკომის წევრთათვის განკუთვნილი მდიდრული საკანცელარიო რამე-რუმეები ელაგა ზედ (როგორც „საქართველოს ავიახაზების“, „ალდაგის“, „ტელესპორტის“ და „ეარ ჯორჯიას“ სოლიდურობას შეეფერება).

კოლენკორისდიანი საქალოდეების გვერდით და სხდომეს მონაწილეობა წინ „ნამდვილი ბორჯომი“ და „კოკა-კოლა“ იწოლებდა თავს. „ბორჯომი“ ისევე ღირსეულად ამოდგომოდა გვერდში გამაგრილებელი სასმელების შავ-წითელ ჩემპიონს, როგორც საქართველო ევროპას (გინდაც ამერიკას).

ქართველი ჟურნალისტები (და სხვებიც) ახლა სასმელებს შეესივნენ და ერთნაირი წარმატებით აითვისეს „ბორჯომიც“ და „კოკა-კოლაც“. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართველების ევროპასთან და ამერიკასთან სიახლოვეს.

მერე კი პრესკონფერენციაც დაიწყო.

მერაბ ჟორდანიამ და მისმა გუნდმა მორიგი სარისკო, მაგრამ არათუ გაუმართლებელი ნაბიჯი გადადგა. ვინ-ვინ და იოჰან ბოსკამპი „ფეხბურთის ბიჭუნა“ სულაც არ გახლავთ. მას უთამაშია ფეხბურთი, უმწვრთნელია ფეხბურთში და თუ სხვებზე ძალიან ბევრი არა, არც ძალიან ცოტა იცის.

დანარჩენი კი დრომ უნდა გვიჩვენოს. დრომ უნდა გვიჩვენოს, ჰოლანდიელი სპეციალისტი ამ ექვსი თვის განმავლობაში რას შეცვლის და რას ვერა.

სფფ-ს ხელმძღვანელობა ძველებურად კეთილგანწყობილი და დიპლომატიური ჩანს. იგი ფიქრობს და მერეღა ამბობს. თვით ჟურნალისტის უბრალო კითხვაზეც იმგვარად აწონილი პასუხი აქვს-ხოლმე მომზადებული, შემთხვევითი კაციც მიხვდება — არ სურს ამ ხალხს წინამორბედი ხელმძღვანელობის ბედის გაზიარება.

მერე პრესკონფერენციაც დამთავრდა და ქართველი ჟურნალისტები ბოსკამპს დაეხვივნენ. ალბათ, ყველა მათგანს საქართველოს ეროვნული ნაკრების რიგით მეექვსე მწვრთნელთან ერთიერთზე ლაპარაკი სურდა, მაგრამ ეს უბრალოდ შეუძლებელი იყო, ვერც ზაზა ბოკერია გაუძლებდა ამდენს — იგი ხომ ბოსკამპის პირადი თარჯიმნობითაა დაკავებული.

სხვისი არ ვიცი და მე ერთ ვინმესაც დავადგი თვალი — საპრესკონფერენციოში ბოლთას სცემდა და თვალს მალი მალ ბოსკამპისკენ აცეცებდა ფრანსუა დე იონგი — იოჰან-მწვრთნელის დამხმარე ფიზიკურ მომზადებაში. საოცარია, მაგრამ ფაქტია — დე იონგი თითქმის არავის გახსენებია და მასთან ინტერვიუზეც რატომღაც თავს იკავებდნენ ჩვენებური ჟურნალისტები.

თავი დავიმშვიდოთ და ყოველივე ენობრივ ბარიერს დავაბრალოთ.

ისე, საინტერესო კი იქნება, როგორ მოაჯანიანებს დე იონგის სისტემა ეროვნული ჩემპიონატის უბადრუკობით გაფაქიზებულ ქართველ ფეხბურთელთა სხეულებს.

მერე კი, კარგა ხნის შესვენების შემდეგ, უცნობი მაესტრო-ვინმე კვლავ მიუჯდა როიალს „შერატონ პალასის“ ფოიეში და ჯადოსნური ჰანგებიც დაღვარა.

იგი ყველაფერს უკრავდა — ბახის ფუგებიდან გლენ მილერის „ჩუჩუმდე“.

მაგრამ ხანგრძლივ ცივილიზაცია გაახარებს ვისმე განა? — ვინ გაცალა მუსიკით ტკბობა. რა გემღერგეცეკვებათ, აგერ ქართული ფეხბურთი ხელში გაკვდებათ, იქ კიდევ კოსოვოს კონფლიქტია მოუგვარებელი, სახლებს და საქმეს მიხედეთ, ბიძიაო — და ფოიეში დამლაგებელი გოგონა (!) გამოიჭრა („არიელზე“ გაცილებით ნაცადი და ძველი დამასუფთავებელი საშუალებით — ტარიანი ცოცხით).

ჰო-ჰო, რას გვიდა ის დალოცვილი?! გეგონებოდა, თავად ცოცხი გვიდა. ეტყობა, ახალი იყო და ახალი ცოცხი ხომ კარგად გვის.

ეგებ ქართულ ფეხბურთსაც ასე მოუვიდეს — ახალი ცოცხი ხომ კარგად გვის.

კონსტანტინე გოგიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა
ფოტო ეროვნული ბიბლიოთეკა



იოჰან ბოსკამპი

დიბადა 21.10.1948 როტერდამში

სპორტული კარიერა

ფეხბურთელი

59-64 HOV როტერდამი
64-68 ფეიენოორდი
68-70 ჰოლანდ სპორტი
70-74 ფეიენოორდი
74-82 მოლენბეკი (ბელგია)
82-84 ლიერსი (ბელგია)

მწვრთნელი

84-86 ლიერსი (ბელგია)
88-89 დენდერ ჰუტემი (ბელგია. IV დივ)
89-92 ბევერენი (ბელგია)
92-93 კორტრაიკი (ბელგია. I დივ)
93-97 ანდერლეხტი (ბელგია)
97-98 გენტი (ბელგია)
1999 მაისიდან თბილისის „დინამოშია"

ჰოლანდიის ნაკრებში ორი მატჩი

04.06.78 ტუნისი. ა.მ. ტუნისი 4:0 (2:0)
ჰოლანდია: იონგბლადი, სურბიერი, კროლი (რაისბერგენი 46), ვან კრაი, ვილდსხუტი, ვ. ვან დე კერკჰოფი (ბოსკამპი 66), იანსენი, მიურენი, ვან ლეუვენი, ნანინგა, ვერმეულენი

11.06.78 მენდოსა. მ.ჩ. შოტლანდია 2:3 (1:1)
ჰოლანდია: იონგბლადი, სურბიერი, კროლი, რაისბერგენი (ვილდსხუტი 44), ბორტვლიე, ვ. ვან დე კერკჰოფი, ნეესკენსი (ბოსკამპი 10), იანსენი, რ. ვან დე კერკჰოფი, რეშე, რენსენბრიკი

თამაშობდე კრუიფის, რენსენბრიკის, ნეესკენსის, კროლის და ჰოლანდიური ოქროს ხანის სხვა ვარსკვლავთა მხარდამხარ, ცხადია, დიდი პატივია. კიდევ უკეთესია, თუ ასეთი ფეხბურთელებისთვის კონკურენციის გაწევა შეგიძლია.

იოჰან ბოსკამპს ასეთი ბედნიერება ხვდა წილად: იგი დიდ ჰოლანდიურ გუნდში თამაშობდა, თუმცა ტიტანებთან ბრძოლაში გამარჯვებული ვერ გამოვიდა.

ფეხბურთელ ბოსკამპის კარიერა 20 სრულ წელიწადს ითვლის და ჰოლანდიურ და ბელგიურ ეტაპებად იყოფა. პირველი ათი წელი მშობლიური როტერდამის „ფეიენოორდში" ქვეყნის ორგზის ჩემპიონობითა და უეფას თასის მოგებით დაასრულა. ბოსკამპმა ჩემპიონის ვერცხლის სინს პირველად 1971 წელს შეავლო ხელი, მეორედ კი სამ წელიწადში, სწორედ იმ წელს, როცა „ფეიენოორდი" უეფას თასსაც დაეუფლა.

1974 წლის უეფას თასის პირველ ფინალში, „ტოტენჰემის" სარბიელზე „უაით ჰართ ლეინზე" 2:2 რომ მორჩა არა და, იოჰან ბოსკამპმა საპასუხო მატჩში შეცვლაზე ითამაშა, როტერდამელთა 2:0 მოგებაში საკუთარი წილი დაიდო და საფეხბურთო კარიერაში პირველ საერთაშორისო წარმატებას მიაღწია.

ბოსკამპის ჰოლანდიური კარიერა ამით გასრულდა, 1974 წლიდან კი ათ წელიწადს ბელგიის ჩემპიონატში 297 მატჩში ითამაშა და 37 გოლი გაიტანა.

ეს იყო და, ჰოლანდიელი ბელგიას შერჩა. იქ ბოსკამპმა ტრიუმფით დაიწყო: მისი „მოლენბეკი" ქვეყნის ჩემპიონი გახდა, თავად კი ანდერლეხტელ რენსენბრიკს ამჯობინეს და პირველად ბელგიის ჩემპიონატების ისტორიაში უცხოელი საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

იოჰან ბოსკამპი მსოფლიოს ვიცეჩემპიონიცაა. ალბათ გახსოვთ, იოჰან კრუიფმა 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში იუარა და მისი №14 სწორედ სეხნია ბოსკამპს ერგო.

მწვრთნელობა ბოსკამპმა იქვე დაიწყო, სადაც თამაში დაასრულა — „ლიერსში". მწვრთნელ-ბოსკამპის საქმეები თავიდანვე ვერ აეწყო, მაგრამ ათი წლის თავზე „ანდერლეხტი" ორჯერ ზედიზედ აჩემპიონა და დუბლიც მოაგებინა.

სხვა აზრი არც ყოფილა. აღმასკომის ყველა წევრი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს დაეთანხმა — საქართველოს ნაკრებს უახლოესი ექვსი თვით ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი გაწვრთნის. როგორც მოსალოდნელი იყო, 99 პროცენტი გაასდა, გაასდა სხდომის დაწყებიდან 15-20 წუთში, ეროვნული გუნდის მწვრთნელად იოჰან ბოსკამპი დამტკიცდა. ნაირ-ნაირი ეპითეტები, პრესკონფერენცია, მილოცვები, ისევ ჟურნალისტები და მათთან თავაზიანი ხანმოკლე საუბარი — ეს აღმასკომის სხდომის შემდეგ. ამის მერე იყო პირობის შესრულებაც. პირობისა, რომელიც საქართველოს ნაკრების მეხუთე მწვრთნელმა „სარბიელს" ორიოდ დღის წინ მისცა. სასტუმრო „შერატონი". ამერიკული ბარი „კლემერსი". სიმყუდროვე. ყავა, ჩაი, „ბორჯომი" და სენდვიჩი. იქით იოჰან ბოსკამპი და მისი მეგობარი ფრანსუა დე იონგი, აქეთ ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა ბოკერია და „სარბიელი". ღიმილი და კეთილგანწყობა, სასიამოვნო ატმოსფერო და რაც მთავარია — საქართველოს ნაკრების მწვრთნელის პირველი, ვრცელი ინტერვიუ. თემა ცხადია — ეროვნული გუნდი, მისი მომავალი, გვეშველება კი რამე? იოჰან ბოსკამპმა ჩაი მოსვა და თავად დაიწყო.

საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი

იოჰან ბოსკამპი: არ მეღლოდით?!

— აბა, გისმენთ, როგორია თქვენი აზრი?

— რაზე ბრძანებთ?

— უკვე საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ვარ.

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, გილოცავთ.

— გმადლობთ. თქვენთვის მოულოდნელი იყო ჩემი დანიშვნა?

— არც ისე.

— ეგ რას ნიშნავს?

— მწვრთნელად უცხოელის ჩამოყვანაზე ბოლო ხანს ბევრს ვლაპარაკობდით.

— კი მაგრამ, მე ხომ „დინამოს" მწვრთნელად ჩამოვედი?

— რადგან „დინამოში" მუშაობას დათანხმდით, არც ნაკრები იყო გამორიცხული. მით უმეტეს, თქვენი აქ ჩამოსვლა და ვლადიმერ გუცაევის გადაწყვეტილება, ნაკრებიდან მოვდივარო, ერთმანეთს დაემთხვა.

— ხშირად გამაკრიტიკებთ?

— თქვენზეა დამოკიდებული. თუ დაიმსახურებთ, არც ქებას დაგაკლებთ.

— მაინც ვერ გავიგებ, ჯერ ქართულად არაფერი მესმის. ისე, თუ გამაკრიტიკებთ, ძალიან გთხოვთ, ზომას ნუ გადახვალთ, მოვლენები ობიექტურად შეაფასეთ. და რომ იცოდეთ, თქვენს აზრს სიამოვნებით მოვისმენ. ჟურნალისტებთან დისკუსია ყოველთვის საინტერესოა.

— ძალიან კარგი, ესე იგი, ჩვენთან ნორმალური ურთიერთობა გექნებათ.

— ყოველთვის მზად ვარ. სიტყვას არავის დავამდლი. ოღონდ, კვირაში ხუთჯერ ნუ მომაკითხავთ.

— თუ აუცილებლობამ მოიტანა?

— ეგ სხვა საქმეა. მობრძანდით.

— მოვალთ, მაგრამ ყოველთვის ასეთ კარგ გუნებაზე დაგვხვდებით?

— ყოველთვის კარგ ხასიათზე ვარ.

— როცა თქვენი გუნდი აგებს, მაშინაც?

— ბუნებრივია, არა, მაგრამ მუდამ მოგებაზე ვფიქრობ. ვინც სხვაგვარად აზროვნებს, ფეხბურთში არაფერი ესაქმება.

— თქვენ მუდამ შეტევაზეც ფიქრობთ.

— ასეა. ადრეც გითხარით, ვაფასებ შემტევ ფეხბურთს.

— მერე? აქვთ კი, თქვენი აზრით, ამ თაობის ქართველ ფეხბურთელებს ასეთი თამაშის პოტენციალი?

— რა თქმა უნდა. თუმცა თავდამსხმელებმა მცველთა დახმარება არ იციან. პრობლემაც სწორედ ეს არის, თორემ ქართველებს, უდავოა, შეუძლიათ შემტევი ფეხბურთის თამაში.

— ფეხბურთელთა განლაგებაზე რას იტყვით? ყოველთვის ერთი სქემით თამაშს ავალებთ გუნდს?

— მეტოქეზეა დამოკიდებული. ახლა ზუსტად ვერაფერს გეტყვით. თუმცა, ცხადია, ტაქტიკა ყოველთვის ერთნაირი არ იქნება. გააჩნია, რომელ გუნდს ვეთამაშებით. შემადგენლობასაც აქედან გამომდინარე შევარჩევ.

— თავდამსხმელთა რაოდენობაც შეიცვლება? რამდენი ფორვარდით თამაშს ამჯობინებთ?

იხილეთ მეხუთე გვერდი

Johan Boskamp (na snímku vpravo na zemi) z mistrovského týmu Raci White Daring Molenbeek se stal dvacátým belgickým „fotbalistou roku". To poprvé, kdy se vítězem ankety stal v Belgii zahraniční fotbalista: Boskamp je Holanďan. Rovněž na druhém místě skončil Holanďan — Rensenbrink z Anderlechtu. Třetím byl konečně domácí fotbalista, útočník FC Bruggy Raoul Lambert.

1975 წლის ჩეხურ გაზეთ *GOL*-ის ფოტოზე აღბეჭდილი ბელგიის საუკეთესო ფეხბურთელი იოჰან ბოსკამპი ბელგიისვე ჩემპიონატის მატჩისას მეტოქეს ფეხებში ჩავარდნია

თუ კრუიფმა არ ითამაშა

იოჰან ბოსკამპი—ჰოლანდიელთა სარეზერვო უუმბარა

იოჰან ბოსკამპმა, ცნობილმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა, (როტერდამის „ფეიენოორდი") 12 წელი ითამაშა „ფეიენოორდში". 4 წლის წინათ იგი გადავიდა მეზობელი ქვეყნის — ბელგიის კლუბ „მოლენბეკში". ეს ფეხბურთელი ყოველთვის გამოირჩეოდა დახვეწილი ტექნიკითა და დიდეული პორეული დარტყმებით. ყველას კარგად გვახსოვს უეფას თასის გათამაშებაში მის მიერ „ბაიერნთან" („ბარლ-ციისი") ბაზელში 30 მეტრიდან გადარადგან მისივე თქმით, „იენსენი და ვან ჰანეგემი მუდამ დიდებულად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს, ხოლო კრუიფის და ნეესკენსის ჯობნა ძნელი საქმე იყო". იოჰან ბოსკამპს თანაკლუბელებმა „ქერა გიგანტი" შეარქვეს, რადგან მან ავეჯის დამტარებელივით ფართო მხრები აქვს. თუმცა იოჰანი ძალზე მსუბუქად მოძრაობს და შესანიშნავად ფლობს ბურთს. იგი არ ჯარგაკს იშველს, რომ ნაკრებში მიიწვევენ. — „ვიმედოვნებ, რომ ჩემს მეერ

1978 წლის „ახალგაზრდა კომუნისტი" იოჰან ბოსკამპს იოჰან კრუიფის შემცვლელად მიიჩნევდა და ჰოლანდიელთა სარეზერვო ყუმბარადაც მოიხსენიებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაწყისი მეოთხე გვერდზე

— თქვენი აზრით?

— ალბათ, ორით.

— დაახლოებით ათ დღეში ოცკაციან შემადგენლობას გამოვაცხადებთ. მერე თავად დათვალეთ, რამდენი თავდამსხმელი იქნება იმ სიაში. მოედანზე კი ვერ გეტყვით, იქნებ ერთი ფორვარდი იყოს, ორი, სამი...

— მეტოქეზეა დამოკიდებული დაცვის თამაშიც. თქვენ ოთხი მცველის ერთ ხაზზე განლაგებას არჩევთ-ხოლმე; ამან კი ნორვეგიასთან რა მოგვიტანა, თავად ნახეთ.

— ბევრმა არ იცის, ოთხი მცველის ხაზზე განლაგება რა არის. ასეთ შემთხვევაში სამივე მცველმა მზად უნდა იყოს მეოთხის დასაზღვევად. დამზღვევის ფუნქციის შესრულება ყველას ევალება.

— მართალია, თითქმის ყველა გუნდი ამგვარად თამაშობს, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ქართველებს ეს უჭირთ. ლიბეროთი დაცვას არიან მიჩვეულნი. ჰგონიათ, უკეთესია.

— ეს აზრი აუცილებლად შესაცვლელია. ფეხბურთელმა ბავშვობიდანვე უნდა ისწავლოს და იცოდეს, რომ დღევანდელ ფეხბურთში ყველა ყველას აზღვევს. ვეცდები, ქართველებს ეს ნაკლი გამოვასწორებინო.

— ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი პრობლემა რა არის?

— როცა ფეხბურთელი უტევს, მან უნდა იცოდეს უკან დაბრუნება, მცველად თამაში. შეტევა თუ გეხერხება, დაცვაშიც უნდა ყოჩაღობდე. საქართველოში ასე არ არის. ამას სასწრაფოდ სჭირდება მიხედვა.

— საქართველოს ნაკრების თამაშზე წარმოდგენას უკვე შეიქმნიდით. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ თქვენი მწვრთნელობისას ეროვნული გუნდის ტაქტიკა მნიშვნელოვნად შეიცვლება?

— ვერიდები კოლეგების ხელმძღვანელობით ჩატარებული მატჩების კომენტარს. როცა ჩემი გუნდი შეიკრიბება, როცა ოც ფეხბურთელთან მომიწევს საქმის დაჭერა, ტაქტიკაზეც მაშინ ვიფიქრებ. დანარჩენი თავად განსაჯეთ. თამაშისას ყველაფერი გამოჩნდება, მიხვდებით, რაც შეიცვალა.

— ახლახან გვითხარით, ნაკრებში არასოდეს მოვიწვევ ისეთ ფეხბურთელს, რომელიც კლუბის ძირითადში არ თამაშობსო. აქედან გამომდინარე, გუნდში ლეგიონერთა რიცხვი, ალბათ, შემცირდება. უმეტესობა ხომ კლუბებში სწორედ სათადარიგოთა შორისაა.

— გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ, თუმცა, რაც ვთქვი, იმას გავაკეთებ და, რაღა თქმა უნდა, ლეგიონერთა რიცხვიც შემცირდება. ასე რომ, ეროვნულ გუნდში ფეხბურთელთა ნახევარი უცხოეთში მოთამაშე იქნება, ნახევარიც — ქართული კლუბებიდან.

— თქვენეული ნაკრების ლიდერებად რომელი ფეხბურთელები გესახებათ?

— აბა, წინასწარ რა გითხრათ? თუმცა კი, ძალიან მომწონს კალაძე, ნემსაძე, ქეცბაია და ჯანაშია. ვნახოთ, ვინ როგორ გამომადგება, ვინ როგორ შეასრულებს ჩემს მითითებას. მე მათი ხასიათიც არ ვიცი. უბრალოდ, ნაკრების რამდენიმე მატჩის ნახვის შემდეგ ამ ფეხბურთელებზე კარგი წარმოდგენა შემექმნა. მგონი, ისინი მოერგებიან ჩემებურ სათამაშო ტაქტიკას

— პრესკონფერენციაზე თქვით, სიურპრიზები გელითო. თუ შეიძლება, დაგვიკონკრეტეთ.

— რა ვიცი, შემადგენლობა ვიგულისხმე და რაც მე სიურპრიზი მგონია, იქნებ თქვენთვის ჩვეულებრივი ამბავი იყოს.

— გუნდის ბირთვიც განსაზღვრული მყავსო, ამბობდით. რომელი ფეხბურთელები იგულისხმეთ?

— შემადგენლობას ფედერაცია გამოაცხადებს, მათ ვაცნობებ, ვის გამოძახებას ვაპირებ.

— თქვენს თანაშემწეებსაც ვერ ჩამოგვითვლით? ამბობენ, დავით ყიფიანს ნაკრებში სელექციონერის ფუნქცია ექნებაო.

— ჯერ არაა განსაზღვრული. არც ყიფიანი იქნება სელექციონერი. მე, დავითი, ფეხბურთის ფედერაცია... ყველანი ერთად ვიქნებით, ერთ საქმეს გავაკეთებთ.

— ფეხბურთელებზე ინფორმაცია ვინ უნდა მოგაწოდოთ?

— ჩვენს თავს ჩვენვე მივაწვდით. არავითარ შემთხვევაში ტელეფონით. როცა ფეხბურთელს დაურეკავ, კარგ ფორმაში ვარო, გეტყვის, აბა, რა იქნება. იგივეს იტყვის კლუბის მწვრთნელიც, ისინი ხომ დაინტერესებულნი არიან, კლუბში ნაკრების წევრი ჰყავდეთ. ამიტომაც ლეგიონერთა თამაშებს დავესწრებით და თავად დავრწმუნდებით, როგორ ფორმაში არიან.

— კეთილი. მაშინ ახლა ის გაიხსენეთ, ბელგიაში მწვრთნელობისას ერთ-ერთ მსჯს უდიერად რომ მოექეცით. რა მოხდა ასეთი?

— ის მსაჯი ღირსი იყო. თუმცა ვერც მე დავიოკე ემოცია. მაშინ რვა თვით ამიკრძალეს მწვრთნელობა, მაგრამ ფედერაციის გადაწყვეტილება გავასაჩივრე და სასჯელი გამინახევრეს. ნაწილობრივ მართალი ვიყავი და იმიტომ. ისე, ამას მერამდენედ მეკითხებით?

— პირველად.

— მე კი მგონია, მესამედ.

— გარწმუნებთ, გეშლებათ...

— მოკლედ, არ ღირს იმ ინციდენტზე ბევრი ლაპარაკი და გაზვიადება.

— ერთსაც გკითხავთ. თბილისში, საქართველოში რომ მოდიოდით, ამ შუაევროპელმა ჰოლანდიელმა, კაცმა ჩვენი სამხრეთუელი, თანაც პოსტსაბჭოური მენტალიტეტი თუ გაითვალისწინეთ? დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ფეხბურთელებთან პრობლემები არ შეგექმნებათ?

— ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა. მენტალიტეტში მაინცდამაინც დიდი სხვაობა არ შემიმჩნევია. არა მგონია, ფეხბურთელებმა ვერ გამიგონ. მათთან მეგობრული ურთიერთობა მექნება. აი, ჟურნალისტებთან როგორ იქნება...

— როგორ უნდა იყოს?

— იმედია, კარგად.

— გმადლობთ. წარმატებებს გისურვებთ.

— თქვენც ასევე.

მართალია, ბოსკამპმა თავისი თანაშემწეების ვინაობა არ გაგვიმხილა, ან იქნებ მართლაც ჯერ არ გადაუწყვეტია, მაგრამ ვფიქრობთ, თბილისის „დინამოში“ მისი ერთ-ერთი თანაშემწე ფრანსუა დეიონგი მწვრთნელს ნაკრების წევრთა ფიზიკურ მომზადებაშიც დაეხმარება.

— რას იტყვით, ძლიერ ჩამორჩებიან ქართველები ფიზიკურად უცხოელებს?

— მთლად გამართულად რომ ვერ არიან, ამაში აქ ჩამოსვლისთანავე დავრწმუნდი. დანარჩენს კი მაშინ გეტყვით, როცა მოვალეობის შესრულებას შევუდგები.

— პირველად რას გაკეთებთ?

— ამას გუნდის სამედიცინო პერსონალთან ერთად გადავწყვეტთ. მარტო ვერაფერს გავაკეთებ. მათი რეკომენდაციებიც გასათვალისწინებელია.

— ფიზიკურ მომზადებას შესაბამისი ინფრასტრუქტურაც სჭირდება, საქართველოში არსებობს ამის შესაძლებლობა?

— მე კმაყოფილი ვარ, ბევრი არაფერი გვჭირდება. რაც დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ვნახე, სრულიად მაკმაყოფილებს.

ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

ᲤᲠᲐᲜᲡᲣᲐ ᲓᲔᲘᲝᲜᲒᲘ ᲘᲝᲰᲐᲜ ᲑᲝᲡᲙᲐᲛᲞᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

ᲩᲔᲮᲣᲠ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ *STADION*-ᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲖᲔ 1974 ᲬᲚᲘᲡ ᲣᲔᲤᲐᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ „ᲤᲔᲘᲔᲜᲝᲠᲓᲘ“.
ᲓᲒᲐᲜᲐᲜ: ᲠᲐᲘᲢᲡᲛᲐ, ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ, ᲨᲜᲐᲘᲓᲔᲠᲘ, ᲑᲝᲡᲙᲐᲛᲞᲘ, ᲕᲝᲡᲘ, ᲕᲐᲜ ᲰᲐᲜᲔᲒᲔᲛᲘ
ᲡᲮᲔᲓᲐᲜ: ᲡᲮᲣᲜᲛᲐᲙᲔᲠᲘ, ᲠᲐᲘᲡᲑᲔᲠᲒᲔᲜᲘ, ᲓᲔᲘᲝᲜᲒᲘ, ᲙᲠᲘᲡᲢᲔᲜᲡᲔᲜᲘ, ᲠᲔᲡᲔᲚᲘ

1984 ᲬᲔᲚᲘ. ᲑᲔᲚᲒᲘᲣᲠ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ *FOOT MAGAZINE*-ᲘᲡ
ᲐᲛ ᲤᲝᲢᲝᲖᲔ ᲖᲔᲓᲐ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲑᲝᲚᲝᲨᲘ
ᲘᲝᲰᲐᲜ ᲑᲝᲡᲙᲐᲛᲞᲘ ᲡᲐᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲝ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ, „ᲚᲘᲔᲠᲡᲘᲡ“ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘᲡ ᲠᲐᲜᲒᲨᲘᲐ

მომგებიანი ტაქტიკა

საათნახევარში დასრულებული აღმასკომის სხდომა საგანგებო პრესკონფერენციით დაგვირგვინდა. პრესკონფერენციით, სადაც ჟურნალისტების ყურადღება მთლიანად სამი პიროვნებისადმი იყო მიპყრობილი. ჰოდა, ჩვენც თანმიმდევრობით მივყვეთ.

მერაბ ჭორდანია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი

სფფ-ს პრეზიდენტი რესპოდენტთა შორის ყველაზე დაღლილი ჩანდა, თუმცა ეტყობოდა, რომ აღმასკომის გადაწყვეტილებით კმაყოფილი იყო. ბუნებრივია, პირველი სიტყვა მას ეკუთვნოდა და ჟორდანიამაც დამსწრეთ მოკლედ ამცნო აღმასკომის გადაწყვეტილება:

— იოჰან ბოსკამპი დღეს ოფიციალურად დამტკიცდა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად. ხოლო მურთაზ ხურცილავა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ამაზე დიდი ხანია, ვმუშაობთ. გვქონდა კონსულტაციები აღმასკომის წევრებთან. ვფიქრობ, ამგვარი გადაწყვეტილება თქვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა. გვსურდა, რომ ეს საკითხი აღმასკომის სხდომამდე კონფიდენციალური ყოფილიყო, თუმცა ასე არ მოხდა... აღმასკომის დღევანდელ გადაწყვეტილებას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ.

აღმასკომის წევრებს ბოსკამპის კანდიდატურისთვის ერთსულოვნად დაუჭერიათ მხარი. ამაში გასაკვირი არაფერია, უცხოელი სპეციალისტის ნაკრებში მუშაობის პერსპექტივით თვით ქვეყნის პრეზიდენტით კი მოხიბლულა.

-- ოთხი დღის წინ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს შევხვდი. იგი ძალიან გაახარა სფფ-ს გადაწყვეტილებამ. შეხვედრას ესწრებოდა ცნობილი ქართველი ბიზნესმენი და სპორტის დიდი მეცენატი, ბატონი მიხეილ სურგულაძე, პიროვნება, რომელიც აქტიურად მონაწილეობს თბილისის „დინამოს“ აღორძინების პროექტში. ეს პროექტიც ძალიან მოიწონა ბატონმა ედუარდმა... რაც შეეხება დავით ყიფიანს, მინდა მოგახსენოთ, რომ მას ერთობ საპასუხისმგებლო ფუნქციები დაეკისრა როგორც ეროვნულ ნაკრებში, ასევე „დინამოში“. ეს კი შემდეგში გამოიხატა: ბატონ ბოსკამპს გადაწყვეტილი აქვს თბილისის „დინამოს“ გაძლიერება რამდენიმე უცხოელი მოთამაშით და რაკი მათთვის ადგილზე თვალის დევნების შესაძლებლობა თითქმის არ ექნება, ამ საქმეს დავით ყიფიანი მიხედავს. იგი უცხოეთში დააკვირდება თითოეულ, ჩვენი კლუბისთვის სასურველ ფეხბურთელს და ბოსკამპიც საბოლოო გადაწყვეტილებას მასთან კონსულტაციის შემდეგ მიიღებს. მათ ვინაობაზე კი კონკრეტულად ვერაფერს მოგახსენებთ. ამ საქმეზე რამდენიმე გამოცდილი უცხოელი აგენტი მუშაობს და სჯობს, საბოლოო შედეგს დაველოდოთ. რაც შეეხება ყიფიანის ფუნქციას ეროვნულ ნაკრებში, იოჰან ბოსკამპის პოზიცია (სხვათა შორის იგი სფფ-ის პოზიციის ანალოგიურია) კატეგორიულია: ეროვნულ ნაკრებში ვერ მოხვდება ვერც ერთი ისეთი ფეხბურთელი, რომელიც თავის კლუბში რეგულარულად არ თამაშობს. შესაბამისად, დავით ყიფიანს მუდმივი კონტროლის ქვეშ ეყოლება უცხოეთში მოთამაშე ქართველი ლეგიონერები და საჭირო, აუცილებელი ინფორმაციაც ექნება მათზე. ყოველივე კი ეროვნულ ნაკრებს უთუოდ სასიკეთოდ წაადგება.

ბუნებრივია, ყველას აინტერესებდა ბოსკამპის ეროვნულ ნაკრებში მუშაობის ხანგძლივობა და ისიც, თუ რა პირობებს სთავაზობდა უცხოელ სპეციალისტს საბანკო ანგარიშზე ჯერაც ყადაღადადებული საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია.

— თავად ბოსკამპის სურვილი იყო, რომ დასაწყისისთვის ექვსთვიანი კონტრაქტი დაგვედო. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ მასთან მუშაობას გავწყვეტთ. გადავხედავთ ეროვნული ნაკრების შედეგებს და გადაწყვეტილებას შემდეგ მივიღებთ. არ გამოვრიცხავთ, რომ ბოსკამპთან მუშაობა შემდეგაც გაგრძელდეს. რაც შეეხება საკონტრაქტო თანხას, კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. რისი თქმაც შემიძლია, ესაა ის, რომ კონტრაქტის პირობებით ორივე მხარე კმაყოფილია. ანაზღაურება კი იქნება ისეთი, როგორიც ევროპაში მომუშავე კარგ სპეციალისტს ეკადრება... რეზო არველაძეზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, იგი მოქმედი ფეხბურთელია და ამ ეტაპზე მწვრთნელობაზე არ ფიქრობს.

პრესკონფერენციის პრინციპი გეცოდინებათ — რაც შეიძლება მეტი კითხვა ნაკლებ დროში და ზოგჯერ ისეც ხდება, კაცი პასუხს შემდეგ კითხვაზე ფიქრით ხეირიანად ვერც კი გაიაზრებ, მაგრამ ეს პასუხი სხვათაგან გამორჩეული გახლდათ. თითქოს არაფერი იყო მასში ახალი და უჩვეულო, მაგრამ სიმართლემ, თუმც მწარემ, ათასი ცრუ დაპირებით და თავის მოტყუებით თავგაბეზრებულს შვება მომგვარა.

— არსებულ მდგომარეობას რეალურად ვაფასებ, ამიტომ ბატონ იოჰანს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრას ვერ მოვთხოვთ. ძირითად აქცენტს მომავალ შესარჩევ ციკლზე გავაკეთებთ და ბოსკამპს ყველა პირობას შეეუქმნით საიმისოდ, რომ ახალი, გამართული ნაკრები ჩამოაყალიბოს.



მერაბ ჟორდანია თავისას ფიქრობს, იოჰან ბოსკამპი თავისას

ბადრი ჯითლაძის ფოტო

იოჰან ბოსკამპი

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი

საქართველოს ნაკრების პირველ უცხოელ მწვრთნელს ღია მწვანე ფერის პიჯაკი სოლიდურობას მატებდა. როგორც ჩანს, ბოსკამპს ჟურნალისტებთან ურთიერთობის გვარიანი გამოცდილება აქვს. პასუხის გაცემის დროს ეტყობოდა, რომ ამაზე უკვე წინასწარ ეფიქრა. აზრს ერთი ამოსუნთქვით გადმოსცემდა და შეხედულებისამებრ ზოგ შეკითხვას დიდებული მანერებით თავსაც არიდებდა.

— უვარჯიშებელი გუნდის (სადაც დისციპლინაც ვერ დგას სათანადო დონეზე), სალიგოდ შემზადებას როგორ აპირებთ — ასეთი იყო პირველი შეკითხვა, რომელიც დარბაზიდან ბოსკამპს (ამავდროულად თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელსაც) დაუსვეს. ამ შეკითხვას ჩვენ კვლავ დაუბრუნდებით. ბოსკამპის პასუხი კი ასეთი გახლდათ:

— „დინამოს“ ხუთი-ექვსი თამაში მინახავს. ბუნებრივია, კლუბზე ჩემი შეხედულება გამაჩნია. ჩემპიონთა ლიგისთვის მზადებას 16 ივნისიდან შევუდგებით და გუნდის მდგომარეობაზე შემდეგ ვისაუბროთ. განვლილ პერიოდს კი დისკუსიის საგნად ნამდვილად არ გავხდი რადგან მე არ მეხება.

შემდეგ ბოსკამპი ნორვეგიიდან ნორვეგიამდე პერიოდს შეეხო.

— მინდა, თქვენი ყურადღება ერთ ფაქტს მივაპყრო. საქართველო-ნორვეგიის საწყის 15 წუთზე მოგახსენებთ. დროის ამ მონაკვეთში უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე მეტოქემ. გოლმა დაგვშალა და საკალალო შედეგიც მივიღეთ. მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენ შევძლებთ კარგი, მებრძოლი გუნდის გაკეთებას. წინ ისევ ნორვეგიელებთან გველის მძიმე მატჩი. შემადგენლობის ძირითადი ბირთვი გამოკვეთილია, ვაკვირდებით, რამდენიმე მოთამაშეს. საამტყოდ შემადგენლობა ერთი კვირით ადრე დასაზუსტებელია. გამოკვეთილ, რომ გარკვეული სიურპრიზიც გელოდ. ნაკრების მომზადების ლეტალური ვადა უკვე არსებობს. და ჩვენ ამ გეგმით ვმოქმედებთ... ამბიციურად ეროვნული ნაკრები ყველა საშინაო შეკრებას დიდმის ბაზაზე მოაწყობს... ორ „ფრონტზე“ მუშაობის პრაქტიკა (იგულისხმება კლუბი და ნაკრები — ჰკ) ჯერ არ მქონია, მაგრამ ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. დრო ყველაფერს გამოაჩენს... საკმარისია თუ არა ნაკრებში ექვსთვიანი მუშაობა, ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთს გეტყვით. მე ყველა ღონეს ვიხმარ საიმისოდ, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს კარგი შედეგები ჰქონდეს...

და იყო კიდევ ფრაზები, რომელიც უცხოელმა სპეციალისტმა თქვა და რომელსაც ამჯერად უკომენტაროდ დავტოვებ, სამომავლოდ კი მასზე მართლაც ღირს ყურადღების გამახვილება:

— საქართველოს ნებისმიერი რანგის ნაკრები ერთნაირი ტაქტიკით უნდა თამაშობდეს.

მურთაზ ხურცილავა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი

დროა, ბოსკამპისთვის დასმულ პირველ შეკითხვას დავუბრუნდეთ.

როდესაც სიტყვა მურთაზ ხურცილავას მიეცა, მან ამ შეკითხვასთან დაკავშირებით თავისი აღშფოთება ვერ დამალა.

— ჯერ ერთი, მე დისციპლინას ვერავინ მასწავლის. მეორე, ეს, „უვარჯიშებელი“ „დინამო“ კლუბის ისტორიაში არასოდეს ყოფილა ასე ახლოს ჩემპიონთა ლიგასთან. მაშინაც კი, როდესაც გუნდში ბევრი უფრო სახელოვანი ქართველი ფეხბურთელი თამაშობდა. არც ერთი მწვრთნელის დროს „დინამოს“ 26-მატჩიანი წაუგებელი სერია ქვეყნის ჩემპიონატში არ ჰქონია. მე გეკითხებით, ეს არის უვარჯიშებელი გუნდი... ვიცი, რომ მძიმე დრო უდგას ახალგაზრდულ ნაკრებს, სიდნეის ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსიც არ არსებობს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამთავითვე უნდა ჩავუყაროთ საფუძველი ახალი გუნდის შენებას... წაგებულის ფსიქოლოგიის ფეხბურთელები არ გვჭირდება. ახალგაზრდული ნაკრების დატოვება ბევრ ფეხბურთელს მოუწევს, გუნდი საგრძნობლად გადახალისდება. ამთავითვე ვაცხადებ, რომ ნაკრების ძირითად ბირთვს „დინამო 2“-დან მოწვეული ფეხბურთელები შექმნიან...

ვერაფერს იტყვი, ახალგაზრდული ნაკრების ახალი მწვრთნელის პირველი სიტყვები პირდაპირი და ამავე დროს საქმიანიცაა. მაგრამ ხურცილავას ერთი ფრაზა კი მართლაც ორიგინალური იყო, იმდენად ორიგინალური, რომ კომენტარს არც ახლა საჭიროებს და არც მომავალში:

— მე ყველა იმ ტაქტიკის მომხრე ვარ, რომელიც მომგებიანია.

პაატა ძვანტალიანი

საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელის პირველი პრესკონფერენცია

ბადრი ჯითლაძის ფოტოები

იოჰან ბოსკამპს მოსაუბრენი არ აკლდა

საქართველოს ჩემპიონატი — 26 ტური

შურისძიება, კანონი და პრელუდია



„დინამოს“ ქომაგი თბილისელთა მეათედ გაჩემპიონებას ელის

აჰა, ტური ოცდამეექვსე, ტური ბევრისმთქმელი. ზევით „დინამო“ და „ლოკომოტივი“, ქვემოთ თსუ და „ოდიში“. შურისძიება „დინამოსი“ „ლოკომოტივთან“ მეოთხე მატჩშიღა რომ შეძლო ბურთის გატანა და კანონზომიერება თსუ — „ოდიშის“ შეხვედრაში, სადაც ძლიერმა იმარჯვა. მეათე ეროვნულ ჩემპიონატში თითქმის გამოიკვეთა მეორე უკონკურენტო აუტსიდერიც — „ოდიშს“, ალბათ, ველარაფერი იხსნის. იგი გადათამაშებაში მაინც რომ მოხვდეს, შინ „კოლხეთს“ და „ვიტ ჯორჯიას“, გასვლაზე კი „ბათუმსა“ და „არსენალს“ უნდა მოუგოს, უკიდურეს შემთხვევაში სამ მათგანს მაინც, რაც, დაგვეთანხმებით, სულაც არ არის იოლი საქმე. მერე არც ბოლნისის „სიონთან“ ზუგდიდში წაგებული მატჩი უნდა დაგვავიწყდეს — იმ შეხვედრამ მეორეჯგუფელი, ალბათ, გამოავლინა.

პირველი თბილისისდინამოური ბურთი გაიტანა თეიმურაზ ტულუშმა „ლოკომოტივის“ კარში. „დინამო“ თეორიულადღა არ არის ჩემპიონი, თორემ, ამ დონის ჩემპიონატში მასთან ათქულიანი სხვაობის გაქვითვა ქუთაისელებს კი არა, რომის „ლაციოს“ (თუნდაც „მილანს“) გაუჭირდება.

რაც შეეხებათ რკინიგზელებს, „ლოკომოტივი“ ამ მარცხის შემდეგ კვლავ ექვსი ქულით დაშორდა „ტორპედოს“ და ვერცხლის გეშიც ფაქტობრივად დაკარგა. არ არის ოთხ ტურში ექვსი ქულის გამფლანგავი გუნდი „ტორპედო“, მით უმეტეს, ახალი ხიდის მშენებლობა წამოიწყეს ქუთაისში და ის რომ არ დაინგრეს, შინ ვერცხლის მედლების ჩატანება ყოფილა აუცილებელი.

ამდაც არ დაინდეს ქუთათურებმა კარის მეზობელი წყალტუბოელები და 3:2 მოუგეს. ზუსტად სამი კვირის მერე ამ შეხვედრიდან „ტორპედო“ — „სამგურალი“ საქართველოს თასის ფინალს გაითამაშებენ და ეს მატჩი ფინალის ერთგვარ პრელუდიადაც შეიძლება მოგვეჩვენოს, თუმცა არც გიორგი კილასონიას, ბურნაძის და აფციაურის უთამაშებლობა უნდა დავივიწყოთ — იქნებ ჯანს ინახავენ ბიჭები, ან სულაც გუნდი ამზადებს რაიმე სიახლეს. ნაკლებ სავარაუდოა, მაგრამ... რას გაიგებ.

„მერანს“ სინათლეზე დაულამა „იბერიამ“. სოსო ფრუიძის ხელში სამტრედიელებმა გასვლაზე მოგებაც ისწავლეს და თუ დინამოსთან 0:1-ზე წაგებულ შეხვედრას არ ჩავთვლით, იგებს და იგებს. დაბრუნების შემდეგ პირველი ბურთი გაიტანა ვასო გიგიაძემ და ივეჩიანთან ერთად ორი უპასუხო ბურთი მიართვა ძღვნად მასპინძლებს.

„დილამ“ „გურია“ ერთხანს კი მიუშვა ნებაზე, მაგრამ მერე კბილ-ბრჭყალი გამოაჩინა და ხუთი ბურთი გაიტანა „გურიას“ სამის წინააღმდეგ. რა ეშველებოდათ ლანჩხუთელებს, დავით მახარაძე რომ არ ჰყავდეთ. ახლაც ორი ბურთი გაიტანა „გურიის“ უპირველესმა მეგოლემ. ამით „გურიას“ რა, თორემ...

კიდევ ერთი ძნელი ფრე მოახერხა „სიონმა“ მორიგ ლიდერთან. ისე, ბოლო წლებია, გამწარებული ჰყავთ ქვემოურებს ზღვისპირელები. ახლაც კინაღამ მოუგეს. „სიონმა“ გიორგი ტყავაძე და შალვა ისიანი დაიმატა, გუნდში ხელფას-პრემიების საქმეც მეტ-ნაკლებად მოგვარდა და აი, შედეგიც. ბოლო ოთხი ტურია, „სიონმა“ წაგება არ იცის.

უგოლო ფრით მორჩა მატჩი „ისანზე“. „არსენალი“ — „კოლხეთი“ სრულად სხვადასხვა მიზნისთვის მებრძოლი გუნდები არიან, მაგრამ მოინდომე და მთებს თუ არ დაძრავ, „კოლხეთთან“ მაინც არ წააგებ. არმიელებსაც ასე მოუვიდათ, მოინდომეს, არ წააგეს, ქულაც აიღეს და იმდენი აქვთ, პირველ ჯგუფში სამზეოზე ადგილის შესანარჩუნებლად რომ ეყოფათ (რა თქმა უნდა, მცირეოდენის წამატებაც არ აწყენთ, მულამის ამბავი არაა?!).

დაბოლოს, „გორდა“ — „ვიტ ჯორჯია“. ფოლადად შეკრულმა „გორდამ“ „ფოლადზე“ მიიღო მეტოქე, სამი ბურთი გაუტანა, ორი გაუშვა, მოიგო და მეთერთმეტე ადგილზეც დაფუძნდა, „ვიტ ჯორჯიამ“ კი თავისი საქმე უკვე მოითავა და ახლა თავის გამრდება მხოლოდ პრესტიჟის განსამტკიცებლად თუ დასჭირდება.

...ჩემპიონატი თითქმის მიილია, წინ თასის ფინალი და ევროსარბიელია.

კონსტანტინე გოგიშვილი

თბილისი — 5 მაისი, 18 საათი, ეროვნული — 1 200 (ტევადობა 75 000)

დინამო 1:0 ლოკომოტივი

1:0 ტულუში (42)

დინამო: გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვ.შაკიძე, მ.მაჭავარიანი, ა.სახვაძე, ტულუში, ალექსიძე, ა.მუჯირი (წიტაიშვილი 62), აშვეთია (გოგიჩაიშვილი 85), გუჩუა (ჩომახიძე 79)

სათადარიგონი: მამალაძე; ქებაძე, პ. ჯინჭარაძე

ლოკომოტივი: დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი, დ. მუჯირი, გოგობერიშვილი, შ. ხუჯაძე, ბაქრაძე (ნ. მინდიაშვილი 83), კ. მელქაძე, დ. გოდერძიშვილი, წივწივაძე (კაციაშვილი 46)

სათადარიგონი: დ. ჯანელიძე; ნ. მელაძე, ზ. არჩვაძე, ქოიავა, ვ. კილასონია

გაფრთხილება: ჩიხრაძე (21), დიდავა (51), ტულუში (63)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. დოლიძე (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. ქარქაშაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. კაჭახიძე

წყალტუბო — 5 მაისი, 18 საათი, 26 მაისი — 1 000 (ტევადობა 12 000)

სამგურალი 2:3 ტორპედო

0:1 ჯანაშია (12), 1:1 ღონღლაძე (20), 2:1 გლუნჩაძე (49), 2:2 ჩხეტიანი (55), 2:3 მეტრეველი (69)

მეგრელაძემ ვერ გაიტანა პენალტი (24, ძელი)

სამგურალი: ბობოხიძე, მახვილაძე (დარსაძე 46), ფრანგიშვილი (მ. ჯინჭარაძე 46), ზ. ქუთათელაძე, ვოსკანოვი, გიორგობიანი (პეტრიაშვილი 46), ღონღლაძე, ჯავახაძე, გლუნჩაძე, სუხიაშვილი, გ. შენგელია

სათადარიგონი: ასლანაძე; ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, ძაგნიძე

ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი (მაზანიშვილი 46), თურმანიძე, შეყრილაძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე, ჩხეტიანი, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (კ. მეტრეველი 40), ვაჩიბერაძე

სათადარიგონი: სტურუა; ჩხაბერიძე, კ. ჯანაშია

გაფრთხილება: ვოსკანოვი (25), გიორგობიანი (37)

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ბ. ბერგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); თ. ხუჭუა (სამტრედია)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე

ბორი — 5 მაისი, 18 საათი, ცენტრალური — 1 500 (ტევადობა 3 200)

დილა 5:3 გურია

0:1 ლ. ჩხაიძე (13), 1:1 გაგნიძე (44), 2:1 ლომიძე (52), 2:2 დ. მახარაძე (75), 2:3 თ. ჩხაიძე (77), 3:3 ახალკაცი (82), 4:3 სულთანიშვილი (85), 5:3 შატაკიშვილი (88)

დილა: თ. ილურიძე, ფეშუაშვილი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, აკოფიანი, ლ. გოჩაშვილი (სულთანაშვილი 72), მარეხაშვილი, ციცქიშვილი, რ. ახალკაცი, ლომიძე, შატაკიშვილი

სათადარიგონი: სოღოლაშვილი; მ. მინდიაშვილი, ხიხალაშვილი, საყვარელიძე, არუთინიანი

გურია: ნიკურაძე, მაჩიტიძე, ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე, ფირცხალაიშვილი (კ. სვანიძე 46), ძოძუაშვილი (თ. ჩხაიძე 56), შავშიშვილი, დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე (გულორდავა 46), ბოლქვაძე

სათადარიგონი: ბერძენიშვილი

გაფრთხილება: ნიკურაძე (43), ხაჭაპურიძე (77), ახალკაცი (88)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); ო. მოლოდინაშვილი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. ზეინკლიშვილი

თბილისი — 5 მაისი, 18 საათი, სინათლე — 600 (ტევადობა 3 000)

მერანი 0:2 იბერია

0:1 ივეჩიანი (71), 0:2 ვ. გიგიაძე (89)

მერანი: ლომაია, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, ბ. ამბიძე, ჭინჭარაული (ბაჯელიძე 81), გელა ქორიძე, ჯიშკარიანი (ბერაია 85), თოლორდავა, კარიაული, ჩუხუა, დავითაშვილი

სათადარიგონი: კოროშინაძე; დ. ჭელიძე, ხარებავა, ცქიფურიშვილი, ივანიშვილი

იბერია: გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქვულაძე, გეგეშიძე, მუმლაძე, ს. თოდუა, ს. გიგაძე, ხუჭუა (ვარდიაშვილი 88.), გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი (ფილიპაშვილი 89), ვ. გიგიაძე (მიქელთაძე 90)

სათადარიგონი: ვარდანიძე; ცომაია, ზ. ფხაკაძე, ნ. გიორგაძე

გაფრთხილება: კარიაული (17), ნიკოლეიშვილი (26), ხუჭუა (79)

მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი)

სფფ-ს ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

რუსთავი — 5 მაისი, 18 საათი, ფოლადი — 1 000 (ტევადობა 10 700)

გორდა 3:2 ვიტ ჯორჯია

1:0, 2:0 მელაძე (17, 25), 3:0 ზირაქაძე (51), 3:1 ბოკერია (83), 3:2 მაზიაშვილი (86)

გორდა: მ. ქორიძე, კედელაშვილი, ჩიგოშვილი, სიდამონიძე, მ. გაბელაია, ინასარიძე, მ. მელაძე, კიტეიშვილი, პატარიძე, ლ. ალადაშვილი

სათადარიგონი: ოქროპირიძე; ტარტარაშვილი, რ. მახარაძე, მ. სახვაძე, მჭედლიძე, მენთეშაშვილი, ლაბაძე

ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი, ჭანკოტაძე, ვ. მაისურაძე, ბარქაია, ქემოკლიძე, ერაძე, მაზიაშვილი, ზ. გვაზავა (ა. ბოკერია 30), დ. დოლიძე, ვ. გოჩაშვილი, გ. ქორიძე

სათადარიგონი: ჭურაძე; ი. კაპანაძე, გვირჯიშვილი, ვ. ქუთათელაძე

გაფრთხილება: მელაძე (19), გაბელაია (41), ზირაქაძე (53), ბარქაია (56)

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (ხურამი), კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); კ. თბილელი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

გოლნისი — 5 მაისი, 18 საათი, თეიმურ სტეფანია — 2000 (ტევადობა 3 000)

სიონი 1:1 ბათუმი

0:1 მაჭუტაძე (54), 1:1 მოსეშვილი (78)

სიონი: გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკაიშვილი, დ. სვანიძე, ტყავაძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (ლ. გაგუა 46), მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ისიანი (დ. ჯაფარიძე 89), მოსეშვილი (ხელაშვილი 80)

სათადარიგონი: დალაქიშვილი; ფ. არჩვაძე, ყიფშიძე

ბათუმი: ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, მაქაცარია, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, გადელია, რუსია, ვ. მახარაძე

სათადარიგონი: ვერემჩუკი, მჟავანაძე, კანტიძე, ყულეჯიშვილი, ღლონტი, ქუტიძე, მინდაძე

გაფრთხილება: თ. სამხარაძე (87), რუსია (87)

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); ა. ორდენიძე (ონი), ს. კახიანი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

თბილისი — 5 მაისი, 18 საათი, ისანი — 500 (ტევადობა 5 000)

არსენალი 0:0 კოლხეთი

არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ჩიქოვანი, ვ. გველესიანი, ყოლბაია (ხოსროშვილი 65), მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი, აბაზაძე, ამირიძე, ა. კაკაშვილი, ტარიელაშვილი

სათადარიგონი: აბაშიძე; ყუფარაძე, გ. სულაძე, ვ. გაგუა, კოხრეიძე, თვალაბეიშვილი

კოლხეთი: მ. გვასალია, გორგოზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე, ანჯაფარიძე, მ. ქობულაძე, ტრაპაიძე, კალანდაძე, ბულუხია, ე. გვასალია

სათადარიგონი: ჩემია; ჩაგანავა, ჩადუნელი, ბურკვაძე, ბაბავა, შავგულიძე, ამაშუკელი

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ა. მეშკოვი, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); ო. ხეცაძე (ბორჯომი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

თბილისი — 5 მაისი, 18 საათი, შევარდენი — 500

თსუ 4:1 ოდიში

0:1 ცაცუა (8), 1:1 ბუკია (51), 2:1, 3:1 გოგოლაძე (63, 75), 4:1 ჭუმბურიძე (78)

თსუ: გაბელია, ზამთარაძე, შაშიაშვილი, თ. კობიაშვილი (სვანაძე 81), ი. ხუჯაძე, ბუკია (ილურიძე 76), ვ. ღუდუშაური, მაღლაძე, გონჩაროვი (ინწკირველი 83), ჭუმბურიძე, დ. გოგოლაძე

სათადარიგონი: მერლანი

ოდიში: გოგია, რ. გაბისონია, კ. კვეკვესკირი, აკობია, კაკულია, ცაცუა, იოსავა, კუტალია, მარკოზია, გოგობია (შელია 76), გვინია

სათადარიგო: ჭედია

გაფრთხილება: კვეკვესკირი (48), ზამთარაძე (73), ილურიძე (83)

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი), ვ. ელოევი (ცხინვალი), მ. ელიკაშვილი, დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. გვანცელაძე

ბომბარდირები

20 - აშვეთია	*დინამო*
15 - იონანიძე	*ტორპედო*
დ. მახარაძე	*გურია*
14 - ხოფერიკი	*ბათუმი*
13 - წივწივაძე	*ლოკომოტივი*
დ. ჯანაშია	*ტორპედო*
12 - ე. გვასალია	*კოლხეთი*
მეგრელაძე	*ტორპედო*
11 - ალექსიძე	*დინამო*

სიმბოლური ნაკრები

- *ბიძინა ივეჩიანი, იბერია*
- *ვურმან გოგოლაძე, სიონი*
- *მირზა სამხარაძე, სიონი*
- *მამუკა მილაძე, გორდა*
- *თეიმურ ტულუში, დინამო*
- *დავით გოგოლაძე, თსუ*
- *პაატა ბარნოვი, ლოკომოტივი*
- *ირაკლი მაშაკიძე, დინამო*
- *გივი დიდავა, დინამო*
- *გაგრი ავლედიანი, ტორპედო*
- *ოთარ გოგოხიძე, სამგურალი*

გუნდი: იბერია

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე *იბერია*

№	#	სულ							შინ							სტუმრად						
		თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 დინამო (1)	1	26	21	5	0	75:12	+63	68	13	11	2	0	48:9	+39	35	13	10	3	0	27:3	+24	33
2 ტორპედო (4)	2	26	18	4	4	63:23	+40	58	13	10	2	1	34:8	+26	32	13	8	2	3	29:15	+14	26
3 ლოკომოტივი (6)	3	26	14	10	2	33:13	+20	52	13	8	5	0	17:4	+13	29	13	6	5	2	16:9	+7	23
4 კოლხეთი (3)	4	26	12	6	8	51:35	+16	42	13	9	1	3	34:12	+22	28	13	3	5	5	17:23	-6	14
5 ბათუმი (2)	5	26	10	11	5	35:19	+16	41	13	7	5	1	25:7	+18	26	13	3	6	4	10:12	-2	15
6 მერანი (7)	6	26	9	9	8	24:24	0	36	13	5	5	3	9:6	+3	20	13	4	4	5	15:18	-3	16
7 იბერია (დ)	8	26	10	5	11	39:40	-1	35	13	5	4	4	20:13	+7	19	13	5	1	7	19:27	-8	16
8 დილა (9)	9	26	10	5	11	34:43	-9	35	13	7	2	4	22:15	+7	23	13	3	3	7	12:28	-16	12
9 ვიტ ჯორჯია (10)	7	26	11	4	11	32:26	+6	34	13	6	2	5	17:11	+6	20	13	5	2	6	15:15	0	17
10 არსენალი (დ)	10	26	7	11	8	29:40	-11	32	13	3	7	3	15:20	-5	16	13	4	4	5	14:20	-6	16
11 გორდა (11)	11	26	6	10	10	24:37	-13	28	13	5	5	3	17:17	0	20	13	1	5	7	7:20	-13	8
12 თსუ (8)	14	26	6	9	11	21:29	-8	27	13	4	3	6	16:18	-2	15	13	2	6	5	5:11	-6	12
13 სიონი (13)	13	26	6	7	13	25:45	-20	25	13	4	6	3	15:14	+1	18	13	2	1	10	10:31	-21	7
14 სამგურალი (12)	12	26	7	3	16	24:48	-24	24	13	4	1	8	12:19	-7	13	13	3	2	8	12:29	-17	11
15 ოდიში (5)	15	26	6	2	18	20:53	-33	20	13	4	1	8	13:23	-10	13	13	2	1	10	7:30	-23	7
16 ბურია (14)	16	26	3	3	20	26:68	-42	12	13	3	1	9	16:30	-14	10	13	0	2	11	10:39	-29	2

(?) - ადგილი წინა ჩემპიონატში. # - ადგილი წინა ტურში. ! - ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

გერმანია

XXX ტური

მიუნხენი 2:0 ფრაიბურგი

1:0 ვანენბურგი (37), 2:0 ჰობში (83)

მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ჯორჯესი, ვანენბურგი, კურცი, ზელიჩი, ჩიჟეკი, ტაისი, ბორიმიროვი, ჰელდტი, ოუაკილი, ჰობში

ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, დიარა, შ. მიულერი (პავლინი 40), კოლი, კობიაშვილი, ცძიტიშვილი, გიუნში (ტ. ჰოფმანი 81), ბაია, ვაისჰაუპტი, სელიმი (ჰამპლი 70)

გაფრთხილება: პავლინი

მსაჯი: ბერგი

შტუტგარტი 0:2 ბაიერნი

0:1 შოლი (62), 0:2 იანკერი (82)

შტუტგარტი: ციგლერი, კისი, სოლდო, ვერლაატი, კარნელი, ტ. როსტი, ენდრესი (ოსვალდი 14), ცაიერი, ლისტეში (ფრომერი 74), ბობიჩი, აკბობორი (ბლესინი 66)

ბაიერნი: დრეერი, ლინკე, მათეუსი (იერემისი 70), კუფური, ბაბელი, ეფენბერგი, ფინკი, სალიჰამიჯიჩი, ბასლერი, დაეი (ციკლერი 66), შოლი (იანკერი 77)

გაფრთხილება: ბობიჩი, ენდრესი, ტ. როსტი, ვოლფარტი, ბაბელი, ბასლერი, ლინკე

გაძევება: ვერლაატი (83)

მსაჯი: დარდენე

ნიურნბერგი 2:2 ლევერკუზენი

0:1 რამელო (2), 1:1 ჩირიჩი (24), 2:1 ვაიგლი (74), 2:2 ემერსონი (84)

ნიურნბერგი: კიოპკე, ფ. ბაუმანი, ვანეკი, ნიკლი, გერბერი (რანერი 46), დრილერი, შტორცენბოფეკერი, ოეხლერი, ლიოში, ჩირიჩი (გიუნტერი 82), კურტი (ვაიგლი 67)

ლევერკუზენი: მატიშეკი, ჟიკოვიჩი, ნოვოტნი, რეები (რაიხენბერგერი 82), ჰაინცე, რამელო, ემერსონი, ნ. კოვაჩი (მაიერი 82), ჰაიდუკი, ზე რობერტო, კირსტენი

გაფრთხილება: ემერსონი, ნოვოტნი

მსაჯი: იანსენი

ლაუტერნი 4:0 ვერდერი

1:0 შიონბერგი (35), 2:0 როსლერი (59), 3:0 შიონბერგი (68პ), 4:0 რიშე (80)

კაიზერსლაუტერნი: რაინკე, რამზი, სამირი, შიონბერგი, ბუკი (რაიხი 72), რატინიო (ბალაკი 83), სფორცა, შეფერი, ვაგნერი, მარშალი, როსლერი (რიშე 73)

ვერდერი: ფ. როსტი, აილტსი (ფლოკი 28), ბენკენი, ბარტენი, ტრარესი, დაბროვსკი (ბოგდანოვიჩი 62), მაქსიმოვი, ტოდტი, ვიდერი, ბოდე, ჰერცოგი

გაფრთხილება: რიშე, მაქსიმოვი, ტრარესი, ვიდნერი

მსაჯი: ბუხჰარტი

ჰერტა 2:0 ვოლფსბურგი

1:0, 2:0 პრეეტცი (32, 74)

ჰერტა: კირალი, ვან ბურიკი (სანე 52), რეჯდალი, სვერისონი, ტომი, ვაიტი, ვოში, ტრეჩოკი, პარტმანი, პრეეტცი, რაისი (შმიდტი 46)

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბალვანცი, ონილი, ტომსენი (კლეჩეკი 77), გრაინერი (მალტრიცი 46), კაპეტანოვიჩი, დებრიცი, დამაიერი (ბაუმგარტი 54), აკონორი, პრეგერი, იუსკოვიაკი

გაფრთხილება: ტრეჩოკი, ტომი, გრაინერი, კლეჩეკი, ონილი, ტომსენი

გაძევება: ბალვანცი (10), ტომი (14)

მსაჯი: აუსტი

შალკე 1:1 დორტმუნდი

0:1 ნიეგუსი (3), 1:1 მულდერი (31)

შალკე: რეეი, ვან ჰოგდალემი, დე კოკი, ტონი, ტაპალოვიჩი, ბიუსკენსი, ჰელდი, ნემეცი, ალპუგანი, მულდერი, ვოლფი (ვილმტსი 76)

დორტმუნდი: ლემანი, კ. ბაუმანი, როიტერი, ნიეგუსი, ჰენგენი (შაპუიზა 68), ნერლინგერი, დედე, რიკენი, მიოლერი, ჰერლიხი (ჰესლერი 64), ბარბარესი

გაფრთხილება: დე კოკი, ტონი, ბარბარესი, ჰერლიხი

მსაჯი: ფრიოლიხი

ბოხუმი 0:2 დუისბურგი

0:1 ჰაიტო (25), 0:2 ვოლერტი (55)

ბოხუმი: ტ. ერნსტი, სუნდერმანი (ტოპლაკი 8), კრახტი, ვალდოხი, ცაიერი, დიკჰაუტი (მაპდავიკია 60), ნ. ჰოფმანი, გაუდინო, მიხალკე (ბასტურკი 32), კუნცი, ბუკლი

დუისბურგი: სტაუჩე, კომლიენოვიჩი, ვოლერტი, ჰაიტო, ვოლტერსი, ტიოფტინგი, ვედაუ (ემერლინგი 81), ოსტჰოფი, ბუგერა, შპისი (შრამი 86), ბაიერლე (დიალო 60)

გაფრთხილება: მაპდავიკია, ნ. ჰოფმანი, ცაიერი, ბუგერა, დიალო, ოსტჰოფი, ვოლერტი

მსაჯი: ცერი

გლადბახი 1:1 ჰანზა

0:1 ვიბრანი (63), 1:1 ფელდჰოფი (68)

მიონხენგლადბახი: ენკე, ანდერსონი (ვილა 46), ებერლი, ასანინი, ჰაუსვაილერი (ფელდჰოფი 66), რაიტერი, ვიტეჩეკი, სოპიჩი, ფრონცეკი, პოლსტერი, გიოქთანი

ჰანზა: პიკენჰაგენი, რემერი, ვაილანდტი, ელერსი, ლანგე, ვიბრანი, იასერი, ემარა (პოლეჩეკი 85), ბრაიტკროიცი, ნოიფილი (ფუქსი 90), აგალი

გაფრხილება: გიოქთანი, რაიტერი, ემარა

მსაჯი: შტაინბორნი

აინტრახტი 2:2 ჰამბურგი

1:0 შური (24), 2:0 ჩენ იანგი (43), 2:1 იებოა (73), 2:2 ჰოოგმა (90)

აინტრახტი: ნიკოლოვი, იანსენი, ბინდევალდი, კუჩერა, ცამპახი, შური, ბ. შნაიდერი (ბრინკმანი 46), სობოჩიკი, ფიორტოფტი (ხუბჩევი 87), ვებერი, ჩენ იანგი (ვესტერტალერი 79)

ჰამბურგი: ჰ. ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა, ჰერჩი, გროთი, ფ. ერნსტი (დოლი 62), გრამოციისი (გრავესენი 30), ჰოლერბახი (შპიორლი 75), კირიაკოვი, იებოა, დემბინსკი

გაფრთხილება: ჩენ იანგი, გრავესენი

მსაჯი: ალბრეხტი

პრეზიდენტია თუ კომენტატორი?

REUTERS ბერლინიდან

ბიბლიოთეკა

ჰერტა — ვოლფსბურგი 2:0. ბერლინელი მიხაელ პრეეტცი (მარჯვნივ) ამ მატჩშიც საუკეთესო იყო მინდორზე

ბუნდესლიგის წლევანდელი ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურიღა დარჩა. მართალია, ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის ბედი პრაქტიკულად გარკვეულია, მაგრამ ჩემპიონატს ინტრიგა მაინც არ დაუკარგავს. ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი მესამე-მეოთხე ადგილებისთვის ოთხ გუნდს დიდი ბრძოლა აქვს გაჩაღებული. ასევე დაძაბული მდგომარეობაა ცხრილის ქვედა ნაწილში. ფაქტობრივად, გავარდნილნი არიან „მიონხენგლადბახი“ და „აინტრახტი“. ასე რომ, გასარკვევი კიდევ ერთი მეორებუნდესლიგელის ვინაობაღა დარჩა. კანდიდატები კი მრავლად არიან. მათ შორის მოიხსენიება ჩვენებურთა „ფრაიბურგი“, რომელიც 30-ე ტურში „მიუნხენ 1860“-ს ესტუმრა და 0:2 დამარცხდა.

ლევან კობიაშვილმაც და ლევან ცქიტიშვილმაც მთელი მატჩი შეუცვლელად ითამაშეს, თუმცა გერმანული ჟურნალ „კიკერისგან“ ძალიან დაბალი შეფასება დაიმსახურეს. თამაშის დღეს „მიუნხენის“ პრეზიდენტ კარლჰაინც ვილდმოზერს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. „ბიჭებს ვუთხარი, რომ ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარი ამ მატჩის მოგება იქნებოდა, ისინიც სამ ქულას დამპირდნენ. ვნახოთ ერთი, როგორ აასრულებენ სიტყვას“ — განუცხადა შეხვედრის წინ ვილდმოზერმა მასმედიას. როგორც აღმოჩნდა, მიუნხენელები სიტყვის კაცები ყოფილან. მათ თავი არ დაზოგეს და პრეზიდენტს იუბილე არ ჩაუმწარეს, არადა, „მიუნხენს“ 20 თებერვლის შემდეგ ზედიზედ ათი თამაში ვერ მოეგო. „ფრაიბურგს“, უბრალოდ, არ გაუმართლა, რომ ეს მატჩი პრეზიდენტის დაბადების დღეს დაემთხვა. სხვა დროს მიუნხენიდან შეიძლება სამი ქულაც წაელო.

ახლა მატჩზეც ვთქვათ. იგი მთლიანად მასპინძელთა კარნახით წარიმართა. მათ ძლიერად სულაც არ უთამაშიათ, მაგრამ „ფრაიბურგისთვის“ ისიც საკმარისი აღმოჩნდა. ვანენბურგისა და ჰობშის მიერ გატანილ გოლებს სტუმრებმა სულ ორი საგოლე მომენტით უპასუხეს. პირველ ტაიმში კობიაშვილს მიეცა ანგარიშის გათანაბრების კარგი შანსი, მაგრამ დარტყმული ბურთი მეკარემ აუგასულს მისი მოტყუება და ბურთის ცარიელ კარში გატანა არ გასჭირვებია. ოცი წუთის შემდეგ კი მცველთა შეცდომით იანკერმა ისარგებლა, როცა შოლის მსგავსად, ცარიელ კარში შეაგდო. მეორე გოლის დროს მასპინძელთა კაპიტანი ფრანკ ვერლაატი თანამსაჯთან მიიჭრა და თამაშგარეს დაფიქსირება მოსთხოვა, თუმცა ეს უხეშად მოუვიდა და არბიტრმაც გასახდელის გზას გაუყენა. ვინც მატჩის ოქმში გაფრთხილებულთა შორის „შტუტგარტის“ ავსტრიელ მეკარე ფრანკ ვოლფარტს იხილავს, შეიძლება შეცდომად ჩათვალოს, მაგრამ მსაჯმა ერთ-ერთ ეპიზოდში სათადარიგოთა სკამზე მჯდომ ვოლფარტს უკმაყოფილების საჯაროდ გამოხატვა არ აპატია.

ახლა „ბაიერნი“ რომ ჩემპიონი ვერ გახდეს, დარჩენილი ოთხივე თამაში უნდა წააგოს, თან დიდი ანგარიშით, „ლევერკუზენმა“ კი ყველა უნდა მოიგოს, მაგრამ საქმეს ასეთი პირი ნაღდად არ უჩანს.

ადგილი შესაძლებელი იყო, დღეს მიუნხენის „ბაიერნი“ ოფიციალურად მოგვეხსენებინა გერმანიის ჩემპიონად, მაგრამ ლევერკუზენელი ემერსონის მიერ „ნიურნბერგის“ კარში 85-ე წუთზე გატანილმა გოლმა „ბაიერნის“ ჩემპიონობა, ალბათ, ერთი ტურით გადადო.

ლევერკუზენელები ლიგაში დასარჩენად მებრძოლ „ნიურნბერგს“ ეწვივნენ და კარსტენ რამელოს გოლით მე-2 წუთზევე დაწინაურდნენ. ხუთიოდე წუთში ზე რობერტოს ანგარიშის სხვაობის გაზრდის კარგი შანსი მიეცა, მაგრამ ბურთი კარს სანტიმეტრებით ააცილა. ტაიმის შუაგულში მასპინძლები გონს მოეგნენ და ანგარიშიც გაათანაბრეს — ოეხლერის კუთხურიდან ჩაწოდებული ჩირიჩმა თავით კარში გადაგზავნა. მეორე ნახევარში კირსტენმა გოლის გატანის ჩინებული შესაძლებლობა დაკარგა, ბურთი კარს ააცილა. სამაგიეროდ, მოგვიანებით, ნიურნბერგელმა ვაიგლმა იმარჯვა და ბუნდესლიგაში თავისი პირველი გოლი გაიტანა. მატჩის მიწურულს კი, როგორც აღვნიშნეთ, ემერსონმა დაარტყა ზუსტად და თავისიანებს ჩემპიონობის თეორიული შანსები შეუნარჩუნა.

„ნიურნბერგი“—„ლევერკუზენის“ მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლაცია გერმანიაში ტელეკომპანია Premiere-მ აწარმოა, კომენტარი კი თვით „ბაიერნის“ პრეზიდენტმა, წარსულში სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა ფრანც ბეკენბაუერმა გაუკეთა.

როგორც ჩანს, შარშანდელმა ჩემპიონმა „კაიზერსლაუტერნმა“ კრიზისს თავი დააღწია. ოტო რეჰაგელის გუნდს ბოლო ექვსი მატჩიდან ხუთი წაგებული ჰქონდა, მაგრამ „ვერდერთან“ შინ მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა და 4:0 გაანადგურა. სხვათა შორის, „ვერდერმა“ თავის ისტორიაში ყველაზე დიდ წარმატებას მაშინ მიაღწია, როდესაც სათავეში სწორედ რეჰაგელი ედგა. მიუხედავად ამისა, რეჰაგელმა ყოფილი კლუბი არ დაინდო და „ლაუტერნს“ თავიდანვე შეტევა დაავალა. ამ მატჩში მასპინძლებს სამი კვირის წინ „ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანთან შეჯახებისას დაშავებული ანდრეას ბუკი დაუბრუნდათ. „ვერდერთან“ განსაკუთრებით კარგად ითამაშა დანიელმა მცველმა მიხაელ შიონბერგმა, იგი დაცვაშიც გამოირჩეოდა და თავდასხმაშიც (მან კარიერაში პირველად ერთ მატჩში ორი გოლი გაიტანა). ამ მოგებით „კაიზერსლაუტერნმა“ ბოლო დროს დაკარგული მესამე ადგილი კი დაიბრუნა, თუმცა მის შესანარჩუნებლად დიდი ოფლისღვრა მოუწევს.

მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა ბერლინის „ჰერტამ“, რომელმაც საკუთარ მინდორზე ერთ-ერთ მთავარ კონკურენტ „ვოლფსბურგს“ უმასპინძლა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა — 2:0. ორივე ბურთი გუნდის საუკეთესო ფეხბურთელმა, მიხაელ პრეეტცმა შეაგდო. ამ გოლების შემდეგ იგი ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავაშიც დაწინაურდა. „ევროპავ, ჩვენ მოვდივართ“—ასეთი შინაარსის ტრანსპარანტი გადმოეფინათ სტადიონზე „ჰერტას“ ქომაგებს.

ეს ტური ძალიან წარუმატებელი აღმოჩნდა ცხრილის მეორე ნაწილში მყოფი გუნდებისთვის — ცხრიდან ერთმაც ვერ შეძლო სამი ქულის მოპოვება.

ვანო ოძროპირიძე

	სულ							შინ							სტუმრად						
№		თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	ბაიერნი	30	22	5	3	69:22	47	71	15	13	2	0	43:12	31	41	15	9	3	3	26:10	16	30
2	ლევერკუზენი	30	16	11	3	58:27	31	59	15	8	6	1	30:13	17	30	15	8	5	2	28:14	14	29
3	ჰერტა	30	15	7	8	48:30	18	52	15	12	1	2	30:9	21	37	15	3	6	6	18:21	-3	15
4	ლაუტერნი	30	15	6	9	44:41	3	51	16	10	3	3	30:19	11	30	14	5	3	6	14:23	-9	18
5	ვოლფსბურგი	30	13	9	8	49:41	8	48	15	9	4	2	33:15	18	31	15	4	5	6	16:26	-10	17
6	დორტმუნდი	30	13	9	8	42:31	11	47	15	12	2	1	31:9	22	38	15	1	7	7	11:22	-11	10
7	დუისბურგი	30	12	9	9	41:39	2	45	14	8	4	2	25:15	10	28	16	4	5	7	16:24	-8	17
8	ჰამბურგი	30	11	10	9	38:37	1	43	15	7	5	3	19:13	6	26	15	4	5	6	19:24	-5	17
9	მიუნხენი	30	11	8	11	43:42	1	41	15	7	4	4	23:15	8	25	15	4	4	7	20:27	-7	16
10	შალკე	29	8	11	10	32:43	-11	35	15	5	5	4	18:18	0	21	14	3	5	6	14:25	-11	14
11	შტუტგარტი	30	7	12	11	36:41	-5	33	15	6	5	4	21:14	7	23	15	1	7	7	15:27	-12	10
12	ფრაიბურგი	30	8	9	13	31:37	-6	33	15	4	6	5	15:15	0	18	15	4	3	8	16:22	-6	15
13	ნიურნბერგი	30	6	14	10	35:46	-11	32	15	2	11	2	20:21	-1	17	15	4	3	8	15:25	-10	15
14	ჰანზა	30	7	10	13	42:53	-11	31	15	6	5	4	26:20	6	23	15	1	5	9	16:32	-16	8
15	ვერდერი	29	7	8	14	32:42	-10	29	14	2	6	6	17:21	-4	12	15	5	2	8	15:21	-6	17
16	ბოხუმი	30	7	8	15	36:54	-18	29	15	5	3	7	19:23	-4	18	15	2	5	8	17:31	-14	11
17	აინტრახტი	30	5	10	15	32:50	-18	25	15	4	6	5	19:20	-1	18	15	1	4	9	13:30	-17	7
18	გლადბახი	30	4	8	18	37:69	-32	20	15	4	3	8	23:31	-8	15	15	0	5	10	14:38	-24	5

ბომბარდირები

პრეეტცი (ჰერტა)	19
კირსტენი (ლევერკუზენი)	17
ელბერი (ბაიერნი)	13

XXX ტური

7 მაისი

ვერდერი - აინტრახტი (2:0)
ჰანზა - შტუტგარტი (1:1)

8 მაისი

დუისბურგი - შალკე (0:2)
ვოლფსბურგი - ნიურნბერგი (1:1)
ფრაიბურგი - გლადბახი (1:3)
ჰამბურგი - მიუნხენი (0:0)
დორტმუნდი - ლაუტერნი (0:1)
ლევერკუზენი - ბოხუმი (5:1)

9 მაისი

ბაიერნი - ჰერტა (0:1)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲒᲐᲛᲝᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲩᲔᲚᲡᲘ 1:0 ᲚᲘᲓᲡᲘ

1:0 პოიტი (68)

ᲩᲔᲚᲡᲘ: დე გუი, ფერერი, დესაი, ლებეფი, ლე სო, პეტრესკუ, უაიზი, მორისი (გოლდბეკი 67), პოიტი, ძოლა (ფორსელი 89), ფლო (დი მატეო 83)

ᲚᲘᲓᲡᲘ: მარტინი, პაალანდი, ვუდგეიტი, რადებე, ჰარტი, ბოუიერი, ბეტი, მაკფეილი (ჰოპკინი 87), კიუელი, სმიტი, ჰასელბაინკი

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: უაიზი, მორისი, პეტრესკუ, რადებე, ვუდგეიტი, პაალანდი

ᲛᲐᲧᲘᲡᲘ: ვინტერი

ᲢᲝᲢᲢᲔᲜᲰᲔᲛᲘ 1:3 ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ

0:1 პეტი (17), 0:2 ანელკა (33), 1:2 ანდერტონი (43), 1:3 კანუ (85)

ᲢᲝᲢᲢᲔᲜᲰᲔᲛᲘ: უოქერი, კარი, კემპბელი, იანგი, ტარიკო (დომინგესი 77), ანდერტონი, ფროინდი, შერვუდი, ყინოლა (სინტონი 77), ივერსენი, არმსტრონგი

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, ვინტერბერნი, პარლოუ (ვიეასი 57), პეტი, ვიეირა, ოვერმარსი (გრიმანდი 87), ბერხკამპი (კანუ 75), ანელკა

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: იანგი, ანდერტონი, პარლოუ, პეტი, დიქსონი

ᲛᲐᲧᲘᲡᲘ: დანი

ᲚᲔᲡᲢᲔᲠᲘ 1:2 ᲓᲔᲠᲑᲘ

0:1 სტარიჯი (17), 1:1 სინკლერი (28), 1:2 ბეკი (60)

ᲚᲔᲡᲢᲔᲠᲘ: კელერი, ელიოტი, სინკლერი, კამარკი, იმპეი, სევიჯი (ზაგორაკისი 67), ლენონი, იზეტი, გაბი, მარშალი (უოლში 80), ჰესკი

ᲓᲔᲠᲑᲘ: პოომი, პრაიორი, ლაურსენი, კარბონარი, დელაპი, ბოჰინენი (მიურეი 90), ერანიო, შნური, სტარიჯი, ბეკი, ვანჩოპე

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: კელერი, კარბონარი, ლაურსენი, ერანიო, დელაპი, ვანჩოპე

ᲛᲐᲧᲘᲡᲘ: ბერი

ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲘ 2:2 ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠᲘ

0:1 იორკი (23), 0:2 ირვინი (56პ), 1:2 რედნაპი (69პ), 2:2 ინსი (89)

ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲘ: ფრიდელი, სონგი (ბერგერი 56), სტონტონი (ტომპსონი 79), ბები, მაკმანამანი, ლეონარდსენი, რედნაპი, რიდლე, ინსი, მატეო, კარაგერი

ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠᲘ: შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, იოსსენი, სტამი, ბექემი, კოული (ბათი 76), ბლომკვისტი (ფ. ნევილი 76), კინი, სქოულზი, იორკი

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ: სქოულზი, ირვინი, კინი

ᲒᲐᲓᲐᲫᲕᲔᲑᲐ: ირვინი (75)

ᲛᲐᲧᲘᲡᲘ: ელერეი

ᲩᲐᲮᲐ-ᲭᲣᲮᲘ, ქარივით სირბილი, ორ წუთში ერთხელ „პადკატი“, „ქროები“, ოფსაიდები, თავურები, ჯიგრით თამაში, სიცილი, ტირილი... უბრალოდ ეგ — „ლივერპული“ — „მანჩესტერი“. ოთხშაბათს ბევრისმნახველმა „ენფილდ როუდმა“ კიდევ ერთ დიდებულ სანახაობას დაუმთმო თავის ბიბინა საბრძოლველი. ინგლისური ფეხბურთის ორი ლეგენდარული შვილი კიდევ ერთხელ დაეჯიდა ერთმანეთს და ქომაგს (არა მარტო ბრიტანელს) მორიგი ემოციური მუხტი აჩუქა.

ლივერპულური შეხვედრა სტუმრობისთვის გაცილებით მეტს ნიშნავდა, „მანჩესტერი“ ხომ ჩემპიონობისთვის იბრძვის. ამიტომ არავის გაკვირვებია, რომ მატჩი ჩემპიონთა ლიგის ფინალისტის მსუყე შეტევებით დაიწყო. „ლივერპული“ კი, რომელიც ამ სეზონში არნახულად ცუდად გამოიყურება, ძირითადად თავდაცვით იყო დაკავებული. თამაშში ისიც გამოჩნდა, „მანჩესტერი“ რომ ძალიან მაღალი კლასის გუნდია. თავიდანვე ვიტყვით — „ენფილდზე“ საუკეთესო დევიდ ბექემი გახლდათ, ფეხბურთელი, რომელიც წლეულს ნაღდად ღირსია კონტინენტის უძლიერესი მოთამაშის წოდებისა. თანაგუნდელებს მისი სანტიმეტრებში და წამებში გამოზომილი პასები ცოტა სინდისიერად რომ გამოეყენებინათ, „მანჩესტერს“ სანერვიულო და თავში ხელის საცემი ახლა აღარაფერი ექნებოდა.

23-ე წუთზე გათამაშდა კომბინაცია, რომელსაც ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში მილანის „ინტერმა“ ვერაფერი მოუხერხა. თავის სამფლობელოში, ანუ მარჯვენა ფლანგზე ბურთი ვიქტორია ადამსის მეუღლემ მიიღო, მყისვე გამოაცხო საფირმო „ქროსი“, იორკის მადლიანი თავური და ტაბლოზეც ტრინიდადელის გვარი აციმციმდა — 1:0. ეს „მომაკვდინებელი“ კომბინაცია მალე კიდევ გათამაშდა, მაგრამ ამჯერად მასპინძელთა მეკარე ბრედ ფრიდელი იყო ფხიზლად. პირველი ტაიმი მთლიანად ფერგიუსონის ბიჭებისა იყო.

სტუმართა თავდასხმებით დაიწყო მეორე ნახევარიც და მალე ანგარიშიც გაიზარდა — მეტოქის საჯარიმოში შევარდნილ ექსმილანელ შვედს იესპერ ბლომკვისტს ლივერპულელმა ჯეიმი კარაგერმა მკერდში ისეთი ძალით ჩაარტყა წიხლი, რომ საცოდავი რამდენიმე წამი უმწეოდ ცდილობდა სიცოცხლისთვის ასე საჭირო ჟანგბადის შესუნთქვას. მსაჯმა ხელი თერთმეტმეტრიანისკენ გაიშვირა. პენალტი კი დენის ირვინმა აქცია გოლად, ეს ის ირვინია, წინა ტურში „ასტონ ვილასთან“ იგივე დისტანციიდან მეკარეს რომ მოარტყა ბურთი. ასეა თუ ისე, სრულიად მანჩესტერი ნათელ მომავალს შეაცქერდა თვალებში, მაგრამ ჭკვიან კაცს რომ უთქვამს, მოჩქარეს მოუგვიანდესო, ხომ გახსოვთ...

13 წუთში პენალტი უკვე საპირისპირო კართან დაინიშნა და ამ ამბავში კვლავ მონაწილეობდა ბლომკვისტი, ამჯერად შვედი ნახევარმცველი შმაიხელის მისადგომებს იცავდა. გამეორებაზე აშკარად გამოჩნდა, რომ მან სუფთად, ყოველგვარი წესების დაცვით აართვა ვარდნაში ბურთი მეტოქეს, თუმცა მატჩის არბიტრ დევიდ ელერეის ეპიზოდის ხელმეორედ ნახვის საშუალება არ ჰქონდა და პირველწყაროს დაეყრდნო, ანუ ბლომკვისტი დამნაშავედ ცნო.

ფეხბურთის უმაღლესი სასჯელის ზომა სისრულეში ჯეიმი რედნაპმა მოიყვანა და თავისიანთა შტურმს ჩაუყარა საფუძველი. გოლიდან მოყოლებული მოედანზე უკვე „ლივერპული“ გაბატონდა. გადამეტებულ ემოციებს ტრადიციულად ვერ გაუძლო მასპინძელთა გადარეულმა კაპიტანმა პოლ ინსმა, რომელიც ბოლო 15 წუთში კლასიკური ძველი ბიჭის განსახიერება იყო. სათამაშო სქემების მარწუხებიდან განთავისუფლებულ მატჩში თავის ნიჭს ფართო გზა მისცა ზაფხულიდან მადრიდის რეალელმა სტივ მაკმანამანმა და ეს ყველაფერი საკმარისი აღმოჩნდა, რათა „მანჩესტერის“ ზემოხსენებული ნათელი მომავლის თავზე შავი ღრუბლები შეფრქიალიყო.

REUTERS ლივერპულიდან

ლივერპული — მანჩესტერი 2:2. წაქცეულ ინსს სტუმართა კარში მეორე გოლი გააქვს

შარშანდელივით?

მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე ირვინს ბურთი აუტში გაექცა და ამით ნერვებმოშლილმა იგი შორს გადაადგო. ელერეიმ ეს დროის გაყვანად აღიქვა, მანჩესტერელს მეორე ყვითელი, იგივე წითელი ბარათი უჩვენა და ასოციაციის თასის ფინალში „ნიუკასლის“ მეტოქე გუნდი კაცნაკლული დატოვა. ხოლო შეხვედრის დამთავრებას სულ რაღაც წუთი რომ დაეკლდა, „იუნაიტედს“ თავზარი დაეცა — შმაიხელის კართან შექმნილი ქაოსით უზნეო ინსმა მშვენივრად ისარგებლა და 2:2 გახადა.

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა რთულია „მანჩესტერის“ დონის კლუბთან 0:2-ის გაქვითვა, მაგრამ ხანდახან სასწაულებიც ხდება. მთელი სეზონია, გულშემატკივრებს იმედებს ვუცრუებთ. დღეს კი, ვფიქრობ, მათ ნამდვილი ზეიმი მოვუწყეთ — ინსი სიხარულს ვერ მალავდა...

და ზუსტად იმ დროს, როდესაც ზანგი ნახევარმცველი ასე ხარობდა, „უაით ჰართ ლეინზე“ მიმდინარე მორიგ ლონდონურ დერბიში სტუმარი „არსენალი“ სასტიკად უსწორდებოდა „ტოტენჰემ ჰოთსფურს“, ლიგის თასის მფლობელ გუნდს. გახსოვთ შარშანდელი პრემიერლიგური სეზონის ფინიში? „არსენალმა“ რომ „მანჩესტერს“ ბოლოწამს ცხვირწინ ააცალა ტიტული?

ჩემპიონმა „ტოტენჰემს“ სამი გოლი გაუტანა, სამივე ისეთი, ქომაგის გულს ჟრუანტელს რომ ჰგვრის.

ჯერ იყო და მსოფლიოს ჩემპიონმა ემანუელ პეტიმ გაიბრწყინა. ჰოლანდიელი დენის ბერხკამპის უნაკლო გადაცემა სწრაფად დაამუშავა და ბურთი იან უოქერს თავზე გადაუგდო.

მერე პეტის ნორჩი თანამემამულის, ნიკოლა ანელკას ჯერიც დადგა. კვლავ შესანიშნავი ასისტენტი გამოდგა ბერხკამპი. სხვათა შორის, ეს ანელკას მე-17 გოლი გახლდათ მიმდინარე სეზონში და ახლა იგი, მაიკლ ოუენი, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი და დუაიტ იორკი მეგობრულად ლიდერობენ ბომბარდირთა სიას. პირველი ტაიმის მიწურულს დარენ ანდერტონმა ჯარიმა შეასრულა, დევიდ სიმენმა უპატიებელი შეცდომა დაუშვა და ანგარიშიც 1:2 გახდა.

85-ე წუთი იყო, კარდიოლოგიურად სუსტმა ნვანკკო კანუმ ძალიან ლამაზი გოლი რომ გაიტანა — კარისკენ ზურგით მდგომმა მეურვეს ბურთი თავზე გადაუგდო, შემოტრიალდა და ისე, რომ მიწაზე დაშვება არ აცალა, მიზანში მოათავსა.

გუშინწინ კიდევ ერთი მეტად საინტერესო მატჩი გაიმართა. მესამე საფეხურზე მყოფმა „ჩელსიმ“ მეოთხეადგილოსან „ლიდსს“ უმასპინძლა, 1:0 მოუგო და კონკურენტი საბოლოოდ ჩამოიშორა. ეს ერთადერთი გოლი ლონდონელთა გაჭირვების ტალკვესმა, ურუგვაელმა გუსტავო პოიეტმა თავით გრემ ლე სოს ზუსტი პასის შემდეგ გაიტანა. ახლა ჯანლუკა ვიალლის გუნდს „ლიდსზე“ 8 ქულით მეტი აქვს და მდევრს ფიფი სუნდეი საერთოდ აღარ აუწევს.

სამაგიეროდ, „ლიდსს“ უკან თავად „არისტოკრატებმა“ ანუ „მანჩესტერი“ უშალონ „მანჩესტერ იუნაიტედს“. გავაანალიზოთ არსებული მდგომარეობა.

„არსენალი“ პირველია. თამაშით და სამი ქულით მეტი აქვს „იუნაიტედზე“. ბურთების სხვაობაც ერთით უკეთესი აქვს. ლონდონელებს ორი მატჩი დარჩათ — სტუმრად „ლიდსთან“ და შინ „ასტონ ვილასთან“. ძნელი წარმოსადგენია, შარშანდელ წარმატებასთან ასე ახლოს მყოფმა ჩემპიონებმა ამ ორ შეხვედრაში ქულა მაინც დაკარგონ — „არსენალი“ ბრწყინვალე ფორმაშია. ვივარაუდოთ, რომ არსენ ვენგერის გუნდი ორივეს მოიგებს, ანუ ჯამში 81 ქულას დააგროვებს.

ამის გაკეთება (81 ქულის შეკოწიწება) „მანჩესტერსაც“ ძალუძს, ოღონდ უფრო გრძელი გზა აქვს გასავლელი — ორი თამაში სტუმრად „მიდლსბროსა“ და გასავარდნთა შორის მყოფ „ბლეკბერნთან“ და ბოლო ტურში „ოლდ ტრეფორდზე“ „ტოტენჰემთან“. თუ იმასაც ვივარაუდებთ, რომ „მენიუ“ სამივეს მოიგებს, მაშინ ყველაფერი „მანჩესტერის“ და „არსენალის“ თავდამსხმელთა მარიფათზე იქნება დამოკიდებული — ვინც მეტის შეგდებას მოახერხებს, ჩემპიონიც ის გახდება.

რაც შეეხება „ჩელსის“, ლონდონელებს მესამე ადგილი „ჯიბეში უდევთ“. ჯიბეში არ უდევთ, მაგრამ თეორიულად მათ მეორეზე გასვლა და სულაც გაჩემპიონებაც შეუძლიათ. ამისთვის მათ აუცილებლად უნდა სძლიონ სტუმრად თანაქალაქურ „ტოტენჰემს“, შინ „დერბის“ და თანაც ორივე მატჩი ასტრონომიული ანგარიშით უნდა მოიგონ. ამ დროს კი „არსენალმაც“ და ფერგიუსონის შეგირდებმაც 4 ან მეტი ქულა უნდა დაკარგონ.

მომავალ უქმეებზე ინგლისში ძალიან ბევრი რამ გადაწყდება.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲫᲝᲕᲖᲘᲠᲘᲫᲔ

არსენალი	36	21	12	3	58:16	75
მანჩესტერი	35	20	12	3	77:36	72
ჩელსი	36	19	14	3	53:27	71
ლიდსი	36	17	12	7	59:32	63
ასტონ ვილა	36	15	10	11	48:41	55
ვესტ ჰემი	36	15	9	12	42:47	54
ლივერპული	36	14	9	13	65:48	51
მიდლსბრო	36	12	15	9	48:49	51
დერბი	36	13	12	11	39:43	51
ტოტენჰემი	36	11	13	12	44:46	46
ლესტერი	36	11	13	12	38:45	46
ნიუკასლი	36	11	12	13	47:51	45
უოლბლდონი	36	10	12	14	40:58	42
შეფილდი	36	11	7	18	39:42	40
ევერტონი	36	10	10	16	36:45	40
ქოვენთრი	36	11	7	18	37:49	40
საუთჰემპტონი	36	9	8	19	33:64	35
ბლეკბერნი	35	7	12	16	36:49	33
ჩარლტონი	36	7	12	17	37:52	33
ნოტინგემი	36	5	9	22	32:68	24

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲘᲗᲘ

XXXII ᲢᲣᲠᲘ

ᲞᲡᲟ 2:1 ᲛᲐᲠᲡᲔᲚᲘ

2:1 მორისი (21), 1:1 სიმონე (84), 2:1 როდრიგესი (87)

ᲚᲐᲜᲡᲘ 2:4 ᲒᲝᲠᲓᲝ

0:1 პერესი (4), 1:1 მორეირა (14), 2:1 ნიარკო (35), 2:2 პერესი (45), 2:3 ვიოლტორდი (83), 2:4 მიკუ (90)

ᲛᲝᲜᲐᲚᲘᲝ 1:1 ᲛᲔᲪᲘ

0:1 ვან ჰანდელპოვენი (38), 1:1 ტიმოტე (79პ)

ᲜᲐᲜᲢᲐ 2:1 ᲠᲔᲜᲘ

0:1 ბარდონი (12), 1:1 შანელე (17), 2:1 ტურე (78)

ᲛᲝᲜᲐᲙᲝ 2:1 ᲡᲢᲠᲐᲡᲑᲣᲠᲘ

1:0 ჟიული (28), 1:1 ბერტენი (64), 2:1 ტრეზეგე (75)

ᲜᲐᲜᲡᲘ 2:0 ᲚᲝᲠᲘᲐᲜᲘ

2:0 კასკარინო (16), 2:0 ბიანკალანი (90)

ᲝᲡᲔᲠᲘ 0:0 ᲚᲔ ᲐᲕᲠᲘ

ᲚᲘᲝᲜᲘ 2:1 ᲑᲐᲡᲢᲘᲐ

0:1 ლორანი (4), 1:1 ჟობი (45), 2:1 კაზანოვა (56 ს.კ.)

ᲡᲝᲨᲝ 2:1 ᲢᲣᲚᲣᲖᲘ

1:0 ბუდ (56), 2:0 ფრო (60), 2:1 ლოუერსი (70)

ᲮᲐᲠᲝᲑᲡ ᲞᲐᲠᲘᲖᲘ!

„ᲨᲔᲫᲚᲔᲡ! მატჩში, რომელიც თავის წინამორბედებთან შედარებით გაცილებით გახსნილი და სანახაობრივი იყო, საფრანგეთის დედაქალაქის ფეხბურთელებმა ტრადიციულ მტერს მოუგეს. მას შემდეგ, რაც 90-იანი წლების დასაწყისში „პარი სენ ჟერმენის“ მფლობელი „CANAL+“ გახდა, ეს პირველად მოხდა! პსჟ-მ „მარსელი“ დაამარცხა!

სტუმრებს კარგა ხანს ეგონათ, რომ მორიგ სამ ქულას მიითვლიდნენ. სწორედ ამ თავდაჯერებულობისთვის დაისაჯნენ და შეხვედრის მიწურულს ორი გოლიც მიიღეს საკუთარ კარში.

პარიზელმა ქომაგებმა პსჟ-ს ყველაფერი აპატიეს. დაივიწყეს უაზროდ გაშვებული გოლები, ზედიზედ წაგებული თამაშები, ყველაფერი ის, რის გამოც ხშირად უსტვენდნენ საყვარელი გუნდის ფეხბურთელებს. დაივიწყეს, რადგან „პარკ დე პრენსზე“ თავმოყრილებმა „მარსელის“ მარცხი იხილეს.

პსჟ-მ ნამდვილად დაიმსახურა ეს გამარჯვება. თამაშის დაწყებისთანავე პარიზელებმა პრესინგს მიმართეს მთელ მოედანზე. თავიდან ამან საკმაოდ შეუშალა ხელი სტუმრებს. თუმცა რამდენიმე წუთში მათ კარგად აუღეს ალღო შექმნილ სიტუაციას და შეტევებისთვისაც მოიცალეს.

მალე ფეხბურთელებს შორის რამდენიმე შეხლა-შემოხლაც მოხდა. ჯერ უეფას მიერ ბოლონიაში ჩხუბისთვის დისკვალიფიცირებული კრისტოფ დიუგარი და მისი პერსონალური მეურვე ალიუ სისე წაკინკლავდნენ, მერე კი კინაღამ მარკო სიმონე სცემეს — იტალიელი ერთ-ერთ მცველს საკმაოდ ეუხეშა.

გოლი უნდა გასულიყო, რათა გუნდები კვლავ თამაშზე გადართულიყვნენ და ასეც მოხდა. 21-ე წუთზე მასპინძელთა მცველი ბრუნო კაროტი „პარიზულ სტილში“ შეცდა, საკუთარ მეკარე ბერნარ ლამას ბურთი თავით მიაწოდა, მაგრამ ეს ისე ნელა გააკეთა, რომ მარსელელმა ფლორიან მორისმა გადაცემა ჩაჭრა და ანგარიშიც გახსნა. თითქოს ამ გოლმა გარდაქმნაო, მარსელელები უმალ დაწყნარდნენ და მატჩის სადავეებიც ხელში აიღეს. პარიზელები შეტევას კი ლამობდნენ, მაგრამ ხეირიანი არაფერი გამოსდიოდათ. პირველი ტაიმის ბოლომდე ერთიორი მომენტიც შეიქმნა, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

ამ მატჩის პარალელურად ლანსში შარშანდელი ჩემპიონი „ბორდოს“ მასპინძლობდა. 45 წუთის შემდეგ იქ 2:2 იყო. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე მიმდინარეობდა, როგორც „მარსელს“ სურდა. ასე გაგრძელდა თამაშების მიწურულამდე, მერე კი...

განახლდა თუ არა პარიზული მატჩი, პსჟ-მაც განაახლა შეტევები, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის მარცხს იოლად არ შეეგუებოდა. 47-ე წუთზე ადაილტონის მარცხენა ფლანგიდან დარტყმული მცირედით ასცდა სტეფან პორატოს კარს. 51-ე წუთზე მანვე თავით დაუგდო ბურთი მიკაელ მადარს, რომელმაც ძირს დაუშვებლად დაარტყა. პორატო ამჯერად ძელმა იხსნა. ორიოდ წუთში მარკო სიმონეს პასის მერე მადარმა თავით გოლიც გაიტანა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა, რაც აშკარად შეცდომა იყო.

„მარსელის“ მწვრთნელმა როლან კურბისმა დაცვის გაძლიერება გადაწყვიტა და მორისის ნაცვლად მინდორზე ბრაზილიელი მცველი ედსონი შეუშვა. მასპინძელთა დამრიგებელმა ფილიპ ბერჟერომ კოლეგას ხუთ წუთში უპასუხა — ადაილტონს ექსმეცელი ბრუნო როდრიგესი ამჯობინა. სწორედ როდრიგესს შეეძლო ანგარიშის გათანაბრება 66-ე წუთზე, როცა მის წინ მყოფ პორატოს ხელიდან გაუვარდა ბურთი, რომელიც ლორან ბლანმა კუთხურზე გადააგდო. 76-ე წუთზე კვლავ მადარს არ გაუმართლა. მისი თავური მილიმეტრებში ასცდა კარს.

პსჟ-ს იმდენი მომენტი გაუცუდდა, თითქოს ველარ უნდა გაეტანა. თუმცა ასე არ მოხდა. შეცვლაზე შესული ჯეიჯეი ოკოჩას პასის შემდეგ სამი მცველის გარემოცვაში მყოფმა სიმონემ მაინც შეძლო საბოლოო დარტყმის განხორციელება და ანგარიშიც გაათანაბრა. ორიოდ წუთში კი მადარმა როდრიგესი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. მანაც იოლად მოატყუა პორატო და ბურთი ცარიელ კარში შეაგდო — 2:1.

ლანსში კი „ბორდომ“ მოიგო და პირველ ადგილზეც გადავიდა. ხოლო „ტულუზმა“ სოშოში წაგების შემდეგ ოფიციალურად დატოვა პირველი დივიზიონი.

ᲒᲐᲘᲝᲖ ᲗᲐᲚᲐᲫᲒᲐᲫᲔ

ბორდო	32	20	6	6	62:27	66
მარსელი	32	19	8	5	54:28	65
ლიონი	32	17	9	6	48:28	60
მონაკო	32	16	8	8	49:31	56
რენი	32	16	8	8	44:36	56
ნანტი	32	12	12	8	40:32	48
ლანსი	32	13	6	13	42:41	45
პსჟ	32	10	9	13	31:30	39
მონპელიე	32	10	9	13	49:49	39
ნანსი	32	10	8	14	33:43	38
სტრასბური	32	8	13	11	27:32	37
მეცი	32	8	12	12	27:36	36
ბასტია	32	9	8	15	36:42	35
ოსერი	32	8	10	14	38:44	34
ლე ავრი	31	8	10	13	22:35	34
ლორიანი	32	7	11	14	29:47	32
სოშო	31	5	14	12	27:49	29
ტულუზი	32	5	11	16	21:49	26

ᲤᲠᲔᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲤᲘᲝᲠᲔᲜᲢᲘᲜᲐ 2:2 ᲞᲐᲠᲛᲐ

0:1 კრუაპო (40), 1:1 რეპკა (48), 2:1 კოისი (62), 2:2 ვანოლი (71)

ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ფალკონე, რეპკა, პაინრიხი, ტორიჩელი, კოისი (ოლივეირა 79), რუი კოშტა, ამორუზო, ედმუნდო, ბატისტუტა

პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, კანავარო, სტანიჩი (ფიორე 64), ფუზერი, ბოგოსიანი, ვანოლი, ვერონი (მუსი 79), კიეზა, კრესპო (ბალბო 85)

გაფრთხილება: ვერონი, სენსინი, სტანიჩი, პაინრიხი, ტოლდო

მსაჯი: ბრაში

იყო ოთხი ვარიანტი. ერთი ის, რომ მსოფლიო მას-მედიას „პარმა", მაისის მერე, 1999 წლის უეფასა და იტალიის თასების ფინალისტად მოეხსენიებინა; მეორე — ორივე თასის მფლობელად; მესამე — ეროვნული თასის მფლობელად და უეფას ფინალისტად, ხოლო მეოთხე პირიქით, უეფას თასის მფლობელად და ეროვნულის ფინალისტად. ახლა, მას მერე, რაც ფლორენციის „არტემიო ფრანკიზე" „ფიორენტინასა" და „პარმას" თამაში 2:2 დასრულდა, ორი ვარიანტი გამოირიცხა. ამიერიდან „პარმა" ან ორივე თასის მფლობელი გახდება, ან ერიერნულის მფლობელი და უეფას დამარცხებული ფინალისტი.

დიახ, „არტემიო ფრანკიზე" ნათამაშევი 2:2 პარმელთათვის ჯილდოს მომტანი აღმოჩნდა, რადგან იტალიის თასისი ორმატჩიანი ფინალის პირველი შეხვედრა, მის მოედანზე, 1:1 დამთავრდა.

1:1 ამას ნიშნავდა: საპასუხო მატჩში გოლი რომ არ გასულიყო თასს „ფიორენტინა" მოიპოვებდა ანუ „პარმას", სტუმრად, ერთი აუცილებლად უნდა შეეგდო და არ წაეგო. ალბერტო მალესანის გუნდმა ამოცანა პირნათლად შეასრულა: პირველი ტაიმი იწურებოდა, როდესაც არგენტინელმა თავდამსხმელმა, ერნან კრესპომ, ერთობ ორიგინალური დარტყმით შეაგდო თამაშის პირველი გოლი.

შესვენების შემდეგ ჯოვანი ტრაპატონის დამომღვრელმა ფლორენციელებმა ყველაფერი თავის სასარგებლოდ შემოაბრუნეს... კინაღამ შემოაბრუნეს. ჯერ იყო და ჩეხმა მცველმა ტომაშ რეპკამ გაათანაბრა ანგარიში, მერე კი ნახევარმცველმა სანდრო კოისმა „ფიორენტინა" დააწინაურა.

შეხვედრის დასრულებამდე 27 წუთის რჩებოდა. 27 წუთს გაძლებაღა აშორებდა „ფიორენტინას" ისტორიაში მეექვსე თასამდე, ხოლო ტრაპატონის კარიერის ოცდამეერთე ჯილდომდე, მაგრამ დაწინაურებულთ შხოლოდ 8 წუთით შეინარჩუნეს უპირატესობა: კიეზამ პარმელთა შეტევის მარჯვენა ფრთიდან ჩააწოდა ბურთი ხოლო მცველმა პაოლო ვანოლიმ მაღალი ნახტომით ფრანჩესკო ტოლდოსთვის აუღებელი თავური დაარტყა.

2:2 — იტალიის თასი პარმაში დაივანებს. ეს 90-იან წლებში აღორძინებული გუნდის მეორე წარმატებაა ამ შეჯიბრებაში. პირველად „პარმამ" ჯილდო 1992 წელს მოიპოვა.

„თასის ფინალში გადამწყვეტი გოლის გატანა ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იყო" — განაცხადა მატჩის მერე ვანოლიმ, რომელმაც კარიერის უმეტესი ნაწილი დაბალ ლიგებსა და არაპოპულარულ კლუბებში, „ვარეზეში", „ვენეციასა" და „ვერონაში" გაატარა.

„პარმა" — იტალიის 1999 წლის თასის მფლობელი

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

XXXII ᲢᲣᲠᲘ

ᲰᲐᲚᲔᲠᲑᲔᲘᲜ 1:1 ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲓᲘ

0:1 მპენზა (78), 1:1 დიატელი (81)

სტანდარდი: რუნიე, ბილიჩი (დე კონდე 65), მედვედი, ჰელერსი, რენიე, აფოლაბი, ერნსტი, ჰელდერმანსი (გოდფრუა 87), ტისი, რემაკლი, ემილ მპენზა

ᲚᲘᲔᲠᲡᲘ 3:1 ᲐᲐᲚᲡᲢᲘ

1:0 ვან დე ვეიერი (11), 2:0, 3:0 კავენსი (29, 55), 3:1 კოორემანი (56)

ლიერსი: დემანი, ბროკენი, ჰოფკენსი, ვან მეირი, პოორტერსი (სერნეელსი 62), ლეენი, ლარემანსი, ჰუისმანსი, კავენსი, ზდუბელი (ჰა

თასების მფლობელთა თასი

XXXI გათამაშება 1990-91 წლები

მანჩესტერ იუნაიტედი

მანჩესტერი, ინგლისი

ლოლიმონ ეყლისაძვილი

UEFA Cup Winners' Cup

სრული ისტორია

ინგლისელების დაბრუნება

1985 წელს ბრიუსელის „ეიროპელის“ სტადიონზე „ლივერპულსა“ — „იუვენტუსის“ ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩის დაწყებამდე მომხდარმა ტრაგედიამ ინგლისური კლუბები ევროსარბიელს ჩამოაშორა. უეფას აკრძალვას თითქოს ბოლო აღარ უჩანდა და აი, მომხდარიდან ხუთი წლის შემდეგ ბრიტანელები შეიწყალეს და ევროპის საფეხბურთო ოჯახში დააბრუნეს.

დაბრუნება ტრიუმფალური გამოდგა, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ პირველივე ცდაზე თასების თასი მოიპოვა და ინგლისური ფეხბურთის პრესტიჟი აღადგინა. ეს გამარჯვება ორმაგად დასაფასებელი გახლდათ, რადგან მანჩესტერელებს უაღრესად რთულ ფსიქოლოგიურ პირობებში უხდებოდათ თამაში. ყველგან, სადაც ჩადიოდნენ, მათი ფანებისა ეშინოდათ და საქმე ლამის შეხვედრების ჩაშლამდე მიდიოდა.

ფინალური მატჩის წინ როტერდამის საქალაქო საბჭო მანჩესტერელების სტუმრობის სასტიკი წინააღმდეგი იყო და შეხვედრის სხვაგან გადატანას მოითხოვდა. მათი რისხვა მატჩის დღეს ალკოჰოლური სასმელების აკრძალვის დადგენილებამაც ვერ გაანელა. მაგრამ როტერდამის მერი ბრამ პეპერი სხვაგვარად ფიქრობდა. ფინალი როტერდამში გამართებაო — თქვა ქალაქის თავმა და ამით კამათი დამთავრდა. პეპერი მართალი გამოდგა, არც სტადიონზე და არც ქუჩებში ინციდენტი არ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ თამაშს 25 ათასი მანჩესტერელი დაესწრო, გაცილებით მეტი, ვიდრე მოწინააღმდეგის, „ბარსელონას“ ბანაკიდან.

ფინალში კი ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. ფეხბურთში არსებობს ასეთი გამოთქმა — „რევანშის წესი“ და ამ თეზისმა როტერდამის სტადიონზე სრულფასოვნად იმოქმედა. „ბარსას“ იმ მოთამაშემ მოუღო ბოლო, რომელიც უწინ მათთან თამაშობდა. 1987 წელს „ბარსელონაში“ მიბრუნებული იოჰან კრუიფის პირველი ნაბიჯი უელსელი მეგოლის, მარკ ჰიუზის გუნდიდან დახოვნა გახლდათ. როტერდამში სწორედ ჰიუზის ორმა გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი და თასი მანჩესტერლებს მოაგებინა.

ტურნირის ფავორიტებად თავიდანვე „მანჩესტერი“, „ბარსელონა“, „იუვენტუსი“ და თასის მფლობელი „სამპდორია“ ითვლებოდნენ. „სამპამ“ ამჯერად ვერ გაუძლო შეჯიბრის მარათონს და გათამაშებას მეოთხედფინალშივე გამოეთიშა.

ვარშავაში „ლეგიასთან“ 0:1 წაგება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა საბოლოო დამარცხებას, მაგრამ იტალიელებმა ვერც შინ ივარგეს. ბოლო წუთებზე ვიალის გატანილმა ბურთმა „სამპას“ მხოლოდ ფრე 2:2 მოუტანა. მანამდე „ლეგიის“ 19 წლის შემტევმა კოვალჩიკმა გენუელებს ცენტრიდან ორჯერ დააწყებინა.

მანჩინიმ პირველი საპასუხო 67-ე წუთზე შეაგდო. მერე, როცა ვიალიმ გაათანაბრა და მასპინძლებს მხოლოდ ორი წუთი რჩებოდათ, იმავე მანჩინიმ ბადიდან ბურთის სწრაფად გამოტანა და ცენტრში დადება იჩქარა, მაგრამ მის წინ სტუმართა მეკარე შჩესნი აღიმართა, გზაც გადაუღობა და კინკლაობაში გვარიანი მუშტიც უთავაზა. შჩესნი გააძევეს, მაგრამ გენუელთათვის ეს ვერაფერი ნუგეში იყო. ისინი ტურნირს გამოეთიშნენ.

ასე დამარცხდა იტალიის ჩემპიონატის მაშინდელი ლიდერი გუნდთან, რომელიც საკუთარ პირველობაზე ათეულშიც კი არ შედიოდა.

იტალიის მეორე წარმომადგენელი — „იუვენტუსი“ უკეთეს ფეხბურთს აჩვენებდა. რობერტო ბაჯო, გერმანელი ჰესლერი, ახალგაზრდა კაზირაგი და სკილაჩი



სარბიელის არქივიდან

იუნაიტედის „დიდი კაპიტანი“ ბრაიან რობსონი

აბა, ვის რას დაუთმობდნენ. ჩინებულ ფორმაში იყო ბაჯო, მან საერთო ჯამში 9 ბურთი გაიტანა და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გმირი ტოტო სკილაჩი კი აშკარად კარგავდა ლიდერის ფუნქციებს. შინაურ პირველობაზე მას ცოტა გაჰქონდა და არც ევროსარბიელზე ბრწყინავდა. ბელგიურ „ლიეჟთან“ პირველი მეოთხედფინალის წინ, როცა სკილაჩიმ თავისი გვარი ძირითად შემადგენლობაში ვერ ამოიკითხა, გასახდელში დიდი აყალმაყალი მოუწყო მწვრთნელ მაიფრედის, მერე ნივთები ჩაალაგა და სტადიონიდან ტაქსით სადღაც გაუჩინარდა, როგორც „იუვეს“ ხელმძღვანელები ამბობდნენ, „უცნობი მიმართულებით“.

თუმცა ტოტოს ეს ცუღლუტობა აპატიეს და საპასუხო მატჩში მაინც ათამაშეს. მაშინ სკილაჩიმ თავისი მეოთხე და უკანასკნელი ბურთი გაიტანა ტურნირში.

ნახევარფინალში „იუვენტუსი“ „ბარსელონას“ შეხვდა. „ელიტარული დუელი“ კატალონიელებმა მოიგეს. პირველ მატჩში „კამპ ნოუზე“ 110 ათასი მაყურებელი შეგროვდა. ისინი დიდი ყიჟინით შეეგებნენ მინდორზე იოჰან კრუიფის გამოჩენას, რომელმაც გულის რთული ოპერაცია გადაიტანა და ექვსი კვირა არ გამოჩენილა. კრუიფის თქმით, „ბარსას“ ხრისტო სტოიჩკოვის აქტიურობის ხარჯზე უნდა გაემარჯვა.

სტოიჩკოვმა გაამართლა და ორი ბურთი გაუტანა „იუვეს“, თუმცა მასპინძლები მე-13 წუთისთვის აგებდნენ, კაზირაგიმ მეტოქის მცველის უხეში შეცდომა გამოიყენა და ანგარიში გახსნა. მერე სტოიჩკოვის ორს 74-ე წუთზე გოიკოეჩეას გოლიც მოჰყვა და „ბარსამ“ 3:1 გაიმარჯვა. ტურინში „იუვემ“ მხოლოდ ერთის გატანა მოახერხა. რობერტო ბაჯოს გოლი ფინალში გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა.

„მანჩესტერთან“ პირველი ნახევარფინალის წინ, „ლეგიის“ მწვრთნელი სტახურსკი თავისიანების წარმატებას წინასწარმეტყველებდა: „ინგლისელებს ფავორიტებად მიიჩნევენ და ეს ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. ბრიტანელებს იმავე ტაქტიკით მოვუგებთ, რითაც „სამპდორიას“ — ამბობდა სტახურსკი და იმასაც აღნიშნავდა, რომ მანჩესტერელები ექვსჯერ მოხვედრილან ნახევარფინალში და როგორც წესი, შეჯიბრიდან გამოვარდნილან.

ამჯერად „წესმა“ აღარ იმოქმედა, ვარშავაში პოლონელმა ალმიელებმა 1:3 წააგეს „იუნაიტედთან“, ხოლო გამარჯვების მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ესეც კი თქვა: ბოლოს და ბოლოს ჩემმა გუნდმა უმაღლესხარისხოვანი, ევროპული დონის ფეხბურთი ითამაშაო. „ოლდ ტრეფორდზე“ მოწინააღმდეგეები მშვიდობიანად დაშორდნენ, 1:1 და „მანჩესტერი“ 23 წლიანი შესვენების შემდეგ კვლავ გავიდა ევროთასის ფინალში (1968 წელს, ჩემპიონთა თასის გადამწყვეტ მატჩში „ალისფერებმა“ პორტუგალიურ „ბენფიკას“ სძლიეს).

როტერდამში ჩასვლამდე „ბარსელონამ“ ოფიციალურად გაიფორმა ესპანეთის ჩემპიონის ტიტული, თუმცა ეს ამბავი ცოტა უცნაურად მოხდა. ბოლო ტურში კატალონიელებმა 0:4 წააგეს „კადისთან“, მაგრამ დამარცხდა მთავარი კონკურენტი მადრიდის „ატლეტიკოც“ და კრუიფის გუნდი მიუღწეველი გახდა. იმ დამარცხებაში დამნაშავედ მეკარე სუბისარეტა გამოაცხადეს და ფინალში მის მაგიერ ბუსკეტსი ათამაშეს.

რვა წუთის შუალედში მარკ ჰიუზმა ბუსკეტსს ორჯერ გამოატანინა კარიდან ბურთი. ჯერ ბრიუსის დარტყმულს დაამატა, მერე ეფექტურად მოატყუა დამცველი ნანდო და მეორეც შეაგდო.

კუმანის გოლი კი მისთვის დამახასიათებელი გახლდათ. ჰოლანდიელმა დაახლოებით 25 მეტრიდან უძლიერესი საჯარიმო დაარტყა და ბურთი კარის მარცხენა კუთხეში „ჩაჭედა“. მაშინ არა, მაგრამ მომდევნო წელს, ჩემპიონთა თასის ფინალში რონალდ კუმანის დაახლოებით ასეთივე საჯარიმომ „ბარსას“ „სამპდორიასთან“ გაამარჯვებინა.

ბოლო წუთებმა მთელი ენერგია წამართვაო, თქვა ნამატჩევს ალექს ფერგიუსონმა, რომლისთვისაც ეს მეორე თასთა თასი იყო. პირველად ფერგიმ 1983-ში გაიმარჯვა შოტლანდიურ „აბერდინთან“ ერთად.

რაც შეეხება მარკ ჰიუზს, როტერდამული ფინალის გმირმა 1994 წლის ნოემბერში თბილისშიც ითამაშა საქართველო — უელსის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში.

სარბიელის არქივიდან

გამარჯვებულები: მარცხნიდან დგანან: ინსი, ბერდსმორი, ბრიუსი, შარპი, რობინსი, სილი, ფილანი, მაკლეირი, ბლექმორი; სხედან: უოლერი, ჰიუზი, პალისტერი, მარტინი, რობსონი

ნახევარფინალი. იუნაიტედი ლეგიის კარს უტევს

ნინასწარი წრე ბრეი უონდერერსი (ირლანდია) — ტრაბზონსფორი (თურქეთი) 4:1 (დუალინი), 0:2

პირველი წრე

კუოპიო პალოსეურა (ფინეთი) — დინამო (კიევი, სსრკ) 2:2, 0:4 ლეგია (ვარშავა, პოლონეთი) — ქასერანი (ლუქსემბურგი) 3:0, 3:0 (ეში) ტრაბზონსფორი — ბარსელონა (ქასანეთი) 1:0, 2:7 ვიკინგი (ნორვეგია) — ლიონი (ბელგია) 0:2, 0:3 სლავენი (ბულგარეთი) — იუვენტუსი (იტალია) 0:2, 1:6 მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — ბერი (უნგრეთი) 2:0, 1:0 დინამო (ზაგრები, გკრ) — აუსტრია (ავსტრია) 0:2 (როსტოკი), 0:0 სლმა უონდერერსი (ბელგია) — დუკლა (ჩეხოსლოვაკია) 1:2, 0:2 სალამინა (კიპროსი) — აბერდინი (შოტლანდია) 0:2, 0:3 მონაპლიე (საფრანგეთი) — ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 1:0, 0:0 ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ფლამურტარი (ალბანეთი) 3:1, 2:0 გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) — სტიაუა (რუმინეთი) 1:1, 0:5 რეალმადრიდი (უელსი) — ლიონგბიუ (დანია) 0:0, 1:0 ეშტრელა (პორტუგალია) — ქამფაქი (შეიცარია) 1:1, 1:3 პენ 4:3 ფრანჯი (ისლანდია) — ოფგორფენი (შვედეთი) 3:0, 1:1 კაიზერსლაუტერნი (გფრ) — სამპდორია (იტალია) 1:0, 0:2

მერვედფინალი

დინამო — დუკლა 1:0, 2:2 ფრამი — ბარსელონა 1:2, 0:3 მანჩესტერ იუნაიტედი — რექსპემი 3:0, 2:0 ლიეჟი — ეშტრელა 2:0, 0:1 აბერდინი — ლეგია 0:0, 0:1 აუსტრია — იუვენტუსი 0:4, 0:4 ოლიმპიაკოსი — სამპდორია 0:1, 1:3 მონაპლიე — სტიაუა 5:0, 3:0

მეოთხედფინალი

დინამო — ბარსელონა 2:3 (ბაკერ ალეგერ, ბაკერ, ურანე, სტოიჩკოვი), 1:1 (ურანე, ალონსო)
ლეგია — სამპდორია 1:0 (ჩეკერი), 2:2 (კოზლერი 2, ბანინი, ვიალი)
მანჩესტერ იუნაიტედი — მონაპლიე 1:1 (ბაკერ მარტინ ს.), 2:0 (ბლეკმორი, ბრიუსი)
ლიეჟი — იუვენტუსი 1:3 (უბენ მარიკ, ბაჯო, ბელინი ალეგრი), 0:3 (კაზირაგი, სკილაჩი, ჰესლერი)

ნახევარფინალი

ლეგია — მანჩესტერ იუნაიტედი 1:3 (კიბირ, ბაკერი, ჰიუზი, ბრიუსი), 1:1 (კოზლერი, შარპ)
ბარსელონა — ოფგორფენი 3:1 (სტოიჩკოვი 2, გოიკოეჩეა, კაზირაგი), 0:1 (ბაჯო)

ფინალი. როტერდამი. 15 მაისი. 47 000 მაყურებელი

მანჩესტერი 2:1 ბარსელონა

1:0, 2:0 ჰიუზი (67, 75), 2:1 რ. კუმანი (79)

მანჩესტერი: სილი, ირვინი, ბლეკმორი, ბრიუსი, ფილანი, პალისტერი, რობსონი, ინსი, მაკლეირი, ჰიუზი, შარპი

ბარსელონა: ბუსკეტსი, ნანდო, ალესანკო (პინილია 72), რ. კუმანი, ფერერი, ბაკერო, გოიკოეჩეა, ეუსებიო, სალინასი, მ. ლაუდრუპი, ბეგირისტაინი

მსაჯი: კარლსონი (შვედეთი)

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა.

XXXI ტური

7.05	ვერდერი — აინტრახტი	1,6	3,2	5,0
	ჰანზა — შტუტგარტი	2,1	2,9	3,2
8.05	დუისბურგი — შალკე	1,8	2,9	4,2
	ლევერკუზენი — ბოხუმი	1,35	4,0	6,5
	0:1	1,9	3,3	2,4
	ვოლფსბურგი — ნიურნბერგი	1,5	3,4	5,6
	დორტმუნდი — კაიზერსლაუტერნი	1,9	2,8	3,8
	ფრაიბურგი — მიონხენგლადბახი	1,3	3,4	5,6
	ჰამბურგი — მიუნხენი	1,7	3,1	4,4
9.05	ბაიერნი — ჰერტა	1,5	3,3	6,0

გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა.

XXIX ტური

7.05	დიუსელდორფი — ჰანოვერი	2,3	3,0	2,7
	ფორტუნა — ულმი	2,5	2,9	2,5
	კიკერსი — კიოლნი	1,9	2,9	3,6
9.05	კოტბუსი — ზტ. პაული	2,0	2,3	3,4
	გიუტერსლო — ვატენშაიდი	1,9	2,9	3,6
	ფიურტი — კარლსრუე	2,1	2,9	3,2
	ურდინგენი — უნტერჰახინგი	3,3	3,0	2,0
	ობერჰაუზენი — მაინცი	1,9	2,9	3,6
10.05	ბერლინი — არმინია	2,3	2,8	2,9

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა.

XXXVII ტური

8.05	ასტონ ვილა — ჩარლტონი	1,5	3,4	5,6
	ბლეკბერნი — ნოტინგემი	1,2	4,0	7,5
	დერბი — ქოვენთრი	1,4	3,6	6,5
	0:1	2,0	3,2	2,3
	ევერტონი — ვესტ ჰემი	2,4	2,9	2,6
	ლიდსი — არსენალი	4,4	3,1	1,7
	ლესტერი — ნიუკასლი	2,3	2,8	2,9
	შეფილდ უენსდეი — ლივერპული	2,5	2,9	2,5
	უიმბლდონი — საუთჰემპტონი	2,1	3,0	3,0
9.05	მიდლსბრო — მანჩესტერი	4,4	3,1	1,7
10.05	ტოტენჰემი — ჩელსი	3,2	2,9	2,1

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი.

XLVI ტური

9.05	ბრისტოლი — ნორვიჩი	2,2	3,0	2,9
	ბერი — პორტ ვეილი	2,2	2,8	3,1
	ჰადერსფილდი — ქრიუ	1,9	2,5	4,4
	იფსვიჩი — შეფილდ იუნაიტედი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,9	3,0	2,8
	ოქსფორდი — სტოკპორტი	1,8	3,2	3,6
	პორტსმუთი — ბოლტონი	4,4	2,8	1,8
	ქუინზ პარკი — კრისტალ პალასი	1,6	3,2	3,8
	სანდერლენდი — ბირმინგემი	1,7	3,2	4,2
	სვინდონი — ბარნსლი	2,3	2,8	2,9
	ტრანმერი — ვესტ ბრომვიჩი	2,0	2,8	3,5
	უოტფორდი — გრიმსბი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,9	3,0	2,8
	ვულვერჰემპტონი — ბრედფორდი	2,4	2,9	2,6

იტალიის ჩემპიონატი. სერია A.

XXXII ტური

8.05	ინტერი — პარმა	2,2	2,8	3,1
9.05	კალიარი — სალერნიტანა	1,7	2,9	5,0
	ემპოლი — ვენეცია	5,3	3,4	1,4
	იუვენტუსი — მილანი	2,4	2,8	2,7
	ლაციო — ბოლონია	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
	პერუჯა — ბარი	1,7	3,0	4,7
	პიაჩენცა — რომა	2,5	2,8	2,6
	სამპდორია — ფიორენტინა	2,4	3,1	2,4
	ვიჩენცა — უდინეზე	1,9	3,0	3,2

იტალიის ჩემპიონატი. სარია B.

XXXIII ტური

9.05	ბრეშა — ტერნანა	1,5	3,5	5,3
	კრემონეზე — მონცა	3,5	3,0	1,9
	ფ. ანდრია — ჩეზენა	1,9	2,7	4,0
	ლეჩე — კოზენცა	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ლუკეზე — კიევო	2,4	2,7	2,8
	რავენა — ნაპოლი	2,5	2,7	2,7
	რევჯანა — ჯენოა	2,6	2,7	2,6
	რევჯინა — ატალანტა	2,3	2,7	3,0
	ტრევიზო — პესკარა	2,3	2,7	3,0
	ვერონა — ტორინო	2,2	2,7	3,2

ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი

XXXIII ტური

8-9.05	ალავესი — ვალიადოლიდი	1,8	3,0	4,0
	ვილიარეალი — ბარსელონა	3,4	3,0	1,9
	დეპორტივო — ბილბაო	1,6	3,0	5,6
	ატლეტიკო — ბეტისი	1,7	3,0	4,7
	მალიორკა — სარაგოსა	1,3	4,0	7,5
	0:1	2,0	2,8	2,5
	ტენერიფე — რასინგი	1,9	2,9	3,6
	ოვიედო — ესტრემადურა	1,7	3,1	4,4
	სოსიედადი — რეალი	3,0	2,9	2,2
	ესპანიოლი — სელტა	3,4	2,9	2,0
	სალამანკა — ვალენსია	4,4	3,1	1,7

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი.

XXXVI ტური

8-9.05	ბარსელონა B — ერკულესი	1,6	3,1	5,3
	ალბასეტე — ოსასუნა	2,2	2,9	3,0
	ტოლედო — ბადახოსი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,9	3,0	2,8
	ეიბარი — ლეგანესი	2,6	2,9	2,4
	სპორტინგი — მერიდა	2,0	2,9	3,4
	ლას პალმასი — რეკრეატივო	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	მალიორკა B — ორენსე	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ატლეტიკო B — სევილია	2,1	2,9	3,2
	რაიო ვალეკანო — კომპოსტელა	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
	ლოგრონიესი — ნუმანსია	3,0	2,9	2,2
	ლეიდა — მალაგა	2,5	2,9	2,5

საფრანგეთის ლიგის თასის ფინალი

(პარიზი)

8.05	ლანსი — მეცი	2,0	2,9	3,4

პორტუგალიის ჩემპიონატი.

XXXI ტური

8.05	აკადემიკა — ბრაგა	3,2	2,9	2,1
	ფარენსე — გიმარაეში	2,3	2,8	2,9
	შავეში — პორტუ	5,3	3,5	1,5
9.05	კამპომაიორენსე — მარიტიმუ	2,0	2,8	3,5
	ბეირა მარი — ალვერკა	1,8	3,0	4,0
	რიუ ავე — ბოავიშტა	4,4	3,1	1,7
	ამადორა — ლეირია	1,7	2,9	5,0
	სპორტინგი — სალგეირუში	1,25	4,4	8,0
	0:1	1,9	3,0	2,8
10.05	სეტუბალი — ბენფიკა	4,7	3,0	1,7

ჰოლანდიის ჩემპიონატი.

XXXII ტური

7.05	სიტარდი — ეინდჰოვენი	5,0	3,2	1,6
8.05	ბრედა — სპარტა	2,1	3,0	3,1
	ჰერენვენი — როდა	2,0	2,9	3,4
	ტილბურგი — მაასტრიხტი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ალკმაარი — ნაიმეგენი	1,7	3,0	4,7
9.05	ფეიენოორდი — ტვენტე	1,4	3,6	6,5
	0:1	2,0	3,2	2,3
	უტრეხტი — ვიტესი	3,4	2,9	2,0
	ვალვაიკი — კამბური	2,2	2,9	3,0
	გრააფსხაპი — აიაქსი	5,0	3,6	1,5

ბელგიის ჩემპიონატი.

XXXIII ტური

8.05	ვესტერლო — აალსტი	1,7	3,1	4,4
9.05	მუსკრონი — ბრიუგე	3,4	2,9	2,0
	ბეევერენი — ეკერენი	2,0	2,9	3,4
	შარლეროა — სტ. ტრუიდენი	2,2	2,9	3,0
	კორტრაიკი — ლომელი	2,2	2,9	3,0
	გენკი — ანდერლეხტი	1,8	3,0	4,0
	გენტი — ჰარელბეკი	1,6	3,1	5,3
	სტანდარდი — ლოკერენი	1,7	3,1	4,4
	ოსტენდე — ლიერსი	2,3	2,8	2,9

პოლონეთის ჩემპიონატი.

XXV ტური

8.05	გურნიკი — ამიცა	1,5	3,3	6,0
	რუხი — ლეგია	3,4	2,9	2,0
	ლკს — კატოვიცე	1,5	3,3	6,0
	ზაგლებე — ვიხეი	2,3	2,8	2,[illegible]
	პოლონია — სტომილი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	ოდრა — ლეხი	3,4	2,9	2,0
	პოგონი — რაციონკოვი	2,0	2,9	3,4
	ვისლა — ბელხატოვი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5

თურქეთის ჩემპიონატი.

XXXI ტური

7.05	ანთალია — სამსუნი	1,5	3,4	5,6
8.05	ბურსა — ფენერბაჰჩე	4,4	3,1	1,7
9.05	ქოჯაელი — ერზურუმი	1,5	3,4	5,6
	ანკარა — ქარაბუქი	1,1	4,4	8,0
	საქარია — ტრაბზონი	2,9	3,2	2,1
	დარდანელი — ისთანბული	2,9	3,0	2,2
	გაზიანთეფი — ადანა	1,6	3,3	4,7
	ალთაი — გენჩლერბირლიგი	2,0	2,9	3,4
	ბეშიქთაში — გალათასარაი	2,5	2,9	2,5

შოტლანდიის ჩემპიონატი.

XXXIV ტური

8.05	აბერდინი — დანდი	1,8	2,9	4,2
	დანდი იუნაიტედი — კილმარნოკი	2,4	2,9	2,6
	დანფერმლაინი — სელტიკი	5,6	3,4	1,4
	სენტ ჯონსტონი — მოზერველი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
9.05	რეინჯერსი — ჰართსი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2

ავსტრიის ჩემპიონატი

XXVII ტური

7.05	ტიროლი — გრაცერი	2,3	2,8	2,9
8.05	აუსტრია — შტაირი	1,15	5,6	10,0
	0:1	1,5	3,5	3,5
	ლინცერი — რიდი	1,25	4,0	7,5
	ლუსტენაუ — რაპიდი	7,5	4,0	1,3
	შტურმი — ზალცბურგი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3

შვეიცარიის ჩემპიონატი.

X ტური

8.05	ბაზელი — გრასჰოპერი	4,4	3,1	1,7
	ლუცერნი — ქსამაქსი	2,1	2,9	3,2
	სტ. გალენი — ლოზანა	3,4	2,9	2,0
9.05	ციურიხი — სერვეტი	3,2	2,9	2,1

რუსეთის ჩემპიონატი.

VI ტური

9.05	შინიკი — როსტსელმაში	2,0	2,7	3,6
	ზენიტი — როტორი	2,0	2,8	3,5
	სპარტაკი — ცსკა	1,8	2,9	4,2
	დინამო — ჟემჩუჟინა	1,4	3,6	3,6
	კრილია — სატურნი	2,4	2,8	2,7
	ალანია — ნ. ნოვგოროდი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8
	ურალანი — ტორპედო	4,0	3,0	1,8
	ჩერნომორეცი — ლოკომოტივი	3,8	2,8	1,9

შვედეთის ჩემპიონატი.

V ტური

9.05	ჰალმსტადი — ჰამარბი	2,0	2,8	3,5
	მალმიო — კალმარი	1,6	3,3	4,7
	იორებრო — ნორჩიოპინგი	2,2	2,9	3,0
10.05	ფრიოლუნდა — იურგარდენი	1,5	3,3	6,0
	აიკ — ჰელსინგბორგი	1,8	2,8	4,4
	ელფსბორგი — ტრელებორგი	1,6	3,0	5,6

ტურში გატანილი გოლები

გერმანია (31-ე)	25 და ნაკლები 1,9	27 და მეტი 1,9
ინგლისი (37-ე)	25 და ნაკლები 1,9	27 და მეტი 1,9
იტალია (32-ე)	23 და ნაკლები 1,9	25 და მეტი 1,9
ესპანეთი (33-ე)	26 და ნაკლები 1,9	28 და მეტი 1,9
პორტუგალია (31-ე)	24 და ნაკლები 1,9	26 და მეტი 1,9
ჰოლანდია (32-ე)	26 და ნაკლები 1,9	28 და მეტი 1,9
ბელგია (33-ე)	26 და ნაკლები 1,9	28 და მეტი 1,9
პოლონეთი (25-ე)	19 და ნაკლები 1,9	21 და მეტი 1,9
თურქეთი (31-ე)	24 და ნაკლები 1,9	26 და მეტი 1,9

NBA, NHL და ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონატების კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

31 ტური

საქართველოს ჩემპიონატი

საუკეთესო მოთამაშე

მამუკა აბრამიძე -ვითა-



მამუკა დოლენჯაველის ფოტო

მესამე წრეში „დინამოს“ გამანადგურებელი ანგარიშით (92:57) ძლევის შემდეგ, ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ ამჯერად „ვითას“ იგივე მეტოქის დამარცხება გაუჭირდებოდა. ამ შეხვედრაში ჩელ'პიონების უპირატესობა მხოლოდ მეორე ტაიმის მეორე ნახევარში გამოიკვეთა ვითელი მამუკა აბრამიძის ზედიზედ სამი სამქულიანის შემდეგ. როგორც მატჩის მსვლელობამ გვიჩვენა, აბრამიძის სამქულიანებმა წელში გატეხა მეტოქე და „ვითას“ მორიგ გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა.

— მამუკა, მესამე წრეში „დინამოს“ 35 ქულის სხვაობით დამარცხების შემდეგ თუ ელოდით, რომ ამჯერად გაგიჭირდებოდათ?

— დარწმუნებული ვიყავით, რომ ტრავმამოშუშებული ირაკლი ხოშტარიათი და რუსეთ-ისრაელ მოვლილი ირაკლი ვაშაკიძით გაძლიერებული „დინამო“ რევანშის ასაღებად გაორმაგებული ენერგიით დაგვიპირისპირდებოდა. ჩემი აზრით, ყველა ვითელმა მწვრთნელის დავალება ხუთიანზე შეასრულეთ და მიმდინარე ჩემპიონატში „დინამო“ შშრალი ანგარიშით — 4:0 დავამარცხეთ.

— კონკრეტულად რა დავალება გქონდათ მიღებული მწვრთნელისგან?

— რაც შეიძლება სწრაფ ტემპში უნდა გვეთამაშა და დალაგებული, ორგანიზებული შეტევის უფლება არ უნდა მიგვეცა მეტოქისთვის. ჩვენი შეტევები კი არ უნდა გაგვეწელა და იგი სწრაფად უნდა დაგვესრულებინა.

— ასეთ შემთხვევაში რომ მატულობს პერსონალური შეცდომები და ჯარიმები?

— ჩვენ „დინამოსთან“ შედარებით გრძელი სკამის იმედი გვქონდა.

— როდის იგრძენით, რომ მატჩის ბედი თქვენს სასარგებლოდ იხრებოდა?

— როდესაც ვაშაკიძემ და მაისურაძემ ხუთ-ხუთი პერსონალურის გამო მოედანი დატოვეს.

— რატომ არაფერს ამბობთ თქვენი სამქულიანების შესახებ, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა „ვითას“ გამარჯვებაში?

— მოპოვებულ უპირატესობას შენარჩუნება უნდა და ამას ერთი კალათბურთელი ნამდვილად ვერ შეძლებს. ჩვენმა ბიჭებმა ყველა რგოლში კარგად ითამაშეს და გამარჯვებაც ყველა ვითელის დამსახურება იყო.

— ამჟამად „ვითას“ ყველა რგოლში აწყობილი აქვს საქმე?

— ჩვენი ერთადერთი პრობლემა მოთამაშეთა ემოციური მხარეა, მაგრამ არა მგონია, გადამწყვეტ შემთხვევაში თავს ვერ მოვერიოთ და ამის გამო დავზარალდეთ.

— გამოკვეთილი ცენტრით რომ არ თამაშობთ.

— თუ საჭიროება მოითხოვს, ცენტრად გოდერძი კორძაძე, ამროსი ორმოცაძე, გულიერ ახალკაცი და, ასე განსაჯეთ, ბურაბ ჩუბინიძეც თამაშობენ.

— თითქმის გადაწყვეტილია, რომ ნახევარფინალში თქვენი მეტოქე სტუდენტება, რომელიც რეზო ჩხეიძით უკვე გაძლიერდა, ხოლო უახლოეს მოგავალში ვახტანგ ნაცვლიშვილის დაბრუნებასაც აპირებს. როგორ ფიქრობთ, „ვითას“ ფინალში გასვლას საფრთხე ხომ არ ემუქრება?

— გამორიცხული არაფერია. მაგრამ ჩემი აზრით, „ვითას“ ოქროს მედლების მოპოვების ყველაზე მეტი შანსი აქვს.

— თუ გავითვალისწინებთ, რომ მამათქვენი, ბატონი ავთო აბრამიძე დიდი ხანია მომავალ კალათბურთელებს ავარჯიშებს, არა მგონია, თქვენი არჩევანი, როდესაც კალათბურთელობა გადაწყვიტეთ, შემთხვევითი ყოფილიყო.

— 10-11 წლის ვიქნებოდი, როდესაც მამამ „მართვეში“ მიმიყვანა და ვარჯიში დავიწყე გივი ქილიტაურის ხელმძღვანელობით.

— შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი საკალათბურთო კარიერა?

— 80-იანი წლების ბოლოს გამოვდიოდი საბჭოთა კავშირის პირველობაზე მოასპარეზე თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში. საქართველოს ეროვნულ პირველობაზე კი „ვითას“ გარდა ნათამაშები მაქვს სტუში, „კაქტუსში“ და სდასუ-ში.

— ზზირად იყო ისეთი შეხვედრები, როდესაც თქვენი თამაშით კმაყოფილი დარჩენილხართ?

— იყო მატჩები, როდესაც კარგად ვითამაშე, მაგრამ ისეთი, როგორიც მე მსურს, ჯერ არ ჩამიტარებია. სამაგიეროდ, არასოდეს დამავიწყდება რუსთავის „აზოტთან“ შეხვედრა. უკლებლივ ყველა ვითელმა ძალიან ცუდად ვითამაშეთ და ამიტომაც დავმარცხდით 27 ქულის სხვაობით.

— ადრე მამათქვენი თქვენს თამაშებს თითქმის არ აცდენდა. ბოლო დროს იგი აღარ შემიმჩნევია...

— მამაჩემი ამჟამად ბათუმში მუშაობს და 8-11 წლის ბავშვებს ავარჯიშებს.

— პირობებით კმაყოფილია?

— სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს, ბინა უქირავეს და ანაზღაურებაც ნორმალური აქვს.

— რადგან თბილისელი სპეციალისტი მიიწვიეს, ბათუმში კალათბურთის აღორძინებისთვის სერიოზულად მოუკიდნიათ ხელი. თქვენ ხომ არ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ბათუმში კალათბურთის განვითარების სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით?

— ბათუმელთა გუნდი, 60-იანი წლების „დინამოს“ კალათბურთელის, ვალერი ალთაბაევის ხელმძღვანელობით ასპარეზობს პირველ ლიგაში და თბილისის სამედიცინო აკადემიის გუნდთან ერთად უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. თუ „ბათუმი“ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას მოიპოვებს, გუნდის ხელმძღვანელობა აპირებს რამდენიმე ძლიერი კალათბურთელის მიწვევას და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლასაც კი.

— თქვენ რომ შემოგთავაზონ „ბათუმში“ თამაში, დათანხმდებით?

— ჯერ „ბათუმმა“ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვოს და ამ თემაზე შემდეგ ვისაუბროთ.

როლანდ ლაგუჩიძე

ფიბა რევოლუციას იწყებს

ოთხშაბათს, ბარსელონაში, საგოლოვარული კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიბა) ჭეშმარიტად რევოლუციური გადაწყვეტილებები მიიღო. სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადის შემდეგ ამოქმედდება რამდენიმე ახალი წესი.

1) შეიცვლება სათამაშო დრო. ორ 20-წუთიან ტაიმს შეცვლის ოთხი 10-წუთიანი მეოთხედი. პირველი-მეორე და მესამე-მეოთხე მეოთხედები შეადგენენ, შესაბამისად, პირველ და მეორე ტაიმებს. ტაიმებს შორის შესვენება 15 წუთი იქნება. მეოთხედებს შორის გუნდები ორ-ორ წუთს დაისვენებენ;

2) ბურთის ფლობის დრო 30 წამიდან შემცირდება 24 წამამდე;

3) ამოქმედდება „რვა წამის წესი“. ესე იგი, შეტევის დამწყებმა გუნდმა ბურთი მეტოქის მოედანზე უნდა გადაიტანოს შეტევის დაწყებიდან რვა წამის განმავლობაში. ამჟამად ეს დრო 10 წამითაა განსაზღვრული.

ფიბამ აგრეთვე დაადგინა, რომ ოლიმპიადის და მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებს სამ-სამი მსაჯი განსჯის.

რევოლუცია მოხდება საერთაშორისო საკლუბო შეჯიბრებებშიც. 2000 წლის 1 ივლისიდან ნებისმიერ კლუბს შეუძლია განუსაზღვრელი რაოდენობის უცხოელი კალათბურთელი ათამაშოს. ეს თავისთავად აუქმებს წესს, რომლის მიხედვითაც კლუბს ორ უცხოელზე ყოლის უფლება არა აქვს. თავისთავად, ეს მოსპობს მოთამაშეების ნატურალიზაციის პრობლემას. მაგალითისთვის, ვლადიმერ სტეფანია „ოლიმპიაში“ თამაშისას უცხოელად არ ითვლებოდა, რადგან ჯიბეში ქართულთან ერთად სლოვენიური პასპორტიც ედო.

მიუხედავად ამისა, ნებისმიერ ეროვნულ ფედერაციას შეუძლია შინაურ შეჯიბრებებში უცხოელთა ლიმიტი თავის ნებაზე დააწესოს.

რეგულარული ჩემპიონატი

სტეფანიამ და სიეტლმა სეზონი დაამთავრეს

5 მაისი

კლიპერსი 105:107 სიეტლი

კლიპერსი: ჰადსონი (19 ქულა, 10 პასი), პიატკოვსკი (12), ნესბი (30), ტეილორი (20); მიურეი (8), სკინერი (8), როჯერსი (2), რაიტი (2)

სიეტლი: პეიტონი (4 ქულა, 11 პასი), ლუისი (6), შრემფი (21 ქულა, 10 მოხსნა), ბეიკერი (17 ქულა, 11 მოხსნა), სტეფანია (12 ქულა, 9 მოხსნა); მაკლინი (27), მაკკოი (13), ჰოკინსი (6), კროტი (2)

პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში მოთამაშე ჩვენი პირველი თანამემამულის, ვლადიმერ სტეფანიასა და მისი გუნდის „სიეტლ სუპერსონიქსისათვის“ ამ მატჩით დასრულდა 1998-99 წლების სეზონი. საშწუხაროდ, უიღბლოდ, რადგან სიეტლი ვერ მოხვდა პლეი ოფში და ჩვენებურსაც არ მიეცა იქ თამაშის შანსი. სუპერსონიქსს სულ ერთი მოგება დააკლდა უძლიერესთა შორის მოსახვედრად. სიეტლის დარად, „მინესოტა ტიმბერვულვზმაც“ რეგულარული სეზონის 50 თამაშიდან ზუსტად ნახევარი — 25 მოიგო და პლეი ოფშიც ის გავიდა, რადგან სიეტლთან სამი თამაშიდან ორი მოიგო. პლეი ოფი ნამდვილად რჩეულთა ხვედრია და იქ, რა თქმა უნდა, ყველა ვერ ითამაშებს, მაგრამ სუპერსონიქსისთვის ეს თავლაფდასხმაა, რადგან ასეთი რამ გუნდს ბოლო რვა სეზონში არ შემთხვევია. „სონიქსი“ 90-იან წლებში დასავლეთში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა და პლეი ოფშიც ბევრს ამწარებდა, წლეულს კი საპლეოფო ციებ-ცხელებას უნდა დაემშვიდობოს, რაშიც მთლიანად თავადაა დამნაშავე.

ამ მატჩს სტეფანიას გუნდისათვის, ისევე როგორც წინას დალასთან, მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა და სიეტლი იმისათვისღა იბრძოდა, რომ მთლად არ შერცხვენილიყო. კლიპერსი თავისთავად ვერაფერი გუნდია, სიეტლს არასდროს უჭირდა მასთან თამაში და წინა 7 მატჩში დამარცხებინა კიდეც, მაგრამ ახლა გაუჭირდა და ლამის თავიც მოიჭრა. კლიპერსი მეტოქეს იოლად არ ბარდებოდა და თავგანწირვით იბრძოდა, თუმც ბოლოს სტუმართათვის ყველაფერი კარგად დამთავრდა.

ვოვა სტეფანიამ ზედიზედ მეორედ ითამაშა ძირითად ხუთეულში, სულ მეექვსედ და არცთუ ურიგოდ. 31 წუთში ქართველმა 12 ქულა ჩააგდო (თამაშში 13-დან 5 და ორივე საჯარიმო ჩაგდო), 9 ბურთი მოხსნა ფარიდან (აქედან სამი მეტოქის ფარზე) და ორჯერაც დაიფარა. საბოლოოდ სეზონში სტეფანიას ჯამური მაჩვენებლები ასე გამოიყენება — ითამაშა 23 შეხვედრაში, საშუალოდ მატჩში 5,5 ქულა (მეათე შედეგი სიეტლში), 3,3 მოხსნა (მერვე შედეგი სიეტლში), 1,0 დაფარება (პირველი შედეგი სიეტლში, მეხუთე ახალბედებში, 35-ე მთლიანად ლიგაში).

თვითონ თამაშზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ სიეტლი ბოლო მეოთხედამდე 83:68 იგებდა და უკანასკნელ თორმეტწუთიანში თავს მოშვების უფლება მისცა. კლიპერსმა ამისთვის ლამის დასაჯა კიდეც. ერიკ პიატკოვსკიმ მატჩის დამთავრებამდე 11 წამით ადრე სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა — 105:105, მაგრამ დეტლეფ შრემფის ორმა საჯარიმომ სტუმრებს სულზე მიუსწრო.

ლეიკერსი 119:91 პორტლენდი

ლეიკერსი: რაისი (40)

პორტლენდი: ვოლესი (23)

პორტლენდისთვის ამ შეხვედრას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და ლეიკერსს დიდი წინააღმდეგობა არც გაუწია. მასპინძელთა ძონძროხა ცენტრმა, შაკილ ონილმა მატჩში მოლოდ 18 ქულა გაახერხა და ლიგის ბომბარდირის ტიტული ფილადელფიელ ყმაწვილს, ალენ აივერსონს გადაულოცა. სამაგიეროდ, გაიბრწყინა გლენ რაისმა, რომელმაც პორტლენდს რვა სამქულიან ჩაუგდო.

გოლდენ სტეიტი 81:88 სან ანტონიო

გოლდენ სტეიტი: ჯეიმისონი (22 ქულა, 16 მოხსნა)

სან ანტონიო: დანკანი (28 ქულა, 10 მოხსნა), რობინსონი (23 ქულა, 20 მოხსნა)

ამ მატჩის შემდეგ სან ანტონიო გაუტოლდა „იუტა ჯაზს“ და მასთან სამიდან ორი მოგებული თამაშის წყალობით რეგულარული სეზონის გამარჯვებულიც გახდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ მეტოქესთან სერიაში სან ანტონიოს მოედნის უპირატესობა ექნება, ესე იგი, შინ მეტი თამაში მოუწევს.

საკრამენტო 99:95 ვანკუვერი

საკრამენტო: დივაცი (29 ქულა, 17 მოხსნა)

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (26)

საკრამენტომ თავის ისტორიაში საუკეთესო სეზონი მაჟორულ ნოტაზე დაასრულა. ვანკუვერმა კი ბევრი იბრძოლა, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა გამარჯვება და მხოლოდ რვა მოგებით 29 გუნდში ბოლო ადგილზე დაფუძნდა.

ფინიქსი 100:96 მინესოტა

ფინიქსი: კიდი (17)

მინესოტა: გარნეტი (20)

მინესოტამ სეზონის ბოლო მატჩი წააგო, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. „მგლები“ საბოლოოდ მერვე ადგილზე გავიდნენ და სან ანტონიოს ერვნენ.

დენვერი 88:95 ჰიუსტონი

დენვერი: ვან ექსელი (35)

ჰიუსტონი: დიკერსონი (27)

ბოსტონი 129:133 შარლოტი

(ძირითადი დრო 109:109)

(პირველი ოვერტაიმი 122:122)

ბოსტონი: პერსი (27), ბაროსი (26), ვოლკერი (23), მერსერი (23)

შარლოტი: დევისი (35), მილერი (25), ჯონსი (21)

ფილადელფია 105:100 დეტროიტი

ფილადელფია: აივერსონი (33)

დეტროიტი: ჰილი (27), სტეკჰაუზი (21)

ფილადელფიელმა ალენ აივერსონმა 33 ქულით სეზონში მესამედ და საბოლოოდ დაიბრუნა ლიგის უპირველესი მექულის ადგილი.

ტორონტო 96:87 კლივლენდი

ტორონტო: კრისტი (26)

კლივლენდი: ფერი (22)

ატლანტა 100:92 ვაშინგტონი

ატლანტა: ლონგი (22)

ვაშინგტონი: ტორპი (17)

ნიუ ჯერსი 115:107 მილუოკი

ნიუ ჯერსი: მარბესი (41 ქულა, 11 პასი)

მილუოკი: ალენი (22)

ნიუ ჯერსიმ ცუდი სეზონი კარგად დაასრულა, მისმა ლიდერმა, სტივენ მარბერიმ 41 ქულის ჩაგდებით სულაც კარიერის რეკორდი დაამყარა.

ჩიკაგო 83:103 ორლანდო

ჩიკაგო: ჰარპერი (17)

ორლანდო: გრანტი (14)

ნიუ იორკი 101:88 მაიამი

ნიუ იორკი: კემბი (22)

მაიამი: ვეზერსპუნი (18)

ეს გუნდები პლეი ოფის პირველ წრეში ბოლო სამ სეზონში ზედიზედ მესამედ შეხვდებიან ერთმანეთს, შეიძლება ითქვას, პლეი ოფის რვა წყვილიდან მათი თამაშები ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იქნება.

ირაკლი ფირაყვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

	მ	წ	%
მაიამი*	33	17	66,0
ინდიანა*	33	17	66,0
ორლანდო*	33	17	66,0
ატლანტა*	31	19	62,0
დეტროიტი*	29	21	58,0
ფილადელფია*	28	22	56,0
მილუოკი*	28	22	56,0
ნიუ იორკი*	27	23	54,0
შარლოტი	26	24	52,0
ტორონტო	23	27	46,0
კლივლენდი	22	28	44,0
ბოსტონი	19	31	38,0
ვაშინგტონი	18	32	36,0
ნიუ ჯერსი	16	34	32,0
ჩიკაგო	13	37	26,0

დასავლეთის კონფერენცია

	მ	წ	%
სან ანტონიო*	37	13	74,0
პორტლენდი**	35	15	70,0
იუტა*	37	13	74,0
ლეიკერსი*	31	19	62,0
ჰიუსტონი*	31	19	62,0
საკრამენტო*	27	23	54,0
ფინიქსი*	27	23	54,0
მინესოტა*	25	25	50,0
სიეტლი	25	25	50,0
გოლდენ სტეიტი	21	29	42,0
დალასი	19	31	38,0
დენვერი	14	36	28,0
კლიპერსი	9	41	18,0
ვანკუვერი	8	42	16,0

* — გავიდნენ პლეი ოფში. **პორტლენდმა წყნარი ოკეანის დივიზიონის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ამიტომაც კონფერენციის საერთო ცხრილში მეორე ადგილზეა

პლეი ოფი

I წრე. სამ მოგებამდე. 8 მაისიდან

აღმოსავლეთი

მაიამი — ნიუ ორკი

ინდიანა — მილუოკი

ორლანდო — ფილადელფია

ატლანტა — დეტროიტი

დასავლეთი

სან ანტონიო — მინესოტა

პორტლენდი — ფინიქსი

იუტა — საკრამენტო

ლეიკერსი — ჰიუსტონი

REUTERS-ის კადრებიდან

ჰიშამ არაზი

პატარა და მუშა

ჰამბურგი. გერმანიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 2,45 მილიონი $

„ბედნიერი ვიქნებოდი, პირველი ჩოგანი ერთი კვირის, ერთი დღის, ან თუნდაც რამდენიმე საათის მანძილზე რომ ვყოფილიყავი“ — ეს სიტყვები ჰოლანდიელმა რიჩარდ კრაიჩეკმა სეზონის მეოთხე მერსედეს სუპერ 9-ის სერიის ტურნირის დაწყების წინ წარმოთქვა. თავისი ოცნების ასრულებისთვის უომბლდონის ყოფილ ჩემპიონს ყველაზე ნაკლებად ხელსაყრელ საფარზე გამარჯვება ესაჭიროებოდა.

ერთი შეხედვით ჰოლანდიელს ამოცანას ისიც უადვილებდა, რომ ამ რანგის ტურნირისთვის გერმანიის ღია პირველობაზე მეტისმეტად სუსტმა შემადგენლობამ მოიყარა თავი: მხოლოდ ერთი ჩოგბურთელი საუკეთესოთა ხუთეულიდან, მხოლოდ ოთხი — საუკეთესოთა ათეულიდან.

კრაიჩეკს კენჭისყრაში არ გაუმართლა — მაროკოელი ჰიშამ არაზი კლასიფიკაციით 32-ე კია, მაგრამ თიხნარზე ნებისმიერი მეტოქის გამწარება ძალუძს. ჩია, ნიჭიერი და უსაშველოდ ზარმაცი არაბი მებრძოლი ხასიათით არ გამოირჩევა, თუმცა მაყურებლების შეგულიანებით შესანიშნავი სპექტაკლის გამართვა შეუძლია. გერმანელებსაც ტაში და ხმის იოგები არ დაუზოგავთ ამისთვის, ერთი-ორმა კი დიდი პლაკატებიც გამოკიდა, არაზი ბატონობსო.

კორტზე საქმე მთლად ასეც არ ყოფილა, მაგრამ თავიდანვე ჩანდა, ზორბა ჰოლანდიელი მეტოქეს უფრთხოდა — ზუსტი მიღებებითა და შემოვლებულებით არაზიმ მას მეორე მოწოდებისა თუ ნაკლებად ხელსაყრელი მომენტების დროს ბადესთან გავარდნის სურვილი თავიდანვე გაუქრო. პირველი სეტის ბედი მაროკოელის სასარგებლოდ ერთადერთმა ბრეიკმა გადაწყვიტა, თუმცა მეორეში გამარჯვებასთან უკვე კრაიჩეკი იყო ახლოს — 5:3.

თავისთვის სამწუხაროდ, ჰოლანდიელს უპირატესობა მალევე შემოეფანტა, ანგარიში გათანაბრდა, მერე ტაი-ბრეიკი დაიწყო და ტურნირის პირველი დიდი სენსაციაც გაგორდა — 6:4, 7:6 (7:3) მაროკოელის სასარგებლოდ.

„არა, პირველ ჩოგნად გახდომის შესაძლებლობას ჩემზე არანაირი ზეგავლენა არ მოუხდენია. ყველაფერი ერთიორმა ქულამ გადაწყვიტა, რომლებზეც იგი ჩემზე უკეთ გაისარჯა“ — განაცხადა იმედგაცრუებულმა ჰოლანდიელმა პრესკონფერენციაზე.

თუმცა კრაიჩეკი ერთადერთი არ ყოფილა, ვისაც ჰამბურგში კლასიფიკაციის ახალ მოვლენილი ლიდერის, ევგენი კაფელნიკოვის ტახტიდან ჩამოგდება შეეძლო. ტურნირის მოგების შემთხვევაში იგივეს ესპანელი კარლოს მოიაც (2) მოახერხებს. „პირველობას, რა თქმა უნდა, არაფერი სჯობს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამჟამად ჩემთვის როლან გაროსისთვის კარგად მომზადებაა. კოჟრი ცერა თითზე, რომელიც ბოლო კვირეების მანძილზე მაწუხებდა, როგორც იქნა, მომირჩა და იმედია, საბოლოოდ. თამაში ლამის დამავიწყდა, თუმცა თავს შესანიშნავად ვგრძნობ“.

კრაიჩეკისგან განსხვავებით, მოიას გაცილებით იოლი მეტოქე ჰყავდა — ყველასთვის უცნობი იტალიელი მარკო მენეჩინკერი და არცთუ შთამბეჭდავი თამაშის მიუხედავად, მანაც უწია მერვედფინალს 6:3, 7:5: „ტურზე ძალები ისე თანაბარია, რომ კლასიფიკაციით 50-ემ შეიძლება პირველს იოლად აჯობოს, 150-ემ კი გვარიანად გააწვალოს. დღეს კარგად ვერ ვთამაშობდი და ძალიანაც გამიჭირდა“.

მეორე წრე: ტიმ ჰენმანი (3, ინგლისი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 6:3, 6:3; მარსელო რიოსი (4, ჩილე) — ოლივერ გროსი (გერმანია) 7:6 (8:6), 7:5; ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) — გრეგ რუზედეკი (5, ინგლისი) 6:4, 7:5; მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) — ალბერტ კოსტა (6, ესპანეთი) 7:5, 6:2; არნო დი პასკალი (საფრანგეთი) — ფელიქს მანტია (7, ესპანეთი) 6:4, 4:6, 6:0; გუსტავო კუერტენი (8, ბრაზილია) — ჯან-მაიკლ გემბილი (აშშ) 6:4, 6:4; ფრანსისკო კლავეტი (12, ესპანეთი) — ქარიმ ალამი (მაროკო) 1:6, 7:6 (7:5), 7:6 (7:5); ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — მარკ როსე (15, შვეიცარია) 6:2, 6:0.

რომი. იტალიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 1,05 მილიონი $

არა მგონია, ვინმე დარჩენილიყოს ჩოგბურთის სამყაროში, რომელსაც ბოლო ორი-სამი თვის მანძილზე პატი შნიდერისა და მისი პრობლემების შესახებ არ სმენოდეს. აი, სწორედ იმის, დეკემბრიდან მოყოლებული თვითმარქვია გურუ და შამანი რაინერ ჰარნეკერი რომ თელავს და თელავს.

ამ 42 წლის გერმანელის გაცნობის შემდეგ შნიდერის პირადი ცხოვრება თავდაყირა დადგა: იგი დაშორდა მწვრთნელ ერიკ ვან ჰარპენს, ბოიფრენდს, უარი თქვა ქვეყნის ნაკრებში ასპარეზობაზე და დედ-მამაც ისე გაანაწყენა, ამათ შინ დაბრუნებაც კი აუკრძალეს.

ყველაფერი ეს უკვალოდ, ბუნებრივია, ვერ ჩაივლიდა და 20 წლის შვეიცარიელმაც სულ უფრო უალო თამაშს: „ამჟამად თავდაჯერებულად ნამდვილად არ ვგრძნობ თავს. თავში ათასი რამ მიტრიალებს და ჩოგბურთზე კონცენტრირება ძალიან მეძნელება.“

ჰოდა, პატიმაც იფიქრა, იფიქრა და მდგომარეობის გამოსასწორებლად და ოჯახური კონფლიქტის მოსაგვარებლად პირველი ნაბიჯი გადადგა: ორთვიანი დუმილის შემდეგ იგი დედას, აირისს დაუკავშირდა და რომში საქმაგოდ ჩასვლა თხოვა. „ის ყოველთვის ამბობდა, რომ თუ დამჭირდებოდა, უარს არ მეტყოდა. მეც ამას წინათ დავურეკე და ვუთხარი, რომ მინდოდა, აქ მენახა. ჩვენ შაბათს შევხვდით ერთმანეთს, დღეს კი მატჩსაც დაესწრო“ — განუცხადა შნიდერმა ჟურნალისტებს.

ტურნირზე მეხუთედ განთესილ შვეიცარიელს თავი არ შეურცხვენია და მასპინძელ ადრიანა სერა ძანეტის 6:2, 7:5 მოუგო.

მერვედფინალში შნიდერს გამორჩეული პირადი ცხოვრებით ცნობილი კიდევ ერთი ჩოგბურთელი — ამელი მორესმო (10) ელის. 19 წლის ფრანგმა, რომელმაც ავსტრალიაში ოფიციალურად აღიარა საკუთარი ლესბოსელობა, მეორე წრეში თბილისელთათვის კარგად ნაცნობ ელენა დემენტიევას მოუგო დაძაბულ ბრძოლაში 1:6, 6:3, 7:5.

ჯერ კიდევ შარშან ბევრისთვის უცნობი ფრანგი იტალიის ღია პირველობაზე მოსახვედრი საკვალიფიკაციო ტურნირის პირველივე წრეში დამარცხდა და თავჩაქინდრულმა დატოვა რომი, ამჯერად კი ძირითად ბადეში უბრალოდ მოხვედრის კი არა, განთესვის და ცენტრალურ კორტზე თამაშის უფლებაც მოიპოვა: „რა თქმა უნდა, ამ 12 თვის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა. გარდა იმისა, რომ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მოვძლიერდი, უკვე ქუჩაშიც მცნობენ-ხოლმე“.

ცნობენ და მასზე მეტის გაგების სურვილიც უჩნდებათ. პრესკონფერენციაზე ერთი იტალიელი ჟურნალისტი ოფლად დაიღვარა, როდესაც ფრანგისთვის არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ კითხვის კორექტულად დასმას ცდილობდა. „მიდით, ნუ გრცხვენიათ — ღიმილით უპასუხა მორესმომ, თუმცა საბოლოოდ კითხვა მაინც აიცილა — მე უკვე ვთქვი, რაც სათქმელი მქონდა. შემიძლია მხოლოდ იგივე გავიმეორო, რაც საინტერესო არავისთვის იქნება“.

მეორე წრე: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:1, 6:1; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (2, ესპანეთი) — კრისტინა ბრანდი (აშშ) 6:0, 6:2; ვინუს უილიამსი (3, აშშ) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 7:5, 4:6, 6:4; მარი პირსი (4, საფრანგეთი) — კვეტა ჰრდლიჩკოვა (ჩეხეთი) 6:3, 6:4; სანდრინ ტესტიუ (8, საფრანგეთი) — ანა-გეელ სიდო (საფრანგეთი) 6:1, 6:1; ანა კურნიკოვა (9, რუსეთი) — მაუი სერნა (ესპანეთი) 6:4, 6:4; დომინიკ ვან რუსტი (11, ბელგია) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:4, 6:7 (2:7), 6:3; სილვია პლიჩკე (ავსტრია) — ამანდა კუტცერი (12, სამხრეთ აფრიკა) 6:4, 2:6, 6:1.

ავთანდილ სვანიძე

REUTERS-ის კადრებიდან

პატი შნიდერი

ამ მედლების ფასს სხვა რას გაიგებს ისე, ფედერაციაშიც რომ დაგერეკათ...

სოფიიდან, სამბისტთა ევროპის ჩემპიონატიდან, ქართული დელეგაცია 18 მედლით დაბრუნდა. იმ გახმაურებული შიმშილობის მერე, რომლითაც სამბისტები საევროპოდ დაფინანსებას ითხოვდნენ, დეპარტამენტმა მართლაც ყველაფერი გააკეთა მათთვის — ფულიც გამოუყო და ბულგარეთში წასასვლელ-წამოსასვლელად „მერსედესის“ მარკის ავტობუსიც. თავი არც სამბისტებს შეურცხვენიათ, მაგრამ ბოლომდე პირნათელნიც ვერ არიან — დეპარტამენტმა მათ სხვა თანხებთან ერთად, ასე ვთქვათ, საკონტაქტო-საინფორმაციო თანხაც გაატანა. თუმცა რად გინდა — ფედერაციაში არც ფაქსი გამოგზავნილა და არც ვინმეს დაურეკავს, საკუთარ ოჯახებს კი უკავშირდებოდნენ და პირველი შედეგებიც, ურთიერთგამმრიცხავი და არაზუსტი, მათგან შევიტყვეთ. ამან მათი ამბის მოუთმენლად მომლოდინე ფედერაციის მუშაკები საკმაოდ ანერვიულა.

ჩვენი სამბისტები გუშინ დაბრუნდნენ თბილისში და როგორც იქნა, დაზუსტებული ინფორმაციაც მიიღეს. ოღონდ, ჯერ ერთი განმარტებაც — სოფიაში დიდებთან ერთად ჭაბუკებისა და ახალგაზრდების ევროპის პირველობებიც ჩატარდა. ზემოხსენებული 18 მედალიც ამ სამი გუნდის მონაგარია. ახლა კი მედალოსნებზე.

დიდებში ჩემპიონი გახდა ივანე გამხიტაშვილი (90), მესამეზე გავიდნენ — მამუკა კურდღელაშვილი (62), არჩილ ჩოხელი (68), ნიკო ბიბილაშვილი (74) და სოსო ახალბედაშვილი (100).

ჭაბუკებში ჩემპიონობა მირიან პაღლიაშვილმა (87) მოიპოვა, ხოლო გოჩა ქარჩავა (48), ავთანდილ ცინცაძე (52), ალექსანდრე მაღალთაძე (56), მორის თადუმაძე (70) და იმედო უსანეთაშვილი (75) ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

ახალგაზრდათა მონაგარი კი ასეთია: მეორე ადგილი — ვასილ ბერუაშვილი (48) და მიხეილ ჩხაიძე (მძიმე), მესამე ადგილი — აკაკი ხანიშვილი (52), თემურ ნეფარიძე (57), ნიკო ზაუტაშვილი (68), გიორგი შუბითიძე (82) და დავით ლილუაშვილი (100).

ირაკლი თავაძე

ოთხი წლის წინ სამხრეთაფრიკელ მორაგბეთა კაპიტანმა ფრანსუა პინარმა მსოფლიოს თასი ნელსონ მანდელასგან ჩაიბარა

RUGBY WORLD CUP
1.10 - 6.11 1999

მსოფლიოს თასის წლევანდელი გათამაშება 1 ოქტომბერს დაიწყება უელსში და 6 ნოემბრამდე გასტანს. უძლიერესის ტიტულისთვის სარაგბო სამყაროს ოცი გამორჩეული გუნდი იბრძოლებს. სამწუხაროდ მათ შორის ვერ მოხვდა საქართველოს ნაკრები, თუმცა რაგბის ქართველი გულშემატკივრებისთვის ამ ტურნირის მნიშვნელობა ამით არ კნინდება და ამადაც გთავაზობთ გათამაშების კალენდარს.

A ჯგუფი
(თამაშობს შოტლანდიაში)

2.10 ესპანეთი — ურუგვაი
3.10 შოტლანდია — ს. აფრიკა
8.10 შოტლანდია — ურუგვაი
10.10 ს. აფრიკა — ესპანეთი
15.10 ს. აფრიკა — ურუგვაი
16.10 შოტლანდია — ესპანეთი

B ჯგუფი
(თამაშობს ინგლისში)

2.10 ინგლისი — იტალია
3.10 ახ. ზელანდია — ტონგა
9.10 ინგლისი — ახ. ზელანდია
10.10 იტალია — ტონგა
14.10 ახ. ზელანდია — იტალია
15.10 ინგლისი — ტონგა

C ჯგუფი
(თამაშობს საფრანგეთში)

1.10 ფიჯი — ნიმიბია
2.10 საფრანგეთი — კანადა
8.10 საფრანგეთი — ნამიბია
9.10 ფიჯი — კანადა
14.10 კანადა — ნამიბია
16.10 საფრანგეთი — ფიჯი

D ჯგუფი
(თამაშობს უელსში)

1.10 უელსი — არგენტინა (გახსნა)
3.10 დას. სამოა — იაპონია
9.10 უელსი — იაპონია
10.10 არგენტინა — დას. სამოა
14.10 უელსი — დას. სამოა
16.10 არგენტინა — იაპონია

E ჯგუფი
(თამაშობს ირლანდიაში)

2.10 ირლანდია — აშშ
3.10 ავსტრალია — რუმინეთი
9.10 აშშ — რუმინეთი
10.10 ირლანდია — ავსტრალია
14.10 ავსტრალია — აშშ
15.10 ირლანდია — რუმინეთი

მეოთხედფინალში გასასვლელი

20.10 1) B2 — C2 (თვიქნემი)
2) A2 — D2 (მარიფილდი)
3) E2 — საუკეთესო III (ლანსი)

მეოთხედფინალი

23.10 ა) D1 — E1 (კარდიფი)
24.10 ბ) A1 — 1 (პარიზი)
გ) C1 — 3 (დუბლინი)
დ) B1 — 2 (მარიფილდი)

ნახევარფინალი

30.10 ბ — ა (თვიქნემი)
31.10 დ — გ (თვიქნემი)

მესამე ადგილი

4.11 კარდიფი

ფინალი

6.11 კარდიფი

ჯულიანომ მოიგო, გაბრიელეს ჩაეთვალა

შვეიცარიაში მიმდინარე 53-ე „რომანდის ტურში“ პირველი ეტაპი ეკამართა. 165,4 კმ-იანი გზა პირველმა იტალიელმა ჯულიანო ფიგუერასმა (მარცხნივ) განვლო. მან საფინიშო სპრინტში, რომელშიც მხოლოდ შვიდი ველოსიპედისტი მონაწილეობდა, შვეიცარიელ ნიკი აებერსოლდსა და თავის თანამეგობარ გაბრიელე მისალიას აჯობა. საერთო ჩათვლაში კი ლიდერი სწორედ მისალია გახდა.

ფიგუერასმა ამ სეზონში მესამე ეტაპი მოიგო. წინა ორი გამარჯვება მან ესპანეთში მოიპოვა, ჯერ კატალონიის, შემდეგ კი ბასკეთის ტურში.

პროლოგის მომგებმა, საფრანგეთის ჩემპიონმა ლორან ჟალაბერმა (საფრანგეთი, ონსე) იტალიელთან 34 წამით წაგო, ისევე, როგორც მრბოლთა ძირითადმა ნაწილმა. ჟალაბერი ფინიშამდე 30 კმ-ით ადრე დისტანციის ერთ-ერთ ძირითად აღმართზე ჩამორჩა წინ წასულებს და „დაამტკიცა“, რომ ამ ტურნირის მოგება ნამდვილად არ შეუძლია.

მისალიასგან, რომელიც პროლოგის შემდეგ მესამე ადგილზე იყო, ლიდერობას არავინ ელოდა. 1998 წლის სეზონი 28 წლის მილანელმა სპორტსმენმა, ფაქტობრივად, ჩააგდო და წლეულსაც ცუდად ასპარეზობდა. თუმცა, ეტყობა, იგი ახლა ფორმაში შევიდა და „რომანდის ტურის“ მოგებაზეც არ იტყვის უარს.

„ვგრძნობ, რომ აქ გამარჯვება შემიძლია. ეს ნამდვილად არ აღემატება ჩემს ძალას“ — განუცხადა ჟურნალისტებს გაბრიელე მისალიამ.

გაიოზ თალაძგვაძე

პირველი ეტაპის შედეგები

1 ჯულიანო ფიგუერასი (იტალია) 4 საათი, 18 წუთი და 18 წამი
2 ნიკი აებერსოლდი (შვეიცარია)
3 გაბრიელე მისაგლია (იტალია)
4 ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი)
5 პაოლო სავოლდელი (იტალია)
6 ვლადიმირ ბელი (იტალია)
7 გორაზდ სტანგელი (სლოვენია) ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 გაბრიელე მისალია — 4სთ, 24წთ და 35წმ
2 ნიკი აებერსოლდი — ჩამორჩება 6 წამით
3 პაოლო სავოლდელი — ჩამორჩება 11 წამით
4 ვლადიმირ ბელი — ჩამორჩება 14 წამით
5 ჯულიანო ფიგუერასი — ჩამორჩება 15 წამით
6 მასიმო კოდოლი — ჩამორჩება 19 წამით
7 ხოსე მარია ხიმენესი — ჩამორჩება 27 წამით



REUTERS ფოტოგრაფია

იტალიელმა ჯულიანო ფიგუერასმა (შუაში) შვეიცარიელ ნიკი აებერსოლდს (მარცხნივ) აჯობა და პირველი ეტაპიც მოიგო

ჯერ ნურაფერს ვიტყვით

STANLEY CUP PLAYOFFS

AP ბოსტონიდან

ბუფალოსთან სერიაში ბოსტონის მეკარე ბაირონ დაფოზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული

ბლეი ოფის პირველი რაუნდის შემდეგ ჰოკეისტებს ჯერ სულიც არ მოუქვამთ და აგერ მეორე ეტაპიც მოადგათ კარს. 6 მაისს კონფერენციების ნახევარფინალები ბოსტონ — ბუფალოსა და დალას — სენტ ლუისის მატჩებით დაიწყება, მეორე დღეს კი დარჩენი ორი წყვილიც ჩაებმება ბრძოლაში. პირველმა წრემ ნათლად გამოკვეთა ბოლოდროინდელი ტენდენცია — აღმოსავლეთში ფავორიტს ჩემპიონატის შედეგების მიხედვით ვერ დააჯერებ (პირველი ოთხი გუნდიდან ტორონტოლა აგრძელებს ასპარეზობას), დასავლეთში კი წარმატებას სწორედ მდალადგილოსანმა გუნდებმა მიაღწიეს. თუმცა ახლა ვერც ამ კონფერენციის ლიდერების გამარჯვებულს გამოიცნობ, რადგან ტურნირს შემორჩენილთაგან ყველა ძლიერი და თანაბარძალოვანია, ერთადერთი, რაზეც შეიძლება იმსჯელო, გუნდების ძლიერი და სუსტი მხარეებია. პროგნოზები კი ისევ და ისევ „The Sporting News“-ს მივანდეთ.

აღმოსავლეთი

ტორონტო — პიტსბურგი

1998-99 წლების სეზონში მეტოქეებმა ორ-ორი მატჩი მოიგეს.

ბლეი ოფში ერთმანეთს არ შეხვედრიან.

პიტსბურგის ნიუ ჯერსისთან გამარჯვება, ალბათ, ყველაზე მოულოდნელი გახლდათ და სპეციალისტებს მკვეთრად შეაცვლევინა აზრი ამ გუნდზე. პირველეს ყოვლისა, ყველა დარწმუნდა იმაში, რომ იაგრი ჭეშმარიტად გენიალური მოთამაშეა და მისი მოედანზე ყოფნაც კი პარტნიორებს ძალას ატანს. ჯერ კიდევ ტრავმამოუმზადებელ სუპერჩეხთან გამკლავება „ეშმაკების“ სახელგანთქმულმა დაცვამ ვერ მოახერხა და საკითხავია, როგორ უნდა ებრძოლოს ეს ვარსკვლავი ტორონტოს სუსტმა უკანა ხაზმა, რომელსაც, ფაქტობრივად, ტანმაღალი და ძალისმიერი მაღალკვალიფიციური მოთამაშე არ აკავშირებს. კერტის ჯოზეფი, კანადელთა ერთადერთი ხომ ვერ იხსნის ყოველივეს გუნდს. გარდა ამისა, პიტსბურგში მარტო იაგრი ხომ არ არის — არიან მარტინ სტრაკა და ალექსეი კოვალიოვი, ჰოკეისტი, რომელსაც 1994 წლის ბლეი ოფის შემდეგ ასე კარგად არ უთამაშია. მაგრამ პრობლემები პიტსბურგსაც ელის. „პინგვინების“ ახალგაზრდა და გამოუცდელ მცველებს სამი მძლავრი და ერთნაირად სახიფათო სამეული დაუპირისპირდება.

პროგნოზი: პიტსბურგი 4:1 მოიგებს.

ბოსტონი — ბუფალო

1998-99 წლების სეზონი +1-4=0

ბლეი ოფში ბოლო შეხვედრა ბუფალომ 4:0 მოიგო (1993)

„ნუ გავიწყდებათ, რომ ჰაშეკიც ადამიანია“ — ასე იმშვიდებს თავს ბოსტონის მეკარე ბაირონ დაფო არაჩვეულებრივ „დომინატორთან“ დუელის წინ. დიახ, ჰაშეკი ადამიანია, მაგრამ ზოგჯერ ისეთ რამეს აკეთებს, კაცს გაოცებისგან პირს დაგაღებინებს. ბოსტონისა და ბუფალოს ორთაბრძოლის ბედიღბალსაც სწორედ ამ ორი გოლკიპერის დაპირისპირება გადაწყვეტს. დაფო, ცხადია, ჰაშეკი არ არის, მაგრამ წლეულს რომ საუკეთესო სეზონს ატარებს, უეჭველია.

ბოსტონელებს უპირატესობას ჩინებულად ორგანიზებული დაცვა ანიჭებს, თანაც ისინი უმცირესობაში ყველაზე უკეთ იცავენ თავს. თუმც ბუფალოში ჯო ჟიუნოს მისვლის შემდეგ „ხმლების“ რიცხვმრავლობამაც გაამჯობესა შედეგიანობა. თუ „დათვებს“ გამარჯვება სურთ, მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ შეტევებში გართული ბუფალოელების (მათ ასეთი რამ ხშირად ემართებათ) შეცდომები.

პროგნოზი: ბუფალო 4:2 მოიგებს.

დასავლეთი

დალასი — სენტ ლუისი

1998-99 სეზონი: +2-1=1

ბლეი ოფში ბოლო შეხვედრა დალასმა 4:0 მოიგო (1994)

„ოქროს ბიჭის“, ბრეტ ჰალის შეძენის შემდეგ, დალასის მფლობელმა ტომას ჰიკსმა ალალად განაცხადა, თუ გუნდი თასის ფინალში ვერ გავა, სეზონი უიღბლოდ ჩაითვლებაო. ასე რომ, ჰალზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, მით უმეტეს, რომ პირველ რაუნდში არც ისე შედეგიან ბრეტს ყოფილ თანაგუნდელებთან გამორჩევის შანსი მიეცა, თუმც, უმრავლესობის აზრით, ამ სერიის ბედი გუნდების ცენტრალურ ზონაში თამაშზე იქნება დამოკიდებული, უფრო სწორად იმაზე, თუ პავოლ დემიტრა და კომპანია რაოდენ სწრაფად შეძლებენ შაიბის მიტანას დალასის ზონაში და მეკარე ედ ბელფორის დასაქმებას. თავის მხრივ სენტ ლუისს მართებს კორექტულობა, რადგან ფინიქსის ძლევა სწორედ უამრავი ჯარიმის გამო გაუჭირდა. და კიდევ ერთი: „ბლუზმენები“ ტრავმებს აუცილებლად უნდა მოერიდონ, რადგან ერთი-ორი წამყვანი მოთამაშის დაკარგვა (მაკინისის ან დემიტრას გარეშე სენტ ლუისი რაღა გუნდია?) მათთვის გაცილებით მტკივნეული იქნება, ვიდრე დალასისთვის.

პროგნოზი: დალასი 4:1 იგებს.

კოლორადო — დეტროიტი

1998-99 სეზონი: +2-2=0

ბლეი ოფში ბოლო შეხვედრა დეტროიტმა 4:2 მოიგო (1997)

ეს მეორე რაუნდის ყველაზე საინტერესო და შინაარსიანი დუელი იქნება. ბოლო ოთხი სეზონის განმავლობაში მეტოქეები მესამედ ხვდებიან და სწორედ ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებული ეუფლება შემდეგში თასს (კოლორადო 1996-ში, დეტროიტი 1997-ში). დეტროიტს 1996 წლის სერიაში კლოდ ლემიეს სასტიკი თამაშიც არ დავიწყებია (მაშინ მისმა უხეშობამ ლამის კრის დრეიპერს კარიერა დაასრულებინა). ასე რომ, ბრძოლა ნამდვილად უშელავათო იქნება. თუმცა, მთავარი ფაქტორი, რასაც ყველა აღნიშნავს, ბრძენი დეტროიტელი თავკაცის, სკოტი ბოუმენის გამოცდილება იქნება. არავის ძალუძს საჭირო მომენტში აუცილებელი კორექტივების შეტანა, მოთამაშეთა გადანაცვლებით ტაქტიკის შეცვლა ისე, როგორც მას. და კიდევ ერთი, პირველი რაუნდის შემდეგ დეტროიტის ხანგრძლივმა დასვენებამ შესაძლოა, სერიის პირველ თამაშებზე უარყოფითად იმოქმედოს.

პროგნოზი: დეტროიტი 4:1 იგებს.

საბელ ღარიბიანი

მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია

ISHOCKEY VM '99
LILLEHAMMER - HAMAR - OSLO
1.mai - 16.mai

5 მაისი

A ჯგუფი

კანადა — იტალია 5:2

4:0 1:1 0:1

1:0 ქინტალი 4'11; 2:0 სავაჟი 9'12; 3:0 სტილმანი 18'09; 4:0 ნიდერმაიერი 18'45; 4:1 ბუსილო 32'53; 5:1 მაკეიბი 36'13; 5:2 ბუსილო 40'57

ამ მატჩის შედეგი გუნდების სატურნირო მდგომარეობაზე არანაირ გავლენას არ ახდენდა. კანადელებმა რომლებმაც პირველივე პერიოდში გატანილი ოთხი უპასუხო გოლის წყალობით მოგებაც გაინაღდეს და ძალებიც დაზოგეს. მათგან განსაკუთრებით მცველები გამოირჩეოდნენ და აკი ორი შაიბაც მიითვალეს, მონრეალელ სტეფან ქინტალს კი უკვე მესამე თამაშია, გააქვს.

სლოვაკეთი — ნორვეგია 8:2

3:1 2:1 3:0

1:0 ჰოსა 1'07; 2:0 პალფი 2'39; 3:0 კოლნიკი 7'05; 3:1 სკრიოდერი 17'05; 3:2 ანდერსენი 27'34; 4:2 პალფი 30'31; 5:2 ჰოსა 34'44; 6:2 პალფი 40'22; 7:2 ჰოსა 45'49; 8:2 დანო 50'43

მასპინძელთათვის გადამწყვეტი მატჩის სანახავად მისულ მრავალრიცხოვან მაყურებელს (გამარჯვების შემთხვევაში ნორვეგიელები საპლეიოფო რაუნდში გადიოდნენ) თავისიანების ქომაგობა ჯერ არც კი დაეწყო, რომ სლოვაკებმა სამი შაიბით უმალ დაადუმეს ისინი. სწრაფად დაწინაურებულმა სტუმრებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და ლამის დაისაჯნენ კიდეც. რიცხვმრავლობის ორჯერ გამოყენებით (თანაც მეორეჯერ ნორვეგიელებს ორკაციანი უპირატესობა ჰქონდათ) მასპინძლებმა ანგარშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს. ისევ მრავალნაცადმა ზიგმუნდ პალფიმ იყოჩაღა და ლამაზი ინდივიდუალური გარღვევით სკანდინავიელებს ბრძოლის ყოველგვარი ხალისი დაუკარგა. საბოლოოდ პალფიმ, ისევე, როგორც მასთან შეამხანაგებულმა მარტინ ჰოსამ, ჰეთ თრიქი მიითვალა და 8 (4+4) ქულით ბომბარდირთა შორის დაწინაურდა.

კანადა	3	0	0	12:6	6
სლოვაკეთი	2	0	1	17:9	4
ნორვეგია	1	0	2	9:14	2
იტალია	0	0	3	8:17	0

C ჯგუფი

იაპონია — ავსტრია 2:4

1:3 0:0 1:1

0:1 ა.პუშნიკი 0'36; 0:2 ა. პუშნიკი 8'05; 1:2 ნაკაჯიმაია 11'21; 1:3 კიონიგი 15'14; 2:3 სუძუკი 53'07; 2:4 ა. პუშნიკი 59'23

ხუთ დღეში ტურნირზე ექვსი (!) ჰეთ თრიქი შესრულდა, თანაც ბოლოს ავტორმა, ავსტრიელმაკ ანდრეას პუშნიკმა იაპონელებს მესამე შაიბა ცარიელ კარში შეუგდო.

ჩეხეთი — აშშ 4:3

2:1 1:2 1:0

1:0 ვლასაკი 2'47; 2:0 კალოუნი 17'41; 2:1 ემა 18'26; 3:1 უიჩიკი 24'15; 3:2 ბისეტი 25'12; 3:3 კეჩმერი 33'07; 4:3 პატერა 51'06

თამაში თანაბარი იყო და ორივე მხარეს შეეძლო მოგება, მაგრამ ჩეხებმა ჩინებულად გამოიყენეს რიცხვმრავლობა და მათი გამარჯვებაც ამან განაპირობა (ოთხი შაიბიდან სამი, მათ შორის გადამწყვეტი, ჩეხებმა ამერიკელების დაჯარიმების შემდეგ შეაგდეს). გარდა ამისა, ჩეხების მეკარე რომან ჩეხმანეკი უშეცდომოდ თამაშობდა, მისი კოლეგა დამფუსის სინდისზე კი ერთი შაიბა მაინც არის (იან კალოუნის შორიდან დარტყმული შაიბა საჭერიდან გაუვარდა).

ჩეხეთი	3	0	0	23:5	6
აშშ	2	0	1	15:7	4
ავსტრია	1	0	2	6:14	2
იაპონია	0	0	3	5:23	0

REUTERS ოსლოდან

ამერიკელმა ფორვარდმა დევიდ ემამ ჩეხი იან კალოუნი დაჩაგრა

ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია

ISHOCKEY VM '99
LILLEHAMMER - HAMAR - OSLO
1.mai - 16.mai

6 მაისი

B ჯგუფი

ოსლო

შვეიცარია — საფრანგეთი 6:0
3:0 2:0 1:0

შვეიცარია: ფიშერი (11'16, 35'45), შტრაიტი (15'00, 15'33), დელაროსა (36'41), ფონ არკსი (52'28)

შვედეთი — ლატვია 4:3
1:1 2:0 1:2

შვედეთი: სუნდსტრიომი (05'49), ნილანდერი (31'33), პალსონი (36'19), დიოოსი (49'21)

ლატვია: ფანდოლსი (13'47), კუდინოვსი (50'13), ზოლტოკსი (51'38)

D ჯგუფი

ჰამარი

ბელარუსი — უკრაინა 6:1
2:1 3:0 1:0

ბელარუსი: ვ. პანკოვი (01'21), ანტონენკო (04'35, 39'47), ანდრიევსკი (32'42), კოვალიოვი (38'03), დ. პანკოვი (55'32)

უკრაინა: ლიტვინენკო (00'15)

ფინეთი — რუსეთი 3:3
0:2 0:1 3:0

ფინეთი: კოიუვუ (50'09), ტუომაინენი (57'04), კარალაპტი (59'58)

რუსეთი: იაშინი (6'51, 18'15, 35'35)

REUTERS მიღებული

შვეიცარია — საფრანგეთი. დელა როსამ (№12) ფრანგებს მეხუთე შაიბა გაუტანა

REUTERS მოსკოვიდან

ლიდია, შენი ამაგი დიდია!

ლიდია სკობლიკოვა ფიგურული სრიალის ერთი დიადი ლეგენდა ბრძანდება. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მას ოთხი მარტო ოლიმპიური ოქრო მოუგია და რამდენი კიდევ მამაკაცის გული, ეგ კი მარტო მისი გულისა თუ სხეულის სხვა საიდუმლო კუნჭულებში სწერია... აი, გუშინ კი ბაბა ლიდას თავისი მაღალი პატივისცემა რუსთა კეთილმა ბაბაიამ, პრეზიდენტმა ელცინმაც დაუდასტურა და დიდი ამაგის ნიშნად ღირსების დიდი ორდენიც გადასცა.

სტადიონი აგებულა, სოფ...

წლეულს აგვისტოში ესპანური ქალაქი სევილია მძლეოსნობის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. საგანგებოდ ამ მოვლენისთვის იქ ახალი ოლიმპიური სტადიონი ააგეს. ნაგებობის გახსნა გუშინწინ, ესპანეთისა და ხორვატიის საფეხბურთო ნაკრებების 3:1-ით დამთავრებული მატჩითა და ამმატჩამდელი მავანი სტაიერული გარბენებით აღინიშნა... ესპანეთის მეფედედოფალს, მათ უდიდებულესობათ ხუან კარლოსსა და დონია სოფიას ეგ ამბები ძალიან მოსწონებიათ და ფოტოზე რომ რაღაცას ბასობენ, სწორედ მაგ მოწონების გამხელა უნდა იყოს.



REUTERS ხელიდან



REUTERS ნიუ იორკიდან

ჯადოქარი სახინკლეში

სახინკლეები და საქაბაბეები ამერიკაში თურმე შესაშური ტემპით მრავლდება. საიმისოდ, რათა კლიენტებს სწორედ თავიანთი, ახლადგახსნილი დუქნების უპირატესობა შთაგონონ, მფლობელები პრეზენტაციებზე რაგინდარა ჯურის გამოჩენილ ტიპებს იწვევენ... აგერ, ფოტოზე აღბეჭდილმა ერთმა ნიუ-იორკ-ჰარლემელმა მედუქნემ, მაგალითად, კალათბურთის გადამდგარი პოლკოვნიკი მეკიქ ჯონსონი მიიპატიჟა... მიიპატიჟა და თურმე იერე დათრო, რომ...

ჯორდანის გვერდით უკუნითი უკუნისამდე

ფილ ჯეკსონი ის კაცია, ნბა-ს ტიტულებს მაიკლ ჯორდანთან ერთად რომ თლიდა და ჭერში აწყობდა... ჰოდა, გუშინდლიდან „ჩიკაგო ბულზის“ „იუნაიტედ სენტერის“ ჭერში გამოკიდებულ ჯორდანის 23-ნომრიან მაისურს გვერდს იმ ფაქტის აღმნიშვნელი ალამიც დაუმშვენებს, რომ ჩიკაგოში ეგეთი დიდი კაციც ყოფილა, რომელსაც ფილ ჯეკსონი ერქვა „ხარებს“ წვრთნიდა და, რომელიც გუნდს 6 ტიტულის მოგებაში დაეხმარა...

REUTERS ჩიკაგოდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ გზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29